

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2011, №6

ზიანის ანაზღაურება

საძიებელი

1. რეზილიტირებული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება
2. შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება
 - ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის
 - დასახიჩრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი და პირობები
 - მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება
 - სარჩო
 - სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის
 - წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტის გაცემა
 - ჯანმრთელობისათვის დელიქტით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება
3. ვალდებულების დარღვევის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება
 - პირგასამტეხლოს დაკისრება
 - სამოქალაქო ომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება
4. მიწის ნაკვეთის დროულად გადაუცემლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება
5. ზიანის და მიუღებელი სარგებლის ანაზღაურება უსაფუძვლო გამდიდრების დროს
6. მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება
7. ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა ვალის აღიარებისას
8. სამხედრო კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება
9. ზიანის ანაზღაურება გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო

1. რეაბილიტირებული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება

განჩინება

18ს-1521-1478 (2კ-08)

5 აგვისტო, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. მ-შვილმა და ნ. ხ-შვილმა 01.05.2003 წ. სარჩელით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ საფუძველით, რომ მათი შვილი გ. ხ-შვილი 25.10.1992 წ. მოხალისედ წავიდა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად, სადაც 02.11.1992 წ. დაჭრილი ჩავარდა ტყვედ. ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ გადაყვანილ იქნა ჰოსპიტალში. 04.11.1992 წ. იგი დააპატიმრეს უკანონოდ, ხოლო 10.11.1992 წ. სამშობლოს ღალატისათვის დახვრეტილ იქნა საქართველოს რეპუბლიკის აფხაზეთის რეგიონში იმ ხანად მოქმედი სამხედრო-საველე სასამართლოს 09.11.1992 წ. განაჩენით. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ სამხედრო-საველე სასამართლო შექმნილი იყო უკანონოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და ხელისუფლების გადაშეშების საფუძველზე, ვინაიდან «საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 28.12.1990 წ. დადგენილებით განსაზღვრულ სახეობებში არ იყო გათვალისწინებული. ამასთან, მოსარჩელეთა განმარტებით, მათი შვილი გაასამართლეს და დახვრიტეს ყოველგვარი გამოძიებისა და მტკიცებულებების მოპოვების გარეშე. მას არ მიეცა საშუალება სამართლებრივი გზით მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრებისა, რადგან მეორე დღესვე განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში. გ. ხ-შვილი თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის 04.04.2002 წ. დადგენილებით ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად.

მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ შვილის უკანონოდ დახვრეტით მათ განიცადეს მორალური ზიანი, აღნიშნული ფაქტი მათთვის ცნობილი გახდა მასმედიის საშუალებით, რის შემდეგაც ორჯერ ჩავიდნენ ქ. სოხუმში შვილის ცხედრის მოსაძებნად და ქ. თბილისში გადმოსასვენებლად. მიუხედავად ხანგრძლივი ძებნისა, შვილის ცხედარი ვერ მოიძიეს. შვილის სამშობლოს მოღალატედ გამოცხადების შემდეგ ე. მ-შვილი თავისუფლებულ იქნა სამუშაოდან.

მოსარჩელებმა მოითხოვეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროსათვის სოლიდარულად სახელმწიფო მოსამსახურის განზრახი ქმედებით მათთვის მიყენებული მატერიალური ზიანის – 20 000 აშშ დოლარის, მორალური ზიანის – 1 000 000 ლარის, ადვოკატის ხარჯის – სასარჩელო მოთხოვნის 4%-ის დაკისრება, წერილობითი ფორმით ბოდიშის მოხდა მასმედიის საშუალებით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 05.05.03წ. განჩინებით სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა აფხაზეთის ა/რ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 21.07.03წ. განჩინებით საქმის მასალები სასამართლოს განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლის 10.10.03წ. განჩინებით საქმის მასალებით დარჩა განუხილველად. საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ არ ჰქონდა სამართლებრივი უფლებამოსილება სასამართლოთა შორის წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 17.11.03წ. განჩინებით სარჩელი და საქმის მასალები განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 20.12.2004წ. გადაწყვეტილებით ე. მ-შვილის და ნ. ხ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. მ-შვილმა და ნ. ხ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მათი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **29.06.2005წ.** განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის **20.12.2004წ.** გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კანონით გათვალისწინებული რეაბილიტაციის საფუძველი რეგიონალური სამხედრო პროკურორის **04.04.02წ.** დადგენილების მიღებით წარმოიშვა, შესაბამისად, მოსარჩელეთა უფლება მოთხოვნაზე სწორედ მითითებული მომენტიდან წარმოიშვა, რაც თავის მხრივ გამოირიცხავს განსახილველი ურთიერთობების მიმართ ძველი სკ-ის ნორმების გამოყენებას, რის გამოც საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზეა სსკ-ის **393.2** მუხლით გათვალისწინებული კასაციის საფუძველი. საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **15.05.2006 წ.** გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა – ე. მ-შვილს და ნ. ხ-შვილს უარი ეთქვათ მოპასუხეებისათვის მორალური და მატერიალური ზიანის დაკისრებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელეთა შვილი – გ. ხ-შვილი **10.11.1992 წ.** დახვრეტილი იქნა საქართველოს რესპუბლიკის აფხაზეთის რეგიონში იმ დროს მოქმედი სამხედრო-საველე სასამართლოს **09.11.1992 წ.** განაჩენით. **04.04.2002 წ.** გ. ხ-შვილი თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის მიერ ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად. სასამართლომ ასევე დადგენილად ცნო ის გარემოება, რომ სახედრო-საველე სასამართლოს წევრების მიმართ სისხლის სამართლის საქმეები არ იქნა განხილული სასამართლო წესით პირთა გარდაცვალების გამო. აგრეთვე დადგენილად იქნა ცნობილი, რომ მოსარჩელებს, როგორც გ. ხ-შვილის მემკვიდრეებს, გააჩნდათ ზიანის მოთხოვნის უფლება, მაგრამ სარჩელზე უარის თქმის საფუძველად მიეთითა ის გარემოება, რომ მოსარჩელეთა მიერ განცდილი ზიანი არ იყო დადასტურებული სათანადო მკიცხვებზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა ე. მ-შვილმა და ნ. ხ-შვილმა და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მათი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელებმა დააზუსტეს სარჩელის მოთხოვნა და მოპასუხე მხარისათვის მატერიალური ზიანის – **17 000 აშშ დოლარის** და მორალური ზიანის – **250 000 ლარის** დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **28.06.2008 წლის** გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ე. მ-შვილის და ნ. ხ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა **20 000 ლარის** ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების სსკ-ის **393-ე-394-ე** მუხლებით გათვალისწინებული პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველები, კერძოდ, მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს, რამაც განაპირობა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოდ უარის თქმა. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები, კერძოდ: აფხაზეთის რეგიონის ჯარების მთავარი შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა პ. დ-შვილმა **26.10.1992 წ.** 110 ბრძანებით, ერთპიროვნულად სამხედრო-საველე სასამართლოს შექმნით გადაამეტა თავის უფლებამოსილებას, ვინაიდან სასამართლო შეიქმნა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ე. მ-შვილის და ნ. ხ-შვილის შვილს – გ. ხ-შვილს აფხაზეთის რეგიონში მოქმედმა უკანონოდ შექმნილმა სამხედრო-საველე სასამართლომ **09.11.1992 წ.** მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, რაც მეორე დღესვე, **10 ნოემბერს** მოყვანილი იქნა სისრულეში სოხუმის აეროპორტის მიდამოებში. მოსარჩელებისათვის შვილის დახვრეტის ფაქტი ცნობილი გახდა მასმედიის საშუალებით, რის შემდეგაც ე. მ-შვილი დაქირავებული ტრანსპორტით, პირველად – საჰაერო და შემდეგ ავტომანქანით ჩავიდა სოხუმში შვილის ცხედრის თბილისში გადმოსასვენებლად, რისთვისაც მოსარჩელებს მოუხდათ მატერიალური ხარჯების გაწევა, რომლის შესახებაც მტკიცებულებების წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებლად მიიჩნია იმ ექსტრემალური პირობების გათვალისწინებით, რომელშიც მოქმედებდნენ მოსარჩელები.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საგამომიებო ორგანოს მიერ გ. ხ-შვილის და სხვათა მიმართ მიღებულ იქნა **18.05.2001 წ.** დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო, ხოლო თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის **04.04.2002 წ.** დადგენილებით გ. ხ-შვილი ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად. სახელმწიფო მოსამსახურეებს: პ. დ-შვილსა და გ. ე-შვილს ბრალეულად არ დაურღვევია სამსახურეობრივ მოვალეობანი, რაც გამოიხატა სამხედრო-საველე სასამართლოების შექმნისა და მათ ფუნქციონირებაში მონაწილეობით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები არ იქნა განხილული სასამართლოს მიერ ამ პირთა გარდაცვალების გამო. სააპელაციო სასამართლომ სკ-ის **1005-ე** მუხლის თანახმად,

მოსარჩელეთა მოთხოვნა მატერიალური ზიანის – 20 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნია. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლო ამ ნაწილში დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიიჩნია, რომ არ არსებობდა ამ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა სკ-ის 413-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილი იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში. მართალია, კანონი ადგენს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სხვადასხვა შემთხვევას, მაგრამ არა სიცოცხლის ხელყოფის დროს. დაზარალებულის გარდაცვალების დროს შესაძლოა ანაზღაურდეს მხოლოდ მატერიალური ზიანი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30.5 მუხლზე მითითებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დანაშაულით მიყენებული ზიანისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება ფულადი და სხვა ქონებრივი გამოხატულებით შესაძლებელია მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც დანაშაულის შედეგად უშუალოდ მიაღდა ზიანი. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სკ-ის მე-19 მუხლზე, კერძოდ, გარდაცვალების შემდეგ პირადი უფლებების დასაცავად მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნის დაუშვებლობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.2008წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ასევე, ე. მ-შვილის და ნ. ხ-შვილის მიერ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მოთხოვილი თანხების დაკისრებაზე უარის თქმა. კასატორი განმარტავს, რომ საქმეში არ მოიპოვება მატერიალური ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულება, ხოლო სკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებული მოსამართლის შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა ყოველმხრივ და ობიექტურ განხილვას. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მტკიცებულებანი, კასატორი თვლის, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელი და სამართლებრივად არასწორია, გადაწყვეტილება მიღებულია საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით ასევე გასაჩივრეს ე. მ-შვილმა და ნ. ხ-შვილმა და მოითხოვეს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვათ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე. კასატორები თვლიან, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად მიუთითა სკ-ის მე-19 მუხლზე და არ გაითვალისწინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30.5 მუხლით დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური ზიანისათვის გათვალისწინებული ზიანის კომპენსაციის შესაძლებლობა. კასატორების მოსაზრებით, პ. დ-შვილისა და გ. ე-შვილის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებსა და კასატორების მიერ განცდილ მორალურ ზიანს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, სწორედ მათი დანაშაულებრივი ქმედებით – გ. ხ-შვილის დახვრეტით – დადგა კასატორებისათვის მორალური ზიანი, რაც განიცადეს შვილის უკანონოდ დახვრეტით გამოწვეული სულიერი ტანჯვისა და შეურაცხყოფის გამო. აღნიშნული ასევე გამოიხატა შემდგომში მათი სამსახურიდან დათხოვნით, მეზობლების დამოკიდებულებით და სხვა გარემოებებით. კასატორებს მიაჩნიათ, რომ დანაშაულის ჩადენის შედეგად დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურება ეკისრება დანაშაულის ჩამდენ პირს, მოცემულ შემთხვევაში კი თავდაცვის სამინისტროს, ვინაიდან დამნაშავე პირები იყვნენ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები და მათ მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის არ არსებობა გამოწვეული იყო მხოლოდ მათი გარდაცვალებით. კასატორები თვლიან, რომ სსკ-ის 106-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე თავისუფლდებიან მათი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებისაგან.

16.03.2009 წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ იქნა მოსაზრება ე. მ-შვილისა და ნ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით და მოთხოვილი იქნა საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, ვინაიდან არ არსებობს სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა-გ» ქვეპუნქტებით განსაზღვრული დასაშვებობის პირობები. მოსაზრების ავტორი მიიჩნევს, რომ კასატორების მოტივაცია საფუძველს მოკლებულია და ვერ აბათილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მორალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში მიღებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მოტივაციას. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სსსკ 30-ე და 33-ე მუხლებს მიიჩნევს სისხლის სამართალწარმოებაში გამოქალაქო მოსარჩელის უფლების რეალიზაციის საპროცესო ნორმად და ამ მუხლებით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძველოდ მიაჩნია.

საქართველოს უზენესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 08.04.2009 წლის განჩინებით ე. მ-შვილის, ნ. ხ-შვილის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მათი განხილვა მხარეთა დასწრებით.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორებმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივრებს და მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილებში გაუქმება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **26.06.2008 წ.** გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა **20 000** ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ხოლო ე. მ-შვილისა და ნ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **26.06.2008 წ.** გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **15.05.06წ.** გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში უნდა გაუქმდეს და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აფხაზეთის რეგიონის ჯარების მთავარი შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა პ. დ-შვილმა უფლებამოსილების გადამეტებით **26.10.1992 წ.** **110** ბრძანებით, ერთპიროვნულად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნა სამხედრო-საველე სასამართლო. **04.11.1992წ.** გ. ხ-შვილი დაპატიმრებულ იქნა სამშობლოს დალატის ბრალდებით. გ. ხ-შვილს აფხაზეთის რეგიონში მოქმედმა უკანონოდ შექმნილმა სამხედრო-საველე სასამართლომ **09.11.1992 წ.** განაჩენით სამშობლოს დალატისათვის მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, რაც მეორე დღესვე, **10** ნოემბერს, მოყვანილ იქნა სისრულეში სოხუმის აეროპორტის მიდამოებში. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის **18.05.2001 წ.** დადგენილებით გ. ხ-შვილის და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო. ამავე თარიღის დადგენილებით თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის წარმომავალი არსებულ **122594/004** საქმეზე ე. მ-შვილი ცნობილ იქნა სამოქალაქო მოსარჩელედ. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის **04.04.2002 წ.** დადგენილებით გ. ხ-შვილი ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ მოსარჩელეთა შვილის – გ. ხ-შვილის მიმართ უკანონოდ შექმნილი სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენა და სისრულეში მოყვანა მოხდა უკანონოდ, იმჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა სრული უგულვებლყოფით. პ. დ-შვილი ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და ხელისუფლების გადამეტებით სამხედრო-საველე სასამართლოს შექმნისათვის **12.01.1995წ.** მიცემულ იქნა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში სსკ-ის **274-ე** მუხლის «გ» ქვეპუნქტით, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა **25.01.1995წ.** შეწყდა გარდაცვალების გამო. უკანონოდ შექმნილი სამხედრო საველე სასამართლოს თავმჯდომარის – გ. ე-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე მოსარჩელებს უარი ეთქვათ მისი გარდაცვალების გამო. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო პირთა მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულებრიობა, მათი გარდაცვალების გამო, მათ მიმართ გამოტანილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი არ არის. გ. ხ-შვილის უდანაშაულობა და სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკანონოდ დახვრეტის განაჩენის გამოტანა დადასტურებულია საგამომიებო ორგანოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით პირის რეაბილიტაციის შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **219-ე** მუხლის მიხედვით, რეაბილიტაციის ერთ-ერთი საფუძველია გამომიებლის ან პროკურორის დადგენილება რეაბილიტაციის შესახებ. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის **04.04.02წ.** დადგენილებით რ. ხ-შვილი რეაბილიტირებულად არის ცნობილი, რასაც, სსკ-ის **106-ე** მუხლის მიხედვით, პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს განსახილველი საქმის მიმართ. ამდენად, მოსარჩელეთა უფლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე სწორედ მითითებული მომენტიდან წარმოიშვა, რაც გამორიცხავს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გაცდენას, სარჩელი აღძრულია რეაბილიტაციის შესახებ აქტის გამოტანის დღიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **228-ე** მუხლით გათვალისწინებული სარჩელის აღძვრის სამწლიან ვადაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელებს უფლება აქვთ, სასამართლოს გზით მოითხოვონ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან აფხაზეთის რეგიონის ჯარების მთავარი შტაბის უფროსის **26.10.1992 წ.** **110** ბრძანებით სამხედრო-საველე სასამართლოს შექმნა და განაჩენის გამოტანა ეწინააღმდეგება ფუძემდებლურ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლოს მეშვეობით არის შესაძლებელი. მხოლოდ კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება განამტკიცებს მართლმსაჯულების ინსტიტუციონალურ პრინციპს და კრძალავს სხვა სახით სასამართლოს შექმნისა და საქმის გადაწყვეტის შესაძლებლობას. უდავოდ დადგენილი ფაქტია, რომ გ. ხ-შვილისათვის განაჩენი არ გამოუტანია კანონის საფუძველზე შექმნილ სასამართლოს დადგენილი იურიდიული პროცედურების დაცვით; გ. ხ-შვილს განაჩენი გამოუტანა არალეგიტიმურმა ორგანომ. განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი, «საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ» **28.12.1990წ.** კანონი, იმჟამად მოქმედი რედაქციით, ადგენდა, რომ საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას ახორციელებდა მხოლოდ სასამართლო (**1-ლი მუხ.**), კანონმდებლის ზუსტი შესაბამისობით (**მე-8 მუხ.**), სასამართლოები იქმნებოდა მოსამართლეთა დანიშვნის საფუძველზე (**მე-10 მუხ.**), სასამართლოს შექმნა საჭიროებდა იუსტიციის მინისტრის წარდგენების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების მიღებას (**21-ე მუხ.**).

«სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ» 06.11.1992წ. კანონის 32-ე მუხლი კრძალავდა რაიმე სპეციალური და საგანგებო სასამართლოების შექმნას, აგრეთვე, სასამართლო ფუნქციების განხორციელებას არასამართლო ორგანოების მიერ. სამხედრო-საველე სასამართლოს შექმნა და საქმიანობა, მის მიერ გ. ხ-შვილის მიმართ განაჩენის დადგენა და სისრულეში მოყვანა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენს – ე.წ. «განაჩენი» გამოტანილი იყო არამართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლოს, არამედ, უკანონოდ შექმნილი, ე.წ. სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში არსებობს ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული შემთხვევა, კერძოდ, უკანონოდ შექმნილი სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკანონო განაჩენის საფუძველზე გ. ხ-შვილის მჯავრდება-დახვრეტა. ამდენად, არსებობს მართლსაწინააღმდეგობა, რომელიც ზიანის ანაზღაურების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მატერიალური ზიანის ასანაზღაურებელი თანხის ობიექტური ოდენობის განსაზღვრისათვის საქმეში არ არსებობდა სათანადო მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 410-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ გარემოებებს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და აღნიშნავს, რომ სსკ-ის 106-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მოთხოვნა, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს. დადგენილია პ. დ-შვილის და გ. ე-შვილის უკანონო, დანაშაულებრივი ქმედებები, ამ ქმედებებით გამოწვეული ტრაგიკული შედეგი. საქმეში დაცულია აფხაზეთის საბრძოლო გარნიზონის კომენდანტის მიერ 20.11.1992წ. გაცემული 13582 და 13583 საშვები სოხუმიდან თბილისის მიმართულებით გასვლის თაობაზე, რაც ადასტურებს ე. მ-შვილის ჩვენების მართებულობას შვილის გარდაცვალების შემდგომ ცხედრის მოძებნისა და გადმოსვენებისათვის სოხუმის ტერიტორიაზე მისი გამგზავრებისა და ყოფნასთან დაკავშირებით, რაც, ცხადია, დაკავშირებული იყო მატერიალურ ხარჯებთან. მატერიალური სახსრების გაწევას ადასტურებს, აგრეთვე, თვით მოსარჩელეთა ჩვენებები, რომელთა საწინააღმდეგო რაიმე მტკიცება მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ წარმოუდგენია. საკასაციო პალატა თვლის, რომ კონფლიქტურ რეგიონში ორჯერ ჩასვლა-წამოსვლასთან, რეგიონში იმჟამად არსებულ ვითარებაში გადაადგილებასთან და ყოფნასთან, საფლავის მოძიებასთან დაკავშირებული ხარჯები ამართლებს სასამართლოს შინაგან რწმენას მოსარჩელების მიერ გაცემული ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით. საკასაციო პალატა თვლის, რომ გაწეული მატერიალური ხარჯის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში სრულყოფილი წარმოდგენის შეუძლებლობა ობიექტური მიზეზებით, იმ დროისათვის არსებული ექსტრემალური პირობებით იყო გამოწვეული, რაც საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენს (სსკ-ის 106-ე მუხ. «ა» ქვეპუნქტი). უდავოა და ეჭვს არ იწვევს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, ანუ მოსარჩელების მიერ ხარჯის გაწევა გამოწვეული იყო მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო დამდგარი შედეგით. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არსებობს მატერიალური ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი ზიანის მიყენებაში. მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, ის გარემოება, რომ რეაბილიტირებული პირისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე მუხ., ამჟამად მოქმედი კოდექსის 1005-ე მუხ., 26.12.1964წ. სამოქალაქო კოდექსის 460-ე მუხ.). სხენებული პირობების ერთობლიობა ქმნის იურიდიულ შემადგენლობას, რაც ამჟამად მოქმედი 992-ე, 1005-ე, 26.12.1964წ. სკ-ის 457-ე-460-ე მუხლების საფუძველზე მოპასუხისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების საფუძველს ქმნის.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში არ არის საკმარისად იურიდიულად დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმების საფუძველს. სააპელაციო პალატის მიერ მოთხოვნის ამ ნაწილის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე, 33-ე და სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლზე არ ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ჩაერთვება მისი ახლო ნათესავი, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურებას. მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მორალური ზიანი ანაზღაურდება ფულადი და სხვა ქონებრივი გამოხატულებით, და-

ზარალეზულისათვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის, მათ შორის, დასახიჩრების, დამახინჯების, ბიოლოგიური და ფსიქიკური ფუნქციების მოშლისა თუ დაქვეითებისათვის, აგრეთვე, სხვა სახის ფიზიკური თუ მორალური ზიანით გამოწვეული განცდებისათვის. ამდენად, ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საპროცესო ნორმა არ ითვალისწინებს შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას. მორალური ზიანი, რომელიც არ ატარებს რესტიტუციის მნიშვნელობას, ფულადი კომპენსაციით შეიძლება აუნაზღაურდეს მხოლოდ დაზარალეზულს და არა მის უფლებამონაცვლეს. აღნიშნული არ გამორიცხავს გარდაცვლილის მშობლებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას, თუკი მათ დანაშაულით უშუალოდ მიაღვათ ზიანი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელები პირველი და სააპელაციო სასამართლო ინსტანციებში მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად უთითებდნენ არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ სამხედრო-საველე სასამართლოს უკანონო შექმნითაც და საქმიანობის შედეგად მათთვის მიყენებულ უშუალო ზიანის მიყენებას. მოსარჩელები აღნიშნავდნენ, რომ შვილის სამშობლოს მოვალეობა გამოცხადება მათთვის პიროვნულად დამთრგუნველი იყო, შეიცვალა მათ მიმართ თანამშრომლებისა და მეზობლების დამოკიდებულება, სამშობლოს ღალატისათვის შვილის დახვრეტის შემდგომ ე. მ-შვილი არაპირდაპირი მიზეზით გათავისუფლდა სკოლიდან, სადაც მუშაობდა პედაგოგად, ხოლო ნ. ხ-შვილი ერიდებოდა საზოგადოებაში გამოჩენას, რის გამოც მოუხდა სამსახურისათვის თავის დანებება. საომარი მოქმედებების დროს, გარდაცვლილი შვილის ცხედრის მოსაძებნად და გადმოსასვენებლად ე. მ-შვილს ორჯერ მოუხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩასვლა, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, შვილის ცხედრის მოძებნის მიზნით, სამხედრო-საველე სასამართლოს თავჯდომარის მიერ მითითებულ ადგილას გათხარეს საფლავი, სადაც ნახეს თავმოჭრილი გვამი, რომელიც არ აღმოჩნდა მისი შვილი. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია მოსარჩელეთა იმ არგუმენტებზე, რომლებიც ეხებოდა დანაშაულის შედეგად უშუალოდ მათ მიმართ მორალური ზიანის მიყენებას, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია ამ მიმართებით ფაქტობრივი გარემოებები, რაც, სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, გამორიცხავს მოთხოვნის ამ ნაწილში საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე, სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლებზე მითითება არ ადასტურებს მოთხოვნის ამ ნაწილის უსაფუძვლობას. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, არ გულისხმობს მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლი 1-ლი ნაწილის თანახმად, პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიაღდა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სარჩელი. ამავე კოდექსის 33-ე მუხლი ანიჭებს უფლებას პირს, რომელსაც არ წარუდგენია სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე ან რომლის სარჩელიც განუხილველი დარჩა, წარადგინოს იგი შემდგომში. ამდენად, ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე ანაზღაურებას ექვედებარება მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი, მათ შორის მორალურიც. ვინაიდან ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის. საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დადგინდეს, სამხედრო პირთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით დამდგარმა შედეგმა გამოიწვია თუ არა მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლება, ჯანმრთელობის მოშლა, სამყაროსთან კონტაქტის დაკარგვა, მათ ჩვეულ გარემოში ადაპტირების შეუძლებლობა.

ამდენად, საკასაციო პალატა საჭიროდ თვლის საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, საქმის ყველა გარემოების სრულყოფილ დადგენას, რის გამოც ე. მ-შვილისა და ნ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ხელახალი არსებითი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის განხილველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ყველა გარემოება, სათანადო შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.08წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ე. მ-შვილისა და ნ. ხ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 20 000 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება;
2. ე. მ-შვილის და ნ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.08წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში,

რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.05.06წ. გადაწყვეტილება და მოსარჩელებს უარი ეთქვათ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დამდგარი ზიანის ანაზღაურება; სარჩო; მიუღებელი შე-
მოსავლის ანაზღაურება**

განჩინება

18ს-991-955(კ-08)

26 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შეადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ნ. ქადაგიძე

სარჩელის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 26 აპრილს ნ. ხ-ლი-ხ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ნ. ხ-ელის აწ გარდაცვლილი მეუღლე – მ. ხ-მე 2000 წლის 14 სექტემბრიდან 2002 წლის 2 აპრილამდე მუშაობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. 2002 წლის 2 აპრილს მ. ხ-მე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის უფროსის 2002 წლის 8 აპრილის 103-02 ბრძანებით შეიქმნა კომისია. აღნიშნული კომისიის მიერ 2002 წლის 30 აპრილს შედგა სპეციალური გამოკვლევის აქტი და საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ აქტი (ფორმა ტ-1). შესაბამისმა საექსპერტო დაწესებულებამ კი 2002 წლის 3 აპრილიდან 16 აპრილის ჩათვლით ჩატარა საექსპერტო გამოკვლევა და შეადგინა 1229 საექსპერტო დასკვნა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის 1273/ო ბრძანებით გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს: მეუღლეს – ნ. ხ-ელს და შვილებს – ე. და თ. ხ-მეებს დაუდგინდათ ყოველთვიური სარჩო მ. ხ-დის თანამდებობრივი სარგოს 3/4-ის (თითოეულს 28,12 ლარის), სულ – 84,36 ლარის ოდენობით.

მოსარჩელის განმარტებით, 2004 წლის 1 მაისიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიზარდა მუშაკთა შრომის ანაზღაურება. აწ გარდაცვლილ მ. ხ-დის თანამდებობრივი სარგო, რომელიც მისი გარდაცვალების მომენტში შეადგენდა 112,50 ლარს, გახდა 350 ლარი, ხოლო 2005 წლის იანვრიდან – 800 ლარი.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 38-ე მუხლის თანახმად, თუ ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურება ან მისი მინიმალური დონე შეიცვლებოდა, ასეთ შემთხვევაში ამ წესის შესაბამისად ხელახლა გადანაწილდებოდა სარჩო მისი მიღების უფლების მქონე პირებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ აწ გარდაცვლილი მ. ხ-დის კმაყოფაზე მყოფ პირებსაც 2004 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 1 იანვრამდე სარჩო უნდა მიეღოთ 350 ლარის 3/4-ის, ხოლო 2005 წლის 1 იანვრიდან 7 ნოემბრის ჩათვლით – 800 ლარის 3/4-ის ანგარიშით, ვინაიდან 2005 წლის 7 ნოემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 38-ე მუხლით დადგენილი ზემოხსენებული დანაწესი ამოღებულ იქნა, თუმცა «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღნიშნული არ გამოირიცხავდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვალდებულებას 2004 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 7 ნოემბრამდე პერიოდში შესაბამისი სახელფასო ცვლილებების

გათვალისწინებით აენაზღაურებინა მისთვის მარჩენლის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის თანხა, რაც 8100 ლარს შეადგენდა.

მოსარჩელის განმარტებით, მან ხსენებული თანხის გადაანგარიშების მოთხოვნით განცხადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რაზეც უარი ეთქვა, ხოლო 2005 წლის იანვრიდან სარჩოს ოდენობა შეუმცირდა 74 ლარამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მარჩენლის გარდაცვალების გამო ყოველთვიური სარჩოს სახით გადასახდელი თანხის 8100 ლარის – 2004 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 7 ნოემბრის ჩათვლით მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა, სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილ პირთა: ნ. ხ-ელის, ე. და თ. ხ-ძეების სასარგებლოდ.

2006 წლის 12 ივნისსა და 29 სექტემბერს ნ. ხ-ლი-ხ-ძემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლებითაც დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნათა ოდენობა და მოითხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მარჩენლის გარდაცვალების გამო ზიანის სახით დანიშნული სარჩოს 10962 ლარის – 2004 წლის 1 მაისიდან 2006 წლის სექტემბრის პერიოდისათვის ოდენობით დაკისრება სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილ პირთა: ნ. ხ-ელის, ე. და თ. ხ-ძეების სასარგებლოდ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებული ახალი თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად მარჩენლის გარდაცვალებისას გადასახდელი ყოველთვიური სარჩოს თანხის ოდენობის ხელახლა გადაანგარიშება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინებით არასათანადო მოსარჩელე ნ. ხ-ლი-ხ-ძე შეიცვალა სათანადო მოსარჩელე ნ. ხ-ელით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 ოქტომბრის საოქმო განჩინებით კი მოცემულ საქმეში თანამოსარჩელებად ე. და თ. ხ-ძეები ჩაებნენ.

მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის 1273/ო ბრძანებით მ. ხ-ძის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს: მეუღლეს – ნ. ხ-ელს და შვილებს – ე. და თ. ხ-ძეებს დაუდგინდათ ყოველთვიური სარჩო აწ გარდაცვლილი მ. ხ-ძის თანამდებობრივი სარგოს 3/4-ის ოდენობით. ამავე ბრძანებით, აღნიშნული სარჩოს გაცემა დაევალა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს. მოგვიანებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 15 იანვრის 15/ო ბრძანებით, საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი შეიცვალა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტით.

მოპასუხის განმარტებით, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა მოხდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 48-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად, დამქირავებელი ვალდებული იყო, განეხილა განცხადება ზიანის ანაზღაურების შესახებ და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება ერთი თვის განმავლობაში. გადაწყვეტილება ფორმდებოდა ბრძანებით. ამდენად, ხსენებული ბრძანებულება ითვალისწინებდა დადგენილი სარჩოს გადაანგარიშებას ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების დონის შეცვლისას. აღნიშნული კი უნდა მომხდარიყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით და არა ქმედების განხორციელებით. ამდენად, მოპასუხის განმარტებით, სარჩოს გადაანგარიშება უნდა განხორციელებულიყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის 1273/ო ბრძანებაში უნდა შესულიყო შესაბამისი ცვლილება სარჩოს ოდენობის ნაწილში.

მოპასუხემ მიუთითა, რომ მოსარჩელე ნ. ხ-ლი-ხ-ძემ 2004 წლის 5 ნოემბერსა და 2005 წლის 8 ივლისს განცხადებებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ზიანის ანაზღაურების (სარჩოს) გადაანგარიშების თაობაზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2006 წლის 16 მარტის 101-11/08/1958 წერილით მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რის თაობაზეც ნ. ხ-ლი-ხ-ძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს 2006 წლის 1 მაისს.

მოპასუხის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 48-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ ბრძანების პირი ან მოტივირებული წერილობითი უარი გადაეცემოდა დაინტერესებულ პირს აღნიშნულ ვადაში ყველა აუცილებელი საბუთის თანდართვით. განცხადების განხილვის ან ბრძანების დაგვიანება დადგენილი ვადიდან ითვლებოდა ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმად. ხსენებული ვადა იმავე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით შეადგენდა ერთ თვეს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ იყო განსაზღვრული, სარჩელი სასამართლოს წარედგინებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელემ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიმართა ჯერ 2004 წლის 5 ნოემბერს, ხოლო შემდეგ – 2005 წლის 8 ივლისს. ხსენებულ განცხადებებზე კანონმდებლობით დადგენილი ერთი თვის გასვლის შემდეგ მას არ მიუღია წერილობითი პასუხები, რაც ზემოაღნიშნული ბრძანებულების 48-ე მუხლის თანახმად, ბრძანების (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) გამოცემაზე უარის თქმად ითვლებოდა. შესაბამისად, მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა სასამართლოსათვის მიმართვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა.

ამასთან, მოპასუხემ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 38-ე მუხლში 2005 წლის 7 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებით ამოღებულ იქნა დებულება ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ცვლილებისას სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე. შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, განეხორციელებინა სარჩოს გადაანგარიშება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ხ-ელისა და ე. და თ. ხ-ძეების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსარჩეეების სასარგებლოდ 2004 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 7 ნოემბრამდე შრომის ანაზღაურების ოდენობის შეცვლის გამო, მარჩენლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დანიშნული სარჩოს გადაანგარიშება დაევალა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის 2006 წლის 26 სექტემბრის 101-07/05/8753 წერილით დასტურდებოდა, რომ იმ თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, რაც ეკუთვნოდა გარდაცვალებამდე მ. ხ-ძეს, გაიზარდა ორჯერ, 2004 წლის მაისიდან და 2005 წლის იანვრიდან (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 24 მაისის 1118/ო და 2005 წლის 11 იანვრის 110/ო ბრძანებები). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის 2006 წლის 16 მარტის 101-11/08/1958 წერილით დასტურდებოდა, რომ ნ. ხ-ლი-ხ-ძეს უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურების თაობაზე განცხადებების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სახეზე იყო მოსარჩელეთა უფლება სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნის თაობაზე 2005 წლის 7 ნოემბრამდე პერიოდის ჩათვლით და იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 38-ე მუხლში ცვლილებების შეტანით და მოსარჩეეებზე ახალი კანონის ამოქმედებით ძველ პერიოდზე, კანონს მიენიჭა უკუქცევითი ძალა მოთხოვნის წარმოშობიდან 2005 წლის 7 ნოემბრამდე, რამაც მოსარჩეეების უფლებების შელახვა გამოიწვია. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 38-ე მუხლის (2005 წლის 7 ნოემბრის ცვლილებამდე) თანახმად, მარჩენლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დანიშნული სარჩო გადაანგარიშებას ექვემდებარებოდა თუ მარჩენლის გარდაცვალების შემდეგ ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ან მისი მინიმალური დონე შეიცვლებოდა. იმავე მუხლის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული წესის შესაბამისად, ხელახლა გადანაწილდებოდა სარჩო მისი მიღების უფლების მქონე პირებზე. მოცემული ნორმის არსებობა 2005 წლის 7 ნოემბრამდე ცხადყოფდა მოპასუხის ვალდებულებას – გადაანგარიშებინა დანიშნული სარჩო, რადგან «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონი არეგულირებდა ნორმატიული აქტების მოქმედების ზოგად წესებს. ხსენებული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად კი ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენდა ან ამძიმებდა პასუხისმგებლობას, უკუძალა არ ჰქონდა, მას უკუძალა ენიჭებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ იყო დადგენილი ამ ნორმატიული აქტით, რაც მოცემულ შემთხვევაში დადგენილი არ ყოფილა.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 38-ე მუხლში 2005 წლის 7 ნოემბერს შევიდა ცვლილება და ამოღებულ იქნა ხსენებული ნორმით გათვალისწინებული შესაძლებლობა შრომის ანაზღაურების შეცვლისას სარჩოს გადაანგარიშების შესახებ, რის გამოც საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა უფლების რეალიზება შესაძლებელი იყო მხოლოდ მოცემულ პერიოდამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ხ-ელმა და ე. და თ. ხ-ძემაც, რომლებმაც გასაჩივრებუ-

ლი გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ნ. ხ-ელისა და ე. და თ. ხ-ძეების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით – 10192 ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად შეაფასა სარჩელის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო საკმარისად დასაბუთებული. საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. ამდენად, არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მაგრამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი დაზუსტებული სარჩელის მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მარჩენლის გარდაცვალების გამო მიყენებული ზიანის, ყოველთვიური სარჩოს სახით 2004 წლის 1 მაისიდან 2006 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდის გადასახდელი თანხის – 10962 ლარის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დაკისრება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის ნ. ხ-ელის, ე. და თ. ხ-ძეებისათვის მარჩენლის გარდაცვალების გამო გადასახდელი ყოველთვიური სარჩოს თანხის ოდენობის გადაანგარიშების დაკისრება, ხსენებულ სამინისტროში არსებული ახალი თანამდებობრივი სარგობის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ იყო დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით კი პირი რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მისთვის ეს ზიანი. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით მიაღდა მატერიალური ზიანი, მან ვერ მიიღო გადაანგარიშების შედეგად გაზრდილი სარჩო. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, ზიანი უნდა ანაზღაურებულიყო მიუღებელი შემოსავლისთვისაც.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის 1273/ო ბრძანებით, მ. ხ-ძის ოჯახის წევრებს დაუდგინდათ ყოველთვიური სარჩო მ. ხ-ძის თანამდებობრივი სარგოს 3/4-ის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართა 2004 წლის 5 ნოემბერს და 2005 წლის 8 ივლისს, რაზეც უარი ეთქვა. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 38-ე მუხლის თანახმად, მარჩენლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დანიშნული სარჩო გადაანგარიშებას ექვემდებარებოდა, თუ მარჩენლის გარდაცვალების შემდეგ ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ან მისი მინიმალური დონე შეიცვლებოდა. აღნიშნული ნორმა მოქმედებდა 2005 წლის 7 ნოემბრამდე, ანუ მოსარჩელეთა მიერ ხსენებული სამინისტროსადმი სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნით ორივეჯერ მიმართვის პერიოდში. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულებაზე უარი ეთქვა, ანუ მოპასუხემ ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეთათვის სარჩოს დანიშვნიდან 2005 წლის 7 ნოემბრამდე, მ. ხ-ძის გარდაცვალებამდე, დაკავებულ თანამდებობაზე შრომის ანაზღაურება შეიცვალა ორჯერ, კერძოდ, 2004 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 1 იანვრამდე იგი განისაზღვრებოდა 350 ლარის, ხოლო 2005 წლის 1 იანვრიდან – 800 ლარი. ამდენად, მოპასუხის მართლზომიერი მოქმედების შემთხვევაში 2004 წლის ნოემბრიდან (გადაანგარიშების მოთხოვნით პირველი მიმართვის თარიღი) 2005 წლის ივლისამდე პერიოდში (გადაანგარიშების შესახებ განმეორებით მიმართვის თარიღი) მოსარჩელები მიიღებდნენ სარჩოს სახით, არსებული შრომის ანაზღაურების – 350 ლარის 3/4-ის ოდენობით თანხას, რაც 2096 ლარს (ყოველთვიურად – 262,8 ლარის) შეადგენდა, ხოლო 2005 წლის ივლისიდან 2006 წლის სექტემბრამდე, იმ

დროისათვის არსებული შრომის ანაზღაურების ოდენობის – 800 ლარის 3/4-ს, რაც 9000 ლარს (ყოველთვიურად – 600 ლარს), ხოლო მთლიანობაში ხსენებული თანხა – 11962 ლარს შეადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა სასარგებლოდ 2002 წლის 4 ოქტომბრის 1273/ო ბრძანებით დადგენილი სარჩო შეადგენდა 84,36 ლარს. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელებს 2006 წლის იანვრიდან-სექტემბრამდე პერიოდში მიღებული ჰქონდათ მხოლოდ 594 ლარი. 2004 წლის ნოემბრიდან 2006 წლის იანვრამდე პერიოდში დანიშნულ სარჩოს, ყოველთვიურად 84 ლარის ანაზღაურებას, მოსარჩელები სადავოდ არ ხდიდნენ. ამდენად, 2004 წლის ნოემბრიდან 2006 წლის სექტემბრამდე მოსარჩელებს მიღებული ჰქონდათ 1770 ლარი. ფაქტობრივად, მიუღებელი შემოსავლის ოდენობა კი შეადგენდა 10192 ლარს, რაც მოსარჩელეთა სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა მოპასუხეს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება მოპასუხისათვის მხოლოდ 2005 წლის 7 ნოემბრამდე პერიოდის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის დაკისრების შესახებ და განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 38-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა სარჩოს გადაანგარიშების შესახებ ვალდებულება, თანამდებობრივი სარგოს ცვლილების შემთხვევაში, მოსარჩელეთა მიმართვის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მართლზომიერი მოქმედების – თანხის გადაანგარიშების შემთხვევაში, მოსარჩელებს 2005 წლის 7 ნოემბრიდანაც გაუგრძელდებოდათ იმ დროისათვის უკვე გადაანგარიშებული თანხის ანაზღაურება დანიშნული სარჩოს სახით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან მოსარჩელები ითხოვდნენ ზიანის ანაზღაურებას 2006 წლის სექტემბრამდე მიუღებელი შემოსავლის ოდენობით, ხოლო მიუღებელი შემოსავლის თანხა შეადგენდა 10192 ლარს, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო შეზღუდული იყო მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებით.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოსაზრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის ახალი თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად სარჩოს თანხის ოდენობის ხელახალი გადაანგარიშების დავალდებულების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 38-ე მუხლი, რომელიც თანამდებობრივი სარგოს ცვლილების შესაბამისად სარჩოს გადაანგარიშების ვალდებულებას ადგენდა, 2005 წლიდან ამოღებულ იქნა. ამდენად, სარჩელის განხილვის დროისათვის აღარ არსებობდა ნორმატიული აქტი, რომელიც ადგენდა მოპასუხის ვალდებულებას თანხის გადაანგარიშების შესახებ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა, კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება. უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებას არ ჰქონდა იურიდიული ძალა და იგი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო ვერ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხისათვის სარჩოს გადაანგარიშების დავალდებულების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით – 10192 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ. კასატორმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ ნ. ხ-ელისა და ე. და თ. ხ-ძეებისათვის სარჩოს დაწესება განხორციელდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის 1273/ო ბრძანებით მ. ხ-ძის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს: მეუღლეს – ნ. ხ-ელს და შვილებს – ე. და თ. ხ-ძეებს დაუდგინდათ ყოველთვიური სარჩო აწ გარდაცვლილი მ. ხ-ძის თანამდებობრივი სარგოს 3/4-ის ოდენობით. იმავე ბრძანებით, აღნიშნული სარჩოს გაცემა დაევალა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს. მოგვიანებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 15 იანვრის 15/ო ბრძანებით საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი შეიცვალა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტით. აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა მოხდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 48-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად, დამქირავებელი ვალდებული იყო, განეხილა განცხადება ზიანის ანაზღა-

ურების შესახებ და მიელო შესაბამისი გადაწყვეტილება ერთი თვის განმავლობაში. გადაწყვეტილება ფორმდებოდა ბრძანებით.

კასატორის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი» ითვალისწინებდა დადგენილი სარჩოს გადაანგარიშებას ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების დონის შეცვლისას. აღნიშნული უნდა მომხდარიყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელებით. ამდენად, სარჩოს გადაანგარიშების შემთხვევაში, ცვლილება უნდა განხორციელებულიყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის 1273/ო ბრძანებაში უნდა შესულიყო შესაბამისი ცვლილება სარჩოს ოდენობის ნაწილში.

კასატორი მიუთითებს, რომ ნ. ხ-ელმა 2004 წლის 5 ნოემბერსა და 2005 წლის 8 ივლისს განცხადებებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ზიანის ანაზღაურების (სარჩოს) გადაანგარიშების თაობაზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2006 წლის 16 მარტის 101-11/08/1958 წერილით მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რის თაობაზეც ნ. ხ-ელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს 2006 წლის 1 მაისს.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 48-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანების პირი ზიანის ანაზღაურების შესახებ ან მოტივირებული წერილობითი უარი გადაეცემოდა დაინტერესებულ პირს აღნიშნულ ვადაში, ყველა აუცილებელი საბუთის თანდართვით. განცხადების განხილვის ან ბრძანების დაგვიანება დადგენილი ვადიდან ითვლებოდა ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმად. აღნიშნული ვადა იმავე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით შეადგენდა ერთ თვეს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ იყო განსაზღვრული, სარჩელი სასამართლოს წარედგინებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

კასატორის განმარტებით, ნ. ხ-ელმა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიმართა ჯერ 2004 წლის 5 ნოემბერს, ხოლო შემდეგ – 2005 წლის 8 ივლისს. მას კანონმდებლობით დადგენილი ერთი თვის ვადაში არ მიუღია შესაბამისი წერილობითი პასუხები, რაც საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 48-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანების გამოცემაზე უარის თქმად ითვლებოდა. შესაბამისად, მოსარჩელეებს გაშვებული ჰქონდათ სასამართლოსადმი მიმართვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 38-ე მუხლში 2005 წლის 7 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებით ამოღებულ იქნა დებულება ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ცვლილებებისას სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე. მოსარჩელეებმა სასამართლოს სარჩელით მიმართეს 2006 წლის 1 მაისს, როდესაც სამართლის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა სარჩოს გადაანგარიშებას ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ცვლილებისას, უკვე აღარ არსებობდა, ანუ სასამართლოში საქმის განხილვისა და გადაწყვეტისას არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებული იყო, მოეხდინა სარჩოს გადაანგარიშება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 20 ნოემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 15 იანვარს, 11.30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2000 წლის 14 სექტემბრის 17/კს ბრძანებით მ. ხ-მე დაინიშნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ 2002 წლის 30 აპრილის აქტით დასტურდება, რომ ხელმძღვანელობის დავალებით მ. ხ-მე უნდა გამგზავრებულიყო ქვემო ქართლის რეგიონის ოფისში საჭირო ინფორმაციის ჩამოსატანად, ხოლო, ვინაიდან დავალება სასწრაფოდ უნდა შესრულებულიყო, მ. ხ-მეს დაევალა საკუთარი ავტომანქანა გამოეყენებინა დავალების შესასრულებლად, რა დროსაც ქ. რუსთავში მოუხდა ავტოავარია და გარდაიცვალა, რაც ასევე დასტურდება ავტოკატასტროფის შედეგად მომხდარი უბედური შემთხვევის შემსწავლელი კომისიის სპეციალური გამოკვლევის აქტით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის 1273/ო ბრძანებით დასტურდება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესისა» და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის მიერ მომზადებული მ. ხ-მის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკული დაღუპვის შესახებ სპეციალური გამოკვლევის აქტის შესაბამისად, მ. ხ-მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს – მეუღლეს ნ. ხ-მეს და შვილებს – ე. და თ. ხ-მეებს დაენიშნათ ყოველთვიური სარჩო, აწ გარდაცვლილი მ. ხ-მის თანამდებობრივი სარგოს 3/4-ის ოდენობით (თითოეულს – 28,12 ლარი), რომლის უზრუნველყოფაც დაევალა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის 2006 წლის 26 სექტემბრის 101-07/05/8753 მიწერილობით დასტურდება, რომ იმ თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, რაც ეკავა გარდაცვალებამდე მ. ხ-მეს, გაიზარდა ორჯერ, 2004 წლის მაისიდან და 2005 წლის იანვრიდან (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 24.05.2004 წ. 1118/ო ბრძანება და 11.01.2005 წ. 110/ო ბრძანება). მ. ხ-მე გარდაცვალებამდე მუშაობდა შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ და მისი თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 112,5 ლარს. 2004 წლის მაისიდან აღნიშნული თანამდებობის შესაბამისი სარგო გახდა 350 ლარი, 2005 წლის იანვრიდან – 800 ლარი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის 2006 წლის 16 მარტის 101-11/08/1958 მიწერილობით დასტურდება, რომ ნ. ხ-ლი-ხ-მეს უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურების გადაანგარიშების შესახებ 2004 წლის 5 ნოემბრისა და 2005 წლის 8 ივლისის განცხადებების დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით – 10192 ლარის ანაზღაურების დაკისრება, ვინაიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებას საკასაციო წესით ასაჩივრებს მისთვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით – 10192 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილი დაზუსტებული სარჩელი კომბინირებული ხასიათისაა და შედგება ორი სასარჩელო მოთხოვნისაგან, კერძოდ, მარჩენლის გარდაცვალების გამო მიყენებული ზიანის, ყოველთვიური სარჩოს სახით 2004 წლის 1 მაისიდან 2006 წლის სექტემბრის ჩათვლით გადასახდელი თანხის – 10962 ლარის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დაკისრება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის ნ. ხ-ელის, ე. და თ. ხ-მეებისათვის მარჩენლის გარდაცვალების გამო გადასახდელი ყოველთვიური სარჩოს თანხის ოდენობის გადაანგარიშების დაკისრება. ამდენად, მოსარჩელეთა ერთ-ერთი მოთხოვნაა სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო მოქმედებით (სარჩოს გადაუნაგარიშებლობა) მიყენებული ზიანის არსებობის აღიარება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ხსენებული მოთხოვნა თავისი იურიდიული ბუნებით არის აღიარებითი სარჩელი. ამდენად, ამ შემთხვევაში მოსარჩელეებს მიკუთვნებით სარჩელთან ერთად აღძრული ჰქონდათ აღიარებითი სარჩელიც, რომელზეც არ ვრცელდებოდა სასარჩელო ხანდაზმულობის ერთთვიანი ვადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის 1273/ო ბრძანებით, მ. ხ-მის ოჯახის წევრებს – მეუღლეს ნ. ხ-მეს და შვილებს – ე. და თ. ხ-მეებს დაუდგინდათ ყოველთვიური სარჩო მ. ხ-მის თანამდებობრივი სარგოს 3/4-ის ოდენობით. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელემ მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სო-

ციალური დაცვის სამინისტროს სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნით 2004 წლის 5 ნოემბერს და 2005 წლის 8 ივლისს, რაზეც ეთქვა უარი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 38-ე მუხლის შესაბამისად, მარჩენლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დანიშნული სარჩო გადაანგარიშებას ექვემდებარებოდა, თუ მარჩენლის გარდაცვალების შემდეგ ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ან მისი მინიმალური დონე შეიცვლებოდა. აღნიშნული ნორმა მოქმედებდა 2005 წლის 7 ნოემბრამდე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ნ. ხ.-ელმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნით მიმართა 2004 წლის 5 ნოემბერს და 2005 წლის 8 ივლისს, ანუ ზემოხსენებული ნორმის მოქმედების პერიოდში. შესაბამისად, მოსარჩელემ თავისი უფლების რეალიზაცია მოახდინა დროულად, 2005 წლის 7 ნოემბრამდე, თუმცა მოპასუხემ 2006 წლის 16 მარტის წერილით უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩოს გადაანგარიშებაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოპასუხის მიერ კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმას, ანუ მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ – მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დადასტურებულია, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, ვერ მიიღო გადაანგარიშების შედეგად გაზრდილი სარჩო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ მოსარჩელეთათვის სარჩოს დანიშნვიდან 2005 წლის 7 ნოემბრამდე (საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების 38-ე მუხლით დადგენილი გადაანგარიშების ვალდებულების მოქმედების პერიოდი) მ. ხ.-მის გარდაცვალებამდე, დაკავებულ თანამდებობაზე შრომის ანაზღაურება შეიცვალა ორჯერ, კერძოდ, 2004 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 1 იანვრამდე განისაზღვრებოდა 350 ლარის, ხოლო 2005 წლის 1 იანვრიდან – 800 ლარის ოდენობით. ამდენად, მოპასუხის მართლზომიერი მოქმედების (მოსარჩელეთა 2004 წლის 5 ნოემბრისა და 2005 წლის 8 ივლისის მიმართების საფუძველზე სარჩოს გადაანგარიშება) შემთხვევაში 2004 წლის ნოემბრიდან (გადაანგარიშების მოთხოვნით პირველი მიმართვის თარიღი) 2005 წლის ივლისამდე პერიოდში (გადაანგარიშების შესახებ განმეორებით მიმართვის თარიღი) მოსარჩელები მიიღებდნენ სარჩოს სახით, არსებული შრომის ანაზღაურების – 350 ლარის 3/4-ის ოდენობით თანხას, ხოლო 2005 წლის ივლისიდან 2006 წლის სექტემბრამდე, ვინაიდან დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მოსარჩელები ითხოვენ 2006 წლის სექტემბრის ჩათვლით ანაზღაურებას, იმ დროისათვის არსებული შრომის ანაზღაურების ოდენობის – 800 ლარის 3/4-ს, რაც, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, 11962 ლარს შეადგენს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეთა სასარგებლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის 1273/ო ბრძანებით დადგენილი სარჩო შეადგენს 84,36 ლარს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელებს 2006 წლის იანვრიდან-სექტემბრამდე პერიოდში მიღებული აქვთ მხოლოდ 594 ლარი. 2004 წლის ნოემბრიდან 2006 წლის იანვრამდე პერიოდში დანიშნული სარჩოს (14 თვე), ყოველთვიურად 84 ლარის ანაზღაურებას, მოსარჩელები სადავოდ არ ხდიან. ამდენად, 2004 წლის ნოემბრიდან (გადაანგარიშების მოთხოვნით პირველი მიმართვის თარიღი), 2006 წლის სექტემბრამდე მოსარჩელებს მიღებული აქვთ 1770 ლარი. ამდენად, ფაქტობრივად, მიუღებელი შემოსავლის ოდენობა შეადგენს – 10192 ლარს, რაც მოსარჩელეთა სასარგებლოდ უნდა გადახედეს მოპასუხეს.

საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესიდან» ამოღებულ იქნა 38-ე მუხლი, ფაქტობრივად, გაუქმდა თანამდებობრივი სარგოს ცვლილების შემთხვევაში სარჩოს გადაანგარიშების ვალდებულება, რაც არ იწვევდა უკვე გადაანგარიშებული თანხის ცვლილებას. ამდენად, მოსარჩელეთა მიმართვის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მართლზომიერი მოქმედების – თანხის გადაანგარიშების შემთხვევაში, მოსარჩელებს 2005 წლის 7 ნოემბრიდანაც გაუგრძელდებოდათ უკვე გადაანგარიშებული თანხის ანაზღაურება დანიშნული სარჩოს სა-

ხით, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელები ზიანის ანაზღაურებას ითხოვდნენ 2006 წლის სექტემბრამდე მიუღებელი შემოსავლის ოდენობით, მოსარჩელეთა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ვერ გასცდებოდა მოსარჩელეთა მოთხოვნის ფარგლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩო; მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

განჩინება

18ს-1495-1452(კს-08)

6 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შეადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი; უფლებამონაცვლის დადგენა და სააღსრულებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 3 ივნისს ა. ხ-ანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1971-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციაში «ან-2», «იაკ-40», «ტუ-154» ტიპის თვითმფრინავებზე ხომალდის მეთაურად. ა. ხ-ანს ჰქონდა 31 წლის მუშაობის საერთო სტაჟი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს აწარმოებდა საჰაერო გადაზიდვებს, რისთვისაც დაჯილდოებული იყო მედლით «მხედრული მამაცობისათვის». 1996-2000 წლებში მუშაობდა ა/კ «აირზენა საქართველოს ავიახაზებში». 2000 წელს სმენის გაუარესების გამო ცნობილ იქნა სპეციალობით სამუშაოს შესრულების უვარგისად. თბილისის ისანი-სამგორის სარაიონთაშორისო საექსპერტო კომისიის 2002 წლის 11 თებერვლის 125 დასკვნით დაუდგინდა შრომის უნარიანობის დაკარგვა 60%-ით და ცნობილ იქნა შრომის III ჯგუფის ინვალიდად. 2002 წლის 19 თებერვალს ა. ხ-ანმა განცხადებით მიმართა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას პროფესიულ დაავადებასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რაზეც უარი მიიღო.

მოსარჩელის განმარტებით, მუშაობის ბოლო სამი თვის პერიოდში მისი სპეციალობის «ბოინგ-737» ტიპის თვითმფრინავის მეთაურის გამომუშავებული საშუალო თანხა შეადგენდა 1668 ლარს. ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების II თავის მე-11 მუხლის საფუძველზე მოითხოვა ზიანის ანაზღაურება სამედიცინო დასკვნით დადგენილი ვადით – მუდმივად. მოსარჩელის განმარტებით, მას უნდა ანაზღაურებოდა ბოლო 3 თვის ფაქტობრივად ნამუშევარი და მიღებული ხელფასის 60%, რაც 1008 ლარს შეადგენდა. ამასთან, ზემოხსენებული ბრძანებულების 52-ე მუხლის შესაბამისად მას ასევე უნდა ანაზღაურებოდა ზიანი მიმართვის დღისათვის ორგანიზაციაში არსებული შესაბამისი ხელფასიდან ან გაანგარიშების დღისათვის საბაზრო ფასებზე დაყრდნობით.

2002 წლის 5 აგვისტოს ა. ხ-ანმა დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოპასუხეებად – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სა-

მინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია და და «აირზენა საქართველოს ავიახაზები» დაასახელა. ხსენებული სასარჩელო განცხადებით მოსარჩელემ მოითხოვა ბოლო 3 თვის ფაქტობრივად ნამუშევარი და მიღებული ხელფასის 60%-ის ოდენობით თანხის გადახდა, რაც 1008 ლარს შეადგენდა. ამასთან, სარჩელის შეტანიდან საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე ზიანის ანაზღაურება 11676 ლარის ოდენობით.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ხ-ანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიას და «აირზენა საქართველოს ავიახაზებს» ა. ხ-ანის სასარგებლოდ სოლიდარულად ყოველთვიური სარჩოს სახით – 420 ლარისა და ზიანის სახით – 5040 ლარის გადახდა დაეკისრა; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სსიპ «საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია» მიჩნეულ იქნენ არასათანადო მოპასუხეებად და მათ მიმართ მოთხოვნაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება ა. ხ-ანმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით შპს «აირზენა-საქართველოს ავიახაზებმა» გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ა. ხ-ანმა უარი თქვა მოთხოვნაზე შპს «აირზენა-საქართველოს ავიახაზების» მიმართ, ხოლო ამ უკანასკნელმა უარი თქვა სააპელაციო საჩივარზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 29 სექტემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს «აირზენა-საქართველოს ავიახაზების» განცხადება სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ და შეწყდა საქმის წარმოება შპს «აირზენა-საქართველოს ავიახაზების» სააპელაციო საჩივრის ნაწილში.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა. ხ-ანის სააპელაციო საჩივარი – გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. ხ-ანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიას დაეკისრა ა. ხ-ანის სასარგებლოდ 2002 წლის თებერვლიდან ყოველთვიური სარჩოს – 688 ლარის გადახდა და მასვე დაეკისრა დამატებითი ხარჯის – შრომისუუნარობის ნაწილობრივი დაკარგვის გამო ერთი წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ერთჯერადი დახმარების – 8256 ლარის გაცემა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 1 აპრილის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2004 წლის 10 მაისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე.

2008 წლის 3 ივნისს ა. ხ-ანმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2004 წლის 10 მაისს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ ლიკვიდირებული საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ნაცვლად, მისი უფლებამონაცვლე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მითითება და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა.

განცხადების ავტორის განმარტებით, «ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, 2002 წლის 1 იანვარს ლიკვიდაცია განიცადა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ, ხოლო «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, შეიქმნა ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. ამავ კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად კი ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ. ხსენებულ კანონში 2004 წლის 24 ივნისს განხორციელებული ცვლილების გამო, მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის შემდეგ მისი უფლებამონაცვლეობა გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ განცხადებას და განმარტა, რომ სააღსრულებო ფურ-

ცელში მოვალედ დასახელებულ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიის უფლებამონაცვლეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განჩინებით ა. ხ-ანის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2004 წლის 10 მაისს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ ლიკვიდირებული საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ნაცვლად უფლებამონაცვლის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მითითებისა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2008 წლის 2 ივლისს სასამართლო დავალების შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის 2008 წლის 24 ივნისის '01/34 წერილი (ინფორმაცია), რომლის თანახმადაც, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის წარმოებაში იმყოფებოდა ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 2004 წლის 10 მაისს გაცემული '38/641 სააღსრულებო ფურცელი, რომლის შესაბამისად, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიას ა. ხ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა 8256 ლარის და 2002 წლის 11 თებერვლიდან ყოველთვიურად – 688 ლარის გადახდა. მოვალეს – საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 1 ივნისის ჩაპბარდათ გაფრთხილება თანხის სამი თვის ვადაში ნებაყოფლობით გადახდის შესახებ, რაც არ შესრულებულა. კრედიტორმა ა. ხ-ანმა მოითხოვა მისი კუთვნილი თანხის ეტაპობრივად შესრულება. მათ მიერ 28.12.05 წ. თანხით 8256 ლარზე, 20.11.06წ. 3400 ლარზე და 05.07.07წ. კრედიტორის განცხადების საფუძველზე – 9024,91 ლარზე საქართველოს ეროვნულ ბანკში გაგზავნილ იქნა საინკასო დავალება კრედიტორის კუთვნილი თანხის უდავო წესით ჩამოწერის მიზნით. სპეციალური ჯგუფის ანგარიშზე თანხის ჩამორიცხვის შემდეგ გაიცა კრედიტორზე საბანკო ჩეკები. მათთვის ცნობილი გახდა, რომ ყოველთვიურ სარჩოს კრედიტორზე გასცემდა საქართველოს სპეციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, რომლის უფლებამონაცვლესაც წარმოადგენდა სოციალური სუბსიდიების სააგენტო, რომლის პასუხის თანახმად, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდსა და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას შორის არსებული 2001 წლის ხელშეკრულების საფუძველზე ფონდს დაფარული ჰქონდა ა. ხ-ანის კუთვნილი ყოველთვიური თანხა – 688 ლარი 2002 წლის თებერვლიდან 2006 წლის ოქტომბრამდე, ხოლო წინა პერიოდის დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება არ გააჩნდა. იმავე მოთხოვნით მიმართეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლეს, საიდანაც პასუხი ხსენებული ინფორმაციის წარმოდგენის მომენტისათვის ჯერ არ ჰქონდათ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაიცეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდებოდა სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტების საშუალებით, მაშინ კრედიტორს ან მის უფლებამონაცვლე პირს სარჩელი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა შეეტანა გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება ნაწილობრივ აღსასრულებელი იყო. ამასთან, არ იყო ნათელი, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიის უფლებამონაცვლეს გადაწყვეტილების აღსრულებელ ნაწილში წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ასევე, არ დასტურდებოდა, რომ უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი დოკუმენტი შედგენილი იყო სათანადოდ უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ. საგულისხმო იყო, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე მხარეებს წარმოადგენდნენ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისია, სსიპ «საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია», საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის შესრულების ვალდებულება დაეკისრა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიას (და არა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას).

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ხ-ანის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2004 წლის 10 მაისს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ ლიკვიდირებული საქართველოს ტრანსპორტისა და

კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ნაცვლად უფლებამონაცვლის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მითითებისა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განჩინებაზე ა. ხ-ანმა კერძო საჩივარი წარადგინა, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია ლიკვიდირებულია და საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულების საფუძველზე მას წარმოადგენდა შექმნილი სალიკვიდაციო კომისია. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სალიკვიდაციო კომისია არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოში არ გამოდიოდა როგორც იურიდიული პირი, რომელზეც სასამართლოს შეეძლო სარჩოს თანხის დაკისრება, ვინაიდან იგი წარმოადგენდა მხოლოდ მოპასუხეს – საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას, რომლის ლიკვიდაციის თაობაზე იყო მიღებული საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულება და ლიკვიდაციის პროცედურის დასრულებამდე სასამართლოს სხდომაზე მას წარმოადგენდა სალიკვიდაციო კომისია.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული იყო, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისია და რომ მოთხოვნის შესრულების ვალდებულება დაეკისრა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიას და არა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისია საერთოდ არ იყო შექმნილი.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების უფლებამონაცვლეს, რის გამოც მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ა. ხ-ანის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა 2009 წლის 29 იანვარს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, ა. ხ-ანის კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ხსენებული კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა. ხ-ანის სააპელაციო საჩივარი – გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ხ-ანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიას დაეკისრა ა. ხ-ანის სასარგებლოდ 2002 წლის თებერვლიდან ყოველთვიური სარჩოს – 688 ლარის გადახდა და მასვე დაეკისრა დამატებითი ხარჯის – შრომისუუნარობის ნაწილობრივი დაკარგვის გამო, ერთი წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ერთჯერადი დახმარების – 8256 ლარის გაცემა. ხსენებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 1 აპრილის განჩინებით კანონიერ ძალაში შევიდა, ხოლო 2004 წლის 10 მაისს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, რომელშიც მოვალედ მითითებული იყო საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის 2008 წლის 24 ივნისის 101/34 წერილის თანახმად, საქართველოს

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის წარმოებაში იმყოფებოდა ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 2004 წლის 10 მაისს გაცემული '3ბ/641 სააღსრულებო ფურცელი, რომლის შესაბამისად, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიას ა. ხ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა 8256 ლარის და 2002 წლის 11 თებერვლიდან ყოველთვიურად – 688 ლარის გადახდა. სააღსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველსაყოფად «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, მოვალეს – საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 1 ივნისს ჩაჰბარდათ გაფრთხილება თანხის სამი თვის ვადაში ნებაყოფლობით გადახდის შესახებ, რაც არ შესრულებულა. კრედიტორმა ა. ხ-ანმა მოითხოვა მისი კუთვნილი თანხის ეტაპობრივად შესრულება. მათ მიერ 28.12.05წ. თანხით 8256 ლარზე, 20.11.06წ. 3400 ლარზე და 05.07.07წ. კრედიტორის განცხადების საფუძველზე – 9024,91 ლარზე საქართველოს ეროვნულ ბანკში გაგზავნილ იქნა საინკასო დავალება კრედიტორის კუთვნილი თანხის უდავო წესით ჩამოწერის მიზნით. სპეციალური ჯგუფის ანგარიშზე თანხის ჩამორიგხვის შემდეგ გაიცა კრედიტორზე საბანკო ჩეკები. მათთვის ცნობილი გახდა, რომ ყოველთვიურ სარჩოს კრედიტორზე გასცემდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, რომლის უფლებამონაცვლესაც წარმოადგენდა სოციალური სუბსიდიების სააგენტო, რომლის პასუხის თანახმად, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდსა და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას შორის არსებული 2001 წლის ხელშეკრულების საფუძველზე ფონდს დაფარული ჰქონდა ა. ხ-ანის კუთვნილი ყოველთვიური თანხა – 688 ლარი 2002 წლის თებერვლიდან 2006 წლის ოქტომბრამდე, ხოლო წინა პერიოდის დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება არ გააჩნდა. იმავე მოთხოვნით მიმართეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლეს, საიდანაც პასუხი ხსენებული ინფორმაციის წარმოდგენის მომენტისათვის არ ჰქონდათ მიღებული.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება ნაწილობრივ აღსრულებულია, კერძოდ, ა. ხ-ანს აუნაზღაურდა შრომისუუნარობის ნაწილობრივ დაკარგვის გამო, ერთი წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ერთჯერადი დახმარების თანხა – 8256 ლარი და ყოველთვიური თანხა – 688 ლარი 2002 წლის თებერვლიდან 2006 წლის ოქტომბრამდე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკისრებულ დანარჩენ ასანაზღაურებელ თანხაზე უფლებამოსილ სუბიექტთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესების შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულებით შეიქმნა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია. აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მიმდინარეობის პერიოდში «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. აღნიშნული მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ. აღნიშნულ კანონში 2004 წლის 24 ივნისის 1195-ის კანონით განხორციელებული ცვლილებების თანახმად კი საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის გამო, მისი უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის 193 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – «შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილება, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდებოდა დანიშნული «ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს» გაცემის ვალდებულება, ხოლო ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

კი სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა ძველი წესით და-
ნიშნულ სარჩოზე არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148
ბრძანებულებით ა. ხ-ანს მინიჭებული ჰქონდა სარჩოს მიღების სამისდღემო უფლება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ «საქართველოს ტრანსპორტისა და
კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის
შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულება, რომლითაც შეიქმნა საქარ-
თველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკ-
ვიდაციო კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის
შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა «საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის
ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007
წლის 17 აგვისტოს 1428 განკარგულებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნი-
კაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია საბოლოოდ დასრულდა საქარ-
თველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს 1428 განკარგულებით, შესაბამისად საქართველოს ტრან-
სპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის დასრულებამდე, კანო-
ნიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ა. ხ-ანისათვის დანიშნული ყოველთვიური სარჩოს გაცემაზე უფ-
ლებამოსილ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

რაც შეეხება შემდეგი პერიოდის ასანაზღაურებელ თანხაზე უფლებამოსილ სუბიექტს, აღნიშნულთან
დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმი-
ნისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების
საფუძველზე უნდა გამოიკვლიოს, ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ ა. ხ-ანისათვის სასამართლოს კანო-
ნიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცე-
მის ფარგლებში «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის
ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების მე-2 მუხ-
ლის გათვალისწინებით ვინ წარმოადგენს ხსენებული ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურებაზე უფლებამო-
სილ სუბიექტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ხ-ანის კერძო საჩივარი უნ-
და დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად
დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-
ველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ხ-ანის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4
ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობისათვის დელიქტით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

ბს-972-936(3კ-08)

8 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

02.06.06წ. გ. ქ-იას კანონიერმა წარმომადგენელმა ნ. გ-უამ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და კომპანია «...» მიმართ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მიყენებული არა-ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **26.07.05წ.** გადაწყვეტილებით გ. ქ-იას კანონიერი წარმომადგენლის – ნ. გ-უას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეებს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრსა და კომპანია «...» გ. ქ-იას სასარგებლოდ დაეკისრათ **90 000** ლარის თანაბარწილად გადახდა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გ. ქ-იას სასარგებლოდ დაეკისრა აგრეთვე ყოველთვიურად **50** მინიმალური ხელფასის ოდენობით თანხის გადახდა, გადახდის დღისათვის არსებული მინიმალური ხელფასის გათვალისწინებით **2054** წლის 1 ივნისამდე, სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილებით საბოლოოდ დადასტურდა, რომ გ. ქ-იას დაავადება გამოწვეულია ჰეპატიტი **B**-ს საწინააღმდეგო ვაქცინით, რამაც ჩამოუყალიბა პოსტვაქცინალური მწვავე ენცეფალომელიტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **413-ე** მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს **26.07.05წ.** გადაწყვეტილებით მავნე შედეგის არსებობა და მოპასუხეთა ბრალი დადასტურებულია. გ. ქ-იას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული არაქონებრივი ზიანი გამოიხატება იმ მწვავე სულიერი ტკივილებითა და ფსიქიკური აშლილობით, რომლებიც გააჩნიათ გ. ქ-იასა და მის მშობლებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **16.10.06წ.** განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის **16.2** მუხლის საფუძველზე მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **05.12.06წ.** გადაწყვეტილებით სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – კომპანია «...-ს» და გ. ქ-იას სასარგებლოდ **10 000** ლარი, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს **1 000** ლარი დაეკისრათ, გ. ქ-იას წარმომადგენლის – ნ. გ-უას სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **05.12.06წ.** გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, კომპანია «...-მ» და გ. ქ-იას კანონიერმა წარმომადგენელმა. სააპელაციო სასამართლოს **10.07.07წ.** განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **29.05.08წ.** გადაწყვეტილებით გ. ქ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – კომპანია «...-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **05.12.06წ.** გადაწყვეტილების შეცვლით, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კომპანია «...-ს» გ. ქ-იას სასარგებლოდ **25 000** (ოცდახუთი ათასი) ლარის, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს **5000** (ხუთი ათასი) ლარის ანაზღაურება დაეკისრათ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ სწორად იქნა გამოყენებული სსკ-ის **106-ე** მუხლი, რომლის საფუძველზეც, პრეიუდიციული მნიშვნელობა მიენიჭა უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, სასამართლომ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირებად მოპასუხეები მიიჩნია. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის – კომპანია «...-ის» მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის **413-ე** მუხლი ითვალისწინებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში. არაქონებრივი ზიანი თავისი ბუნებით არ წარმოადგენს დაზარალებულისთვის რაიმე მატერიალური დანახარჯის კომპენსაციის წყაროს. იგი მიეცემა დაზარალებულს სულიერი ტანჯვის საკომპენსაციოდ. ამდენად, მორალური ზიანი თავისი შინაარსით არამატერიალური ცნებაა და აქედან გამომდინარეობს კანონის დანაწესი მისი ოდენობის დასადგენად მხოლოდ გონივრულობისა და სამართლიანობის და არა რაიმე ფაქტობრივი მატერიალური დანაკარგის გათვალისწინების თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზარალებულისათვის მორალური ზიანის მიყენება უკავშირდება არა უშუალოდ რაიმე შემთხვევის დადგომის მომენტს, არამედ თვით ამ პირის განცდას, იმას თუ რა დროიდან მიადგება მას სულიერი ტკივილი. შეუძლებელია სხვა პირისთვის იმის გაგება, თუ როდის მიადგა დაზარალებულს მორალური ზიანი, ვინაიდან იგი არანაირ ფაქტობრივ გარემოებასთან არ არის დაკავშირებული და დამოკიდებულია მხოლოდ პირის სუბიექტურ შეხედულებასთან. ამდენად, სააპელაციო პალატის მიერ დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული მოპასუხის აპელირება სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა კომპანია «...-ის» მოსაზრება კონკრეტულ ვითარებაში საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრალულობის უფრო მაღალი ხარისხის არსე-

ბოზის თაობაზე და მიუთითა, რომ პრეპარატის მწარმოებელ კომპანიას მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აგრეთვე გ. ქ-იას წარმომადგენელთა მოსაზრება ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტების მიერ რაიმე დამატებითი მტკიცებულება მოპასუხეთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ სააპელაციო სასამართლოსთვის წარდგენილი არ ყოფილა. საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებით, მოპასუხე კომპანია «...-ის», ასევე, სამინისტროს ქონებრივი მდგომარეობის, მათი ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის მორალური ზიანის სახით გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებას წარმოადგენს **30000** ლარი, საიდანაც **5000** ლარის გადახდა უნდა დაეკისროს სამინისტროს, ხოლო **25000** ლარი – კომპანიას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ქ-იას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **29.05.08**წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. ქ-იამ, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და კომპანია «...-მ».

გ. ქ-იამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ არის სამართლიანი და გონივრული. კასატორი დამოკიდებულია ტკივილგამაყუჩებლებზე და ანტიდეპრესანტებზე, ავადმყოფობის გამო უმძიმესია მისი ფსიქიკური მდგომარეობა, იზრდება დეპრესიის დონის მაჩვენებელი, გაურბის ახალ ადამიანებთან ურთიერთობას, დათრგუნულია, დაკარგული აქვს ინტერესი გარშემო მყოფთა მიმართ. **18** წლის მოზარდისათვის მნიშვნელოვანია პრესტიჟის, ავტორიტეტის მოთხოვნილება და საზოგადოებაში საკუთარი პიროვნების თვითდამკვიდრება, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მას უჭირს ემოციური სტაბილურობის შენარჩუნება. სააპელაციო სასამართლოს არ მიუცია შეფასება ზემოაღნიშნული გარემოებებისათვის, რომლებიც დასტურდება მტკიცებულებათა ერთობლიობით, რის გამოც კასატორი თვლის, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება **30000** ლარის ოდენობით, არ წარმოადგენს სამართლიან და გონივრულ ანაზღაურებას. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ აპელანტების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე დამატებითი მტკიცებულება მოპასუხეთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქონებრივი მდგომარეობის შეფასება, საკმაოდ ადვილია, რადგან სამინისტროთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც ნორმატიულ აქტს წარმოადგენს და სასამართლოსათვის ძნელი დასადგენი არ იყო, თუ ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერ გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტი და აქვს თუ არა სახელმწიფოს იმის საშუალება, გონივრულად და სამართლიანად აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული ზიანი. რაც შეეხება კომპანია «...-ის» ქონებრივ მდგომარეობას, საქმეზე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიში, სადაც აღნიშნულია გაყიდვების საერთო რაოდენობა და სუფთა ზარალი, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია **2003, 2004, 2005** წლების მონაცემები და არა **2006, 2007** ან თუნდაც **2008** წლების ფინანსური მდგომარეობა. ამდენად, სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და დადგენის გარეშე გააკეთა სამართლებრივი შეფასება და მიიღო გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ამასთან, გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რისი მიზეზიც სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობა და მტკიცებულებათა შეუფასებლობაა.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და კომპანია «...-მ» სააპელაციო სასამართლოს **29.05.08**წ. გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის **106-ე** მუხლის განმარტებით, რომლითაც მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, დადგენილად მიიჩნია ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად სამინისტრო. სასამართლოს არ უმსჯელია სსკ-ის **992-ე** მუხლთან მიმართებაში სამინისტროს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაზე (რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს **26.07.05**წ. გადაწყვეტილებაშიც, სადაც კასატორი მოითხოვდა ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, არ არის გამოკვეთილი) და არც იმ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე, რომლის საფუძველზეც ყოველგვარი მტკიცებულებებისა და დასაბუთების გარეშე გაიზარდა მორალური ზიანის ანაზღაურება. კასატორს მორალური ზიანის გადაყვანა ფულადი ანაზღაურების ამგვარ ხარისხში არ მიაჩნია დასაბუთებულად. მორალური ზიანი არის ის განცდა თუ ფიზიკური ტკივილი, რომელსაც უშუალოდ დაზარალებული განიცდის. ამასთან დაკავშირებით, გ. ქ-იას მიერ ასაკის გამო მორალური ზიანის არსებობა გათვითცნობიერებული არ აქვს. სსკ-ის **413-ე** მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი, თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი არსებობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებაც პირდაპირ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას კონკრეტული ნორმა უნდა დაედოს საფუძველად, რომელზეც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის.

შპს «...» საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორი განმარტება მისცა ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ საკითხს და გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა სკ-ის 1008-ე მუხლი, რომელიც ადგენს დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადას. კასატორის აზრით, სააპელაციო პალატის მოსაზრება ხანდაზმულობის ვადის თაობაზე არ არის მართებული და ის სრულიად უკარგავს აზრს კანონით განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადის ცნებას. სკ-ის 128-ე მუხლი ადგენს, რომ სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. სკ-ის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს და ის იმ მომენტიდან აითვლება, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. კანონის ეს ნორმა არ განასხვავებს და არ გამოყოფს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს, მასში ზოგადად ზიანზე და ამ ზიანის მოთხოვნისთვის დადგენილ ხანდაზმულობის ვადაზეა საუბარი, რაც გულისხმობს იმას, რომ სკ-ის 1008-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა შეეხება როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. მოთხოვნის უფლება კი წარმოიშობა არა ჯანმრთელობის გაუარესებიდან ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ, არამედ იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ზიანი კი მოცემულ შემთხვევაში დადგა გ. ქ-იას ჯანმრთელობის გაუარესების მომენტში (2002 წ.) და სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშვა მას ზიანის (როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის) ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ გ. ქ-იას მოთხოვნა ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ ხანდაზმულია. კასატორი თვლის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო ხანდაზმულობის ვადას არ მიიჩნევდა გაშვებულად, მაინც არ არსებობდა შპს «...» მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი, რადგან სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ **B-ჰეპატიტის** საწინააღმდეგო ვაქცინასა და იმ დაავადებას შორის, რაც გ. ქ-იას განუვითარდა, ზოგადად არ არის დადგენილი კავშირი, ანუ შეუძლებელია ეს დაავადება უტყუარად მიჩნეულ იქნეს **B-ჰეპატიტის** საწინააღმდეგო ვაქცინის გვერდით მოვლენად. «მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის თანახმად დამამზადებელი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ. კომპანია «...-ის» მიერ წარმოებული **B-ჰეპატიტის** საწინააღმდეგო ვაქცინა ლიცენზირებულია და დაშვებულია გამოყენებისათვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, რაც ასევე გულისხმობს იმას, რომ მისი წარმოებისას დაცულია, როგორც მწარმოებელი სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ყველა აუცილებელი მოთხოვნა, გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. ვაქცინა არ არის განკუთვნილი მაინც და მაინც ქართული ბაზრისათვის და ის კომპანია «...-ის» მიერ არ ყოფილა იმპორტირებული საქართველოსათვის. ეს გარემოება, კასატორის აზრით, მთლიანად გამორიცხავს შპს «...» ვალდებულებას, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები. შესაბამისად, ვაქცინის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის, გვერდითი მოვლენების ჩათვლით, მომხმარებლისა თუ წამლის სააგენტოსათვის მიწოდების ვალდებულება ეკისრება და არა მწარმოებელს, არამედ მის შემომტანს.

კასატორმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მორალური ზიანისათვის კომპენსაციის განსაზღვრისას, მართალია, სასამართლომ მართებულად გაითვალისწინა კომპანია «...-ის» ფინანსური მდგომარეობა, თუმცა, კასატორის აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია იმ თვალსაზრისით, რომ კომპანია «...-ს» უფრო მეტი თანხის გადახდა დაეკისრა, ვიდრე მეორე მოპასუხეს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. აღნიშნული მით უფრო დაუშვებელია იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო მოპასუხეთა ბრალეულობის განსაზღვრისა და გადაწყვეტილების გამოტანისას ხელმძღვანელობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.07.05წ. გადაწყვეტილებით. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში კი ძირითადად სწორედ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრალეულობაა გამოკვეთილი და მასვე დაეკისრა უფრო მეტი პასუხისმგებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია «...-ის» უფრო მეტი თანხის დაკისრება დაუსაბუთებელია და ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, მოსარჩელემ რომელი მოპასუხისათვის რა თანხის დაკისრება ითხოვა. სასამართლოს არგუმენტაცია, რომ შპს «...», როგორც პრეპარატის მწარმოებელ კომპანიას, მეტი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს, არასწორია, რადგან კომპანია «...», მართალია, წარმოადგენს ვაქცინის მწარმოებელს, მაგრამ მის მიერ წარმოებული ვაქცინა შეესაბამება დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს და ვაქცინის ხარისხზე პრეტენზია გ. ქ-იას და მის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ. სწორედ სახელმწიფოს, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნორმატიული აქტების საფუძველზეა ვაქცინაცია სავალდებულო და შესაბამისად, ბავშვებს ვაქცინაცია უტარდებათ იმიტომ, რომ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ დაადგინა ის სავალდებულოდ. მოცემულ შემთხვევაში გ. ქ-იასათვის ვაქცინის გაკეთება არ იყო სავალდებულო, რადგან სავალდებულო ვაქცინაცია სხვა ასაკის ბავშვებისათვის იყო დადგენილი, რაც სახელმწიფოს ბრალეულობას ამცირებს, თუმცა ეს, თავის მხრივ, არ იწვევს ვაქცინის მწარმოებლის პასუხისმგებლობის გაზრდას, მით უფრო, რომ ვაქცინის ხარისხზე პრეტენზია არ დამდგარა. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს არგუმენტაცია კომპანია «...», როგორც ვაქცინის მწარმოებლისათვის, მეტი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, არ არის დასაბუთებული სამართლებრივად და არ არის მითითებული შესაბამისი

სამართლის ნორმა. ის გარემოება, რომ გ. ქ-იას ვაქცინა გაუკეთდა არა სავალდებულო ვაქცინაციის ფარგლებში, არამედ ვაქცინაციისათვის ნორმატიული აქტებით დადგენილი ასაკისა და ვადების დარღვევით, მშობლების ინიციატივით, მიუთითებს თავად დაზარალებულის მშობლების ბრალეულობაზეც, რაც სკ-ის 415-ე მუხლის თანახმად, ასევე, უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 21.01.09წ. განჩინებით გ. ქ-იას, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შპს «...» საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მათი დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს «...» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, გ. ქ-იას საკასაციო საჩივრის ნაწილობრივი დაკმაყოფილებით უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «...» გ. ქ-იას სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სახით დაეკისროს 75000 ლარის, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 15 000 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.07.05წ. გადაწყვეტილებით დადგენილია ვაქცინაციასა და დამდგარ მძიმე შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და უმოქმედობით გამოწვეული ზიანის არსებობა. საკასაციო სასამართლომ 26.07.05წ. გადაწყვეტილებით დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ქ-ია – ჰეპატიტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრის გაკეთებამდე იყო ჯანმრთელი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ემთხვევა ვაქცინაციის შემდგომ პერიოდს, საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა პოსტვაქცინალური მწვავე ენციფალომელიტი და შესაბამისად, ადგილი აქვს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის. ზალცბურგის კლინიკის წინასწარი ანგარიშის, ერლანგერ-ნიურნბერგის ფრიდრიხ ალექსანდერის უნივერსიტეტის ორთოპედიის, ნევროლოგიის, პედიატრიის და რევმატოლოგიის კლინიკის დიაგნოზის, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს დასკვნის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე საკასაციო პალატის 26.07.05წ. გადაწყვეტილებით დადგენილია პოსტვაქცინალური მწვავე ენციფალომელიტის ფაქტი. «წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ» კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 1¹ მუხლის მე-18 პუნქტის, სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად დადგინდა, რომ სახეზეა უმოქმედობით გამოწვეული ზიანი. ამდენად დადგენილია, რომ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. ხსენებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა სსკ-ის 106-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე არ იზიარებს კასატორების: შპს «...» და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრებში მოყვანილ მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ არ არის დადგენილი ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სკ-ის 413-ე მუხლის თანახმად მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. «პაციენტის უფლებების შესახებ» კანონის მე-10 მუხლის «ა» და «ა.დ» ქვეპუნქტის, თანახმად, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს მიერ არასწორად განხორციელებული ზედამხედველობითა და რეგულირებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.07.05წ. გადაწყვეტილებით სახელმწიფოს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით, «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 და მე-15 მუხლების პრინციპებიდან გამომდინარე, დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილებით ასევე დადგინდა, რომ პრეპარატს, რომელიც გამოყენებულ იქნა ვაქცინაციის მიზნით, არ გააჩნდა ინფორმაცია გვერდითი მოვლენების შესახებ, თუმცა საქმეში წარმოდგენილი იყო არაერთი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა იმ გვერდითი მოვლენების არსებობის ფაქტს, რომელიც შესაძლოა თანახლდეს B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციას, მაგ: პარეზი, გიემზარეს სინდრომი, ენცეფალიტი და ა. შ. «პაციენტის უფლებების შესახებ» კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია განზრახული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების, მათი თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ. აუცილებელი, კანონით გათვალისწინებული ახსნა-განმარტების მიცემის იგნორირება დაუშვებელია. აღნიშნული ინფორმაციის – ვაქცინის უკუჩვენებების სრულად დაუფიქსირებლობამ მშობლებს მოუსპო საშუალება, გაეკეთებინათ არჩე-

ვანი ვაქცინასა და სავარაუდო შედეგს შორის. მოსალოდნელი მძიმე შედეგების გათვალისწინებით შპს «...» ვალდებული იყო ვაქცინის გვერდითი მოვლენების შესახებ გაეცა ინფორმაცია და განემარტა მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების შესახებ, რათა მათი გათვალისწინებით მოსარჩელე მხარეს მიეღო მისი ჯანმრთელობისათვის ნაკლებად საზიანო გადაწყვეტილება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ პაციენტს მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების ახსნის შემთხვევაში მიეღო გადაწყვეტილება **B-ჰეპატიტის** საწინააღმდეგო აცრის შესახებ. მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის გამო, პაციენტს არ ჰქონდა შეთავაზებულ ვაქცინაზე უარის თქმის საბაზი.

მოპასუხეების ქმედებას (უმოქმედობას) უდავოდ მოჰყვა მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი არაერთი მტკიცებულებით. ამასთანავე, მოსარჩელეს შენარჩუნებული აქვს ალქმის და კომუნიკაციის უნარი, მისი ცნობიერება და ინტელექტი ჩვეულებრივი განვითარებისაა. გ. ქ-ია ყოველდღიურად და რეგულარულად საჭიროებს სხვა პირის მზრუნველობას. სახეზეა დელიქტი, რომელსაც მოჰყვა არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ისეთი მორალური ზიანი, რომლის დადგომის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს მის ანაზღაურებას. მორალური ზიანი არის ის განცდა თუ ფიზიკური ტკივილი, რომელსაც უშუალოდ დაზარალებული განიცდის. ტკივილისა და სულიერი ტანჯვის აღქმა და გათვითცნობიერება არ უკავშირდება პირის ქმედუნარიანობას (სრულწლოვნების ასაკს) და იგი ასაკობრივი თავისებურებების გამო (პრესტიჟის, პიროვნების თვითდამკვიდრების გამახვილებული გრძობა და სხვ.) შესაძლოა უფრო მეტი სიმწვავეთ განიცადოს მოზარდმა, რომლის ჯანმრთელობასაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაღდა. ამასთანავე, გ. ქ-ია საქმის განხილვის დროისათვის არის სრულწლოვანი. ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გ. ქ-იას ასაკის გამო გათვითცნობიერებული არ აქვს მორალური ზიანის არსებობა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს შპს «...» და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრებში მოყვანილ მოსაზრებას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ გ. ქ-იას მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. სკ-ის **1008-ე** მუხლის თანახმად დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში გ. ქ-იასათვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი არ უკავშირდება კონკრეტულ თარიღს. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ გ. ქ-იას აცრა **18.03.02წ.** ჩაუტრდა, პირველი სამედიცინო დასკვნა მომზადდა **2002 წლის** ივლისში, მოსარჩელემ მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს **29.05.04წ.** მიმართა, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი **02.06.06წ.** აღძრა. საკასაციო პალატა თვლის, რომ მორალური ზიანის მიყენება არ უკავშირდება უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით, მკურნალობის უშუალოდ, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების წესის და რიტმის შეცვლის, დათრგუნულობის, გაურკვეველობის, ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვიული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დადგეს. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ის გარემოებაც, რომ მოსარჩელესათვის ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირების შესახებ საბოლოოდ ცნობილი გახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს **26.07.05წ.** გადაწყვეტილებით, რაც ასევე ადასტურებს ხანდაზმულობის ვადის გაცდენით სარჩელის აღძვრის კასატორთა მოსაზრების უსაფუძვლობას. ამდენად, შპს «...» საკასაციო საჩივარში მითითება სკ-ის **128-ე, 1008-ე** მუხლებით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადაზე არ ადასტურებს მოსარჩელის მიერ ხანდაზმულობის ვადის გაცდენას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კონკრეტულ შემთხვევაში დაკავშირებულია არაქონებრივ უფლებათა დარღვევასთან. არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მოცემულ შემთხვევაში დელიქტით გამოწვეული მძიმე შედეგის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხოლოდ დარღვევის ფაქტის კონსტატაცია არ არის საკმარისი არაქონებრივი სიკეთის (ჯანმრთელობის) შელახვით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაციისათვის. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გ. ქ-იას სასარგებლოდ შპს «...» **25 000** ლარის, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის **5000** ლარის დაკისრება სამართლიან შესაბამისობაში არ არის მიყენებულ ზიანთან. სამოქალაქო კოდექსის **413-ე** მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური

ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი გაწონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს.

ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყდეს. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ მიუთითებს მორალური ზიანის ოდენობაზე, მორალური ზიანის ანაზღაურების თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია, დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა პირობაზე (ქონებრივი, საყოფაცხოვრებო და სხვ). საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, მკურნალობისათვის გასაწევი ხარჯები მატერიალური და არა მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვისას მიიღება მხედველობაში, ამდენად გ. ქ-იას საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება საზღვარგარეთ მკურნალობის გაგრძელების საჭიროების შესახებ არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების სიდიდის განმსაზღვრელ ფაქტორს. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ფიზიკური და მორალური ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება, ამასთანავე, მოსარჩელე გ. ქ-იას ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით მშობლების სულიერ განცდებს აგრეთვე არ აქვს მნიშვნელობა კომპენსაციის ოდენობისათვის, ვინაიდან ისინი არ არიან თანამოსარჩელები საქმეზე. მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოპასუხეებს არ ჰქონდათ მოსარჩელის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების განზრახვა, სახეზეა გაუფრთხილებელი ბრალი. ამასთანავე, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის მოპასუხეებისათვის დაკისრებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოპასუხეთა ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, და მოპასუხეებს, მოსარჩელის მოთხოვნის პროპორციულად, უნდა დაეკისროთ გ. ქ-იას სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება შემდეგი ოდენობით: შპს «...» – 75 000 ლარისა, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 15 000 ლარის ოდენობით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.07.05წ. გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთჯერად ფულად კომპენსაციასთან ერთად, გ. ქ-იას სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 50 მინიმალური ხელფასის ოდენობით თანხის გადახდა, გადახდის დღისათვის არსებული მინიმალური ხელფასის გათვალისწინებით 2054 წლის 1 ივნისამდე. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული თანხის დაკისრებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შპს «...» შედარებით, გ. ქ-იასათვის მიყენებული ზიანისათვის დაკისრებული აქვს მომეტებული მატერიალური პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ შპს «...» უმოქმედობით გამოწვეული გ. ქ-იასათვის მიყენებული ზიანი და მისი, როგორც პროდუქციის მწარმოებლის ბრალეულობის მაღალი ხარისხი, დადგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.07.05წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან მწარმოებელი – შპს «...» ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებაზე – სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის გვერდითი მოვლენების სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალისწინებით გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, კორპორაცია ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და გააფრთხილოს სავარაუდო თანამდევ შედეგებზე, რათა პაციენტმა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ხსენებული დასტურდება აგრეთვე სკ-ის 318-ე მუხლით, რომელიც ადგენს კონტრაქტის ვალდებულებას ინფორმაციის გაცემის თაობაზე. «მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დამამზადებელმა მომხმარებელს უნდა

მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რაც მისცემს მას სწორი არჩევანის შესაძლებლობას. ამავე წესს ითვალისწინებს «წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის 26.4 მუხლი, რომლის თანახმად, სამკურნალო საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების სუბიექტები ვალდებული არიან წამლის სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია სამკურნალო საშუალების სხვა ურთიერთქმედების თავისებურებათა შესახებ, რომელიც მითითებული არ არის მათი გამოყენების ინსტრუქციაში. ამდენად, მწარმოებელს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში უზრუნველყოფდა მის მიერ წარმოებული პროდუქტი მომხმარებლის უსაფრთხოებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ ფარმაცევტული საწარმოს უმოქმედობით გამოწვეული მძიმე შედეგი ქმნის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით გ. ქ-იას სასარგებლოდ შპს «...» უნდა დაეკისროს 75000 ლარის, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 15000 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში გ. ქ-იას მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს «...» საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს. გ. ქ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.08წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს «...» დაეკისროს გ. ქ-იას სასარგებლოდ 75000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ანაზღაურება;
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადახდეს გ. ქ-იას სასარგებლოდ 15000 ლარის ანაზღაურება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობისათვის დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება; სარჩო

განჩინება

18ს-943-907(კ-08)

10 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 4 იანვარს თ. მ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიისა და მესამე პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1972-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციაში საჰაერო ხომალდის მეთაურად. 1988 წელს საფრენოსნო სამედიცინო კომისიის მიერ დაუდგინდა – კოხლეალური ნევრიტი, 2005 წელს თბილისის ა. მახვილამის სახელობის მედიცინისა და ეკოლოგიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის დასკვნით კი პროფესიული დაავადება, რის საფუძველზეც თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს გადაწყვეტილებით მიეკუთვნა მე-3 ჯგუფის ინვალიდობა, პროფესიული შრომისუნარიობის 60% დაქვეითებით.

მოსარჩელის განმარტებით, «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების 33-ე მუხლების დებულებათა შესაბამისად, დამქირავებელი-საქართველოს სა-

მოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია მატერიალურად პასუხისმგებელია მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული ზიანისათვის და დაზარალებულს უნდა გადაუხადოს ყოველთვიური სარჩო, ხოლო ამავე ბრძანებულების მე-11 მუხლის დებულებათა შესაბამისად განსაზღვრულია წესი ყოველთვიური სარჩოს გაანგარიშებისა. ა/კ «საქართველოს ავიახაზების» ბუღალტერიის 2002 წლის 22 თებერვლის 13.114 ცნობის შესაბამისად საჰაერო ხომალდზე – მეთაურისათვის საშუალოდ ხელფასი შეადგენს 1276,6 ლარს, საიდანაც მას, როგორც პროფდაავადებულს ეკუთვნის 60%, რაც შეადგენს – 765,96 ლარს, რის თაობაზეც მიმართა მოპასუხეს, მაგრამ 2005 წლის 14 აპრილის 1574/07 წერილით უარი ეთქვა ზემოაღნიშნულის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ სარჩო მოთხოვნილი უნდა ყოფილიყო ავიაკომპანიებისაგან. მოსარჩელის მითითებით, ვინაიდან პროფდაავადებით დაავადდა 1988 წელს, როდესაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ავიაციის სისტემა არსებობდა, დღეს კი ავიაკომპანიები არ არიან აეროფლოტის სისტემის ორგანიზაციების სამართალმემკვიდრენი. ამ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99 წლის 148 ბრძანებულების თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება უფლებამონაცვლეს, რომელსაც წარმოადგენს მოპასუხე, რაც ასევეა დადასტურებული საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხეს – საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს, როგორც ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის სამოქალაქო ავიაციის სამართალმემკვიდრეს, დაკისრებოდა ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის – 675,96 ლარის ყოველთვიურად, 2005 წლის 22 მარტიდან მდგომარეობის შეცვლამდე ანაზღაურება.

2006 წლის 31 იანვარს მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ამჯერად მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მესამე პირების: საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის მიმართ, რომელშიც მიუთითა, რომ 2006 წლის 6 იანვარს ისანი-სამგორის რაიონული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს გადაწყვეტილებით მიეკუთვნა ინვალიდობა უვადოდ, 80% შრომისუნარიანობის დაქვეითებით. მოსარჩელემ დააზუსტა, რომ საჰაერო ხომალდის მეთაურის საშუალო ხელფასი შეადგენდა 1276,6 ლარს, საიდანაც მას, როგორც 60% პროფდაავადებულს, ეკუთვნოდა 2005 წლის 22 მარტიდან 2006 წლის 6 იანვრამდე 765,96 ლარი, ხოლო 2006 წლის 6 იანვრიდან-მდგომარეობის შეცვლამდე, შრომისუნარიანობის 80% დაქვეითების გათვალისწინებით – 1021,28 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით თ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა თ. მ-ძის მიმართ პროფდაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მიზნით 2005 წლის 23 მარტიდან 765,96 ლარის, ხოლო 2006 წლის 6 იანვრიდან 1021,28 ლარის ყოველთვიურად გადახდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების მე-2 მუხლის თანახმად, დამქირავებელი მატერიალურად პასუხისმგებელია მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის, აგრეთვე, იმ საწარმოო ტრავმისათვის, რომელიც მოხდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე, სამუშაოზე, ან სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას დამქირავებლის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტზე. ამავე ბრძანებულების მე-3 მუხლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანი უნდა აუნაზღაუროს იმ დამქირავებელმა, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ამ უკანასკნელის ბრალის არსებობის შემთხვევაში. დადგენილია, რომ მოსარჩელეს პროფდაავადება დაუდგინდა 1988 წელს – ჯერ კიდევ საქართველოს სსრ სამოქალაქო ავიაციის სამართველოსთან შრომითი ურთიერთობის დროს.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, 1999 წლის 148 ბრძანებულების 42-ე მუხლის შესაბამისად, საწარმოს, დაწესებულების რეორგანიზაციის (შერწყმის, შეერთების, გამოყოფის, გარდაქმნის) შემთხვევაში განცხადება შეტანილ უნდა იქნეს მის უფლებამონაცვლე ორგანიზაციაში, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი. მოსარჩელე თ. მ-ძის (იყო რა იგი საჰაერო-საფრენი ხომალდის მეთაური), დამქირავებელი საბოლოოდ იყო ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია (როგორც საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამართველოს სამართალმემკვიდრე).

«ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს 2001 წლის 20 ივლისის 1012-რს კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2001 წლის 28 დეკემბრის 110 ბრძანების შესაბამისად შეიქმნა «საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია», რომლის დებულების პირველი პუნქტის თანახმად, ახლად შექმნილი «ადმინისტრაცია არ წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 29 ივ-

ნისის 1279 ბრძანებულების შესაბამისად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სისტემის სტრუქტურული ერთეულის – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულებით შეიქმნა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია და ამავე განკარგულების მე-3 მუხლის «ბ» პუნქტის თანახმად ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყო საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ, მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანების და ამ კატეგორიის მუშაკთა მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული თანხების დაფარვა. სასამართლოს მითითებით, აღსანიშნავია, რომ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მიმდინარეობის პერიოდში «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» 2004 წლის 11 თებერვლის 13277-11ს საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე შეიქმნა ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო და მისი მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. ამავე კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის (ე.ი. 35-ე მუხლის) საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ, ამასთანავე, მე-9 პუნქტის თანახმად, ლიკვიდაციას დაქვემდებარებულ დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე, მათი გაუქმების უფლებამოსილება მიენიჭა მათ უფლებამონაცვლე სამინისტროებს. გარდა აღნიშნულისა, «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის 1812 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ლიკვიდაცია, მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა სალიკვიდაციო კომისია, მე-14 პუნქტმა კი განსაზღვრა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს უფლებამონაცვლე – ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო. 2. საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს 2004 წლის 11 თებერვლის 13277-11ს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის (195) კანონის მე-2 მუხლით საქართველოს მთავრობას დაევალა 2 თვის ვადაში უზრუნველყო: ა) საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება . . . და ქონების საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის გადაცემა».

«საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თაობაზე საქართველოს მთავრობამ 2004 წლის 22 ივნისის გამოსცა 180 განკარგულება, შესაბამისად კანონში შეტანილ ზემოაღნიშნულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია და არც შეუცვლია 35-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების დებულებები, რაც იმას ნიშნავს, რომ 35-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ისევ ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ.

148 ბრძანებულების მე-11 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, დაზარალებულს ზიანი უნაზღაურდება ყოველთვიური სარჩოს გადახდით იმ ვადით, რა ვადითაც დადგენილი აქვს შრომის უნარის ხარისხის დაკარგვა, მიუხედავად იმისა, მინიჭებული აქვს თუ არა ინვალიდობის ჯგუფი. ამავე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, ზიანი ანაზღაურდება იგივე ან იმავე თანრიგის ნებისმიერი სპეციალობის მუშაკის ბოლო 3 თვის სრულად ნამუშევარი, ფაქტობრივად მიუღებელი საშუალო ხელფასიდან იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც დაკარგული აქვს შრომის უნარის ხარისხი. მოსარჩელეს შრომის უნარის ხარისხის დაკარგვა 2005 წლის 23 მარტიდან დაუდგინდა 60%. საპაერო ხომალდის სამეთაურო შემადგენლობის მფრინავის საშუალო ხელფასი, რომლის მიხედვითაც ბოლო სამი თვის ნამუშევარმა შეადგინა 3830 ლარი, არის საშუალოდ 1276,6 ლარი, რომლის 60% შეადგენს 765,96 ლარს. 2006 წლის 6 იანვრიდან მოსარჩელეს დაუდგინდა შრომის უნარიანობის დაკარგვა 80% უვადოდ (1276.6 80% = 1021,28 ლარი).

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საყოველთაოდ ცნობილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1991 წლის 9 აპრილის აქტში, ცალსახადაა აღნიშნული, რომ საქართველოს სახელმწიფო არ წარმოადგენს საქართველოს სსრკ-ს სამართალმემკვიდრეს. არ არსებობს არც ერთი ნორმატიული აქტი, რომელიც ადგენს საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს – საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის უფლებამონაცვლეობას. სამართლებრივი თვალსაზრისით, მსჯელობა უფლებამონაცვლეობაზე საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის, ჯერ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების და შემდეგ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსი, არამართებულია.

შესაბამისად, აპელანტის განმარტებით, შეუძლებელია გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობის გაზიარება იმის თაობაზე, რომ ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო და საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ 2004 წლის 11 თებერვლის საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ.

ბულებების უფლებამონაცვლედ, ანუ სასამართლო ამ შემთხვევაში მსჯელობს დაწესებულების ლიკვიდაციაზე და, შესაბამისად, ადგენს მის უფლებამონაცვლე ორგანიზაციას. ასეთი მსჯელობა გამორიცხავს 1999 წლის 148 ბრძანებულების 42-ე მუხლის გამოყენებას, რადგან მასში ცალსახად არის საუბარი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეორგანიზაციაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს შერწყმას, შეერთებას, გაყოფას, გამოყოფას, გარდაქმნას და არა – ლიკვიდაციას. საყურადღებოა, ასევე ის ფაქტიც რომ ლიკვიდაცია წარმოადგენს ისეთი ცვლილებების განხორციელებას, რომლის შედეგადაც იგი წყვეტს საქმიანობას, ანუ დაწესებულება აღარ განაგრძობს ფუნქციონირებას. მისი უფლებები და მოვალეობები სხვა დაწესებულებას არ გადაეცემა. ამასთან, ლიკვიდაციის დროს არ დაიშვება უფლებამონაცვლეობა.

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ 2004 წლის 11 თებერვლის საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად განხორციელდა ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაცია, რის შემდეგაც ქონება და გარკვეული ფუნქციები, რაც კონკრეტულად არის განსაზღვრული, გადაეცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მაგრამ არ არსებობს არც ერთი აქტი, რომელიც ადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის რაიმე ვალდებულებების გადაცემას, ასევე, არც მითითებულ კანონს თუ სხვა ნორმატიულ აქტს არ განუსაზღვრავს მოპასუხის სამართალმემკვიდრეობა ლიკვიდირებული ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს მიმართ.

სასამართლოს 148 ბრძანებულების მე-11 მუხლის «ა» ქვეპუნქტზე მითითებით ზიანის ფორმალური შემაჯავებლობის გამოკვლევის გარეშე დაადგინა, რომ მოსარჩელეს პროფდაავადებით მიყენებული ზიანი მიადგა მოპასუხის მოქმედებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ზიანი წარმოიქმნება უშუალოდ სამართალდარღვევიდან, ხოლო თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოშობს მხარეებს შორის სამართლებრივ ურთიერთობას.

აპელანტის მითითებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე არ შეიძლება ჩაითვალოს პირად, რომელიც რაიმე სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან. მეტიც, საქმეში წარმოდგენილი მესამე პირის – საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ა. ა-იანის მიერ 2005 წლის 14 აპრილს თ. მ-ისადი გაგზავნილ წერილში ცალსახადაა აღნიშნული, რომ «სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ზიანი უნდა აუნაზღაუროს დამქირავებელმა, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამ უკანასკნელის ბრალის შემთხვევაში და მიუთითა, რომ სარჩოს დასანიშნად მოსარჩელეს უნდა მიემართა იმ კერძო სამართლის სუბიექტისათვის, რომლებთანაც იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში და სადაც მიიღო აღნიშნული ზიანი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 29 ივნისის 1279 ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დებულება.

აღნიშნული დებულების თანახმად, სამინისტროს სისტემაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 იანვრის 11 ბრძანებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად ლიკვიდირებულ იქნა და «საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია.

აღნიშნული განკარგულების საფუძველზე საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ, მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებებისა

და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხების გადახდა. ამასთან, აღნიშნული ზიანის ანაზღაურება უნდა განხორციელდებოდეს «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების თანახმად.

კასატორის განმარტებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ იარსებებს მითითებული გარემოებები, მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებული უზრუნველყოს ამ სახის ზიანის ანაზღაურება. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2001 წლის 28 დეკემბრის 1110 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის დებულება, რომლის თანახმადაც, ავიაციის ფუნქციები გადაეცა სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას.

დებულებაში ცალსახადაა აღნიშნული, რომ სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია არ წარმოადგენს საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სისტემის სტრუქტურული ერთეულის სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრე დაწესებულება დღეს არ არსებობს.

ასევე, საყურადღებოა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» მე-2 მუხლი, რომლის თანახმადაც, მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მატერიალურად პასუხისმგებელია დამქირავებელი, ხოლო 41-ე მუხლის თანახმად კი, განცხადება შეიტანება დამქირავებლის სახელზე.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, არამართებული და საფუძველს მოკლებულია მოსარჩელის მოთხოვნა სამინისტროსათვის, როგორც საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრისათვის, ყოველთვის უნდა ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის 193 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულება «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» და საქართველოს მთავრობას დაევალა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა.

ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილება, რომელმაც ცალკეულ საკითხთა მიმართ დაადგინა პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების საგან განსხვავებული წესი, კერძოდ, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით მიეთითა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის – სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში სარჩოს გაცემა შეწყდება. ლიკვიდირებული დამსაქმებლის შემთხვევაში სარჩოს მიმღებს ეძლევა სარჩოს დავალიანების თანხა 2007 წლის 1 მარტამდე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: თ. მ-მე წარმოადგენს პროფდაავადებულ პირს, რომელიც 1972 წლიდან მუშაობდა სამოქალაქო ავიაციაში და იყო საჰაერო-საფრენოსნო ხომალდის მეთაური. 1988 წელს საექიმო-საფრენოსნო-საექსპერტო კომისიის დასკვნით დადგინდა, რომ თ. მ-მეს მიღებული ჰქონდა მაღალი და საშუალო ტონების ბგერის აღქმის ორმხრივი სიმეტრიული დაზიანება. ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სამედიცინო-სოციალური ექსპერტოზის ბიუროს დასკვნით 2005 წლის 22 მარტს თ. მ-მეს დაუდგინდა პროფესიული დაავადება – ორმხრივი კოხლეალური ნევრიტი პროფესიული შრომისუნარიანობის 60%-ის დაკარგვით, ხოლო 2006 წლის 06 იანვრიდან პროფდაავადება დაუდგინდა უვადოდ პროფესიული შრომისუნარიანობის 80%-ის დაკარგვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენს იმ გარემოების დადგენა, რამდენადაა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ვალდებული უზრუნველყოს თ. მ-ისათვის პროფდაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რა მიზნითაც საკასაციო სასამართლო ყუ-

რადღებას მიაქცევს შემდეგზე: საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულებით შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით. ხსენებული განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალია ლიკვიდაციის პროცესში დაეფარა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებები და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული თანხები, ხოლო ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ უზრუნველყო ამ პირთათვის ზიანის ანაზღაურება სალიკვიდაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა ფაქტობრივად დაასრულა 2006 წლის 30 მაისს, იმავე დღეს შედგა 116 სხდომის ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. 2006 წლის 13 დეკემბრის 11 მიღება-ჩაბარების აქტით სალიკვიდაციო კომისიის წარმომადგენლის მიერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩაბარებულ იქნა სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა 49 პირადი საქმე.

საკასაციო სასამართლო ვერ გამოიციხავს პროფდაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პასუხისმგებლობას და თვლის, რომ კასატორის მხრიდან წარმოდგენილი მოტივაცია ცალსახად არ გამომდინარეობს საქმეში დაცული მასალებიდან, რა მიზნითაც, საკასაციო სასამართლო, კასატორის ყურადღებას მიაქცევს შემდეგზე: „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს 2001 წლის 20 ივლისის 11012-რს კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2001 წლის 28 დეკემბრის 110 ბრძანების შესაბამისად შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, რომლის დებულების პირველი პუნქტის თანახმად, ახლად შექმნილი ადმინისტრაცია არ წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 29 ივნისის 1279 ბრძანებულების შესაბამისად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სისტემის სტრუქტურული ერთეულის – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს.

«ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მიმდინარეობის პერიოდში «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. აღნიშნული მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ. ამასთან, ზემოხსენებული მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ლიკვიდაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე, მათი გაუქმების უფლებამოსილება მიენიჭა მათ უფლებამონაცვლე სამინისტროებს. გარდა აღნიშნულისა, «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის 181 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ლიკვიდაცია, მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა სალიკვიდაციო კომისია, მე-14 პუნქტმა კი განსაზღვრა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს უფლებამონაცვლე – ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო. აღნიშნულ კანონში 2004 წლის 24 ივნისის 1195-რს კანონით განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის გამო, მისი უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2004 წლის 22 ივნისს გამოსცა 180 განკარგულება «საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ». შესაბამისად, კანონში შეტანილ ზემოაღნიშნულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია და არც შეუცვლია «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების დებულებები, რაც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ისევ ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ.

ზემოაღნიშნულ აქტებზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, როგორც სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფლებამოსიანს, ამ უკანასკნელის ლიკვიდაციის დასრულებამდე, უდავოდ ეკისრება თ. მ-ძისათვის პროფდაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის 193 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – «შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილება, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, წყდება დანიშნული «ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს» გაცემის ვალდებულება, ხოლო ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევა ძველი წესით დანიშნულ სარჩოზე არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს მიუთითოს შემდეგ მოსაზრებებზე: «საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულება, რომლითაც შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა «საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს 1428 განკარგულებით. ამდენად, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა დაასრულა 2006 წლის 30 მაისს, მაგრამ საგულისხმოა, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ იურიდიულად ფუნქციონირება შეწყვიტა მხოლოდ «საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს 1428 განკარგულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების გამოცემისას საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის პროცესი იურიდიულად დასრულებული არ იყო, თ. მ-ძეს პროფდაავადებით დამოწვეული ზიანი ცალსახად უნდა აუნაზღაურდეს 2007 წლის 1 სექტემბრამდე, ანუ იურიდიულად სალიკვიდაციო კომისიის მიერ ფუნქციონირების შეწყვეტამდე.

რაც შეეხება 2007 წლის 1 სექტემბრის შემდგომი პერიოდისათვის ასანაზღაურებელ თანხაზე უფლებამოსილ სუბიექტს, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე უნდა გამოიკვლიოს, ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ, ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის ფარგლებში, «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების მე-2 მუხლის გათვალისწინებით, ვინ წარმოადგენს ხსენებული ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურებაზე უფლებამოსილ სუბიექტს ან ასანაზღაურებელი თანხა ხომ არ მოექცა სხვა საკანონმდებლო რეგულაციის ფარგლებში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება გაუქმდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის 2007 წლის 1 სექტემ-

ბრიდან თ. მ-ძისათვის პროფდაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობისათვის დელიქტით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება; სარჩო

განჩინება

ბს-1101-1063(2კ-08)

10 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 თებერვლის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ა. ბ-ძის, ა. გ-ძის, გ. გ-იანის, ა. ჭ-შვილისა და სხვათა სარჩელი, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგინებით მიმართვის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 მარტის განჩინებით ცალკე წარმოებად გამოეყო ა. ბ-ძისა და ა. გ-ძის სასარჩელო განცხადება.

ა. ბ-ძე (საპაერო ხომალდის ყოფილი მეთაური, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მფრინავი, მე-2 ჯგუფის ინვალიდი) და ა. გ-ძე (საპაერო ხომალდის ყოფილი მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, მე-2 ჯგუფის ინვალიდი) განმარტავდნენ, რომ სამოქალაქო ავიაციის სისტემაში მუშაობისას მიღებული პროფდაავადების გამო, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების საფუძველზე, დაენიშნათ ყოველთვიური სარჩო, რომელსაც იღებდნენ სისტემის სხვა პროფდაავადებულ პირებთან ერთად წლების მანძილზე. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულებით შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა უზრუნველყო კომისიის მუშაობის პერიოდში სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთათვის დანიშნული სარჩოს არსებული დავალიანების დაფარვა, ხოლო ადმინისტრაციის ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ უზრუნველყო ამ პირთა ზიანის ანაზღაურება სალიკვიდაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ სალიკვიდაციო კომისიის მუშაობის დასრულებამდე, 2006 წლის სექტემბრის ჩათვლით, მათ ეძლეოდათ ყოველთვიური სარჩო, თუმცა კომისიის მიერ მუშაობის დასრულების შემდეგ, 2006 წლის 17 აგვისტოს, შემაჯამებელი სხდომის ოქმისა და მასალების საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის წარდგენის შემდეგ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგინება აღარ გაკეთებულა, რამაც გამოიწვია მოსარჩელეთა კუთვნილი თანხების გადახდის შეწყვეტა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უარს აცხადებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგინების გაკეთებაზე და უთითებდა, რომ წარდგინების გაკეთება საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულების შესაბამისად ევალებოდა სალიკვიდაციო კომისიას, ხოლო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო თავს არ თვლიდა ლიკვიდირებული სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ და აღნიშნავდა, რომ მისთვის არავის დაუვალება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ წარდგინების გაკეთება.

მოსარჩელეთა განმარტებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლეობა მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად აშკარა იყო. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების მიღების შემდეგ ძალადაკარგულად ჩაითვლა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1502 და 1619 დადგენილებები, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტი გარდაიქმნა საქართველოს სამოქალაქო ტრანსპორტის ადმინისტრაციად და სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით შევიდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში, რომლის ლიკვიდაციის შემდეგ შეიქმნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო. აღნიშნული სამინისტ-

ტრო 2004 წლის 24 ივნისის შემდეგ, «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონისა და მასში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სამოქალაქო ტრანსპორტის ადმინისტრაციის შეერწყა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, რომელიც საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციისა და მისი სალიკვიდაციო კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ გახდა ამ ორგანიზაციის უფლებამონაცვლე და გამოითხოვა ყველა იმ პირთა პირადი საქმე, ვისაც დანიშნული ჰქონდა სარჩო. ამდენად, უფლებამონაცვლეობა ავალდებულებდა მოპასუხეს, განეხორციელებინა ლიკვიდირებული სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ვალდებულებები.

საბოლოოდ, მოსარჩელებმა მოითხოვეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და-ვალდებულება, წადგინებოთ მიემართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ მოსარჩელებისათვის 2006 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის 1 მარტამდე არსებული ყოველთვიური სარჩოს დავალიანების ანაზღაურებისა და შემდგომში ყოველთვიური სარჩოს გაცემის უზრუნველყოფის მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. ბ-ძისა და ა. გ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა წარდგინებით მიემართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის, მოსარჩელების – ა. ბ-ძისა და ა. გ-ძის მიმართ 2007 წლის 1 მარტამდე მდგომარეობით პროფესიული დაავადებებით მიყენებული ზიანის გამო დანიშნული სარჩოს დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგინოდა მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულებით შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით. ხსენებული განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა ლიკვიდაციის პროცესში დაეფარა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებებისა და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული თანხები და ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ უზრუნველყო ამ პირთათვის ზიანის ანაზღაურება სალიკვიდაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა დაასრულა 2006 წლის 30 მაისს, იმავე დღეს შედგა საბოლოო სხდომის 116 ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. 2006 წლის 13 დეკემბრის 11 მიღება-ჩაბარების აქტით კი სალიკვიდაციო კომისიის წარმომადგენლის მიერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩაბარებულ იქნა სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა 49 პირადი საქმე, მათ შორის, მოსარჩელების – ა. ბ-ძისა და ა. გ-ძის პირადი საქმეებიც.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 21 ნოემბრის წერილით, ა. ბ-ძისა და ა. გ-ძის 2006 წლის 8 დეკემბრის განცხადებითა და საქმის სხვა მასალებით დადგენილი იყო, რომ 2006 წლის ოქტომბრიდან სამოქალაქო ავიაციის სისტემაში პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირებს, მათ შორის, ა. ბ-ძესა და ა. გ-ძეს შეუზღუდათ ყოველთვიური სარჩოს გაცემა, რომელზეც იმ დროისათვის მათ უფლება შენარჩუნებული ჰქონდათ მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად. სარჩოს გაცემის შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ არ განხორციელდა ყოველთვიური წარდგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში პროფდაავადებულ პირთა მიმართ სარჩოს თანხის გაცემის უზრუნველსაყოფად.

საქალაქო სასამართლომ დადგინოდა მიიჩნია, რომ ლიკვიდირებული სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფლებამონაცვლეს მისი ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. «ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესების შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე გამოცხადდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია. აღნიშნულის შემდეგ, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობისას, «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შეიქმნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. აღნიშნული კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტმა პირდაპირ მიუთითა, რომ ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ. აღნიშნულ კანონში 2004 წლის 24 ივნისის კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად, მე-2 მუხლი ითვალისწინებდა, რომ საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის გამო მისი უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენდა ლიკვიდირებული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფლებამონაცვლეს. უფლებამონაცვლეობის გარდა, აღნიშნული კანონით აგრეთვე დადგენილი იყო ლიკვიდირებული ადმინისტრაციის მთელი დოკუმენტაციის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის ფაქტობრივი გადაცემით, რაც დადასტურებული იყო საქმეში წარმოდგენილი სალიკვიდაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმით და მიღება-ჩაბარების აქტებით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-9 პუნქტი უფლებამონაცვლეობასთან ერთად დამატებით განმარტავდა, რომ ლიკვიდაციას დაქვემდებარებული დაწესებულების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემული აქტები ინარჩუნებდა იურიდიულ ძალას. მათი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე, მათი გაუქმების უფლება ენიჭებოდა უფლებამონაცვლე სამინისტროებს. დადგენილი იყო, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არ გაუქმებია და ცვლილება და დამატება არ შეუტანია მოსარჩელეთა მიმართ ყოველთვიური სარჩოს მიმნიჭებელ აქტებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, როგორც სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფლებამონაცვლეს, ეკისრებოდა ვალდებულება, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულების მე-3 მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, წარდგინებით მიემართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსარჩელეთა მიმართ ყოველთვიური სარჩოს გაცემის უზრუნველყოფის მიზნით.

საქალაქო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის 193 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულება «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ». ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის 193 ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ 2007 წლის 24 მარტს მიღებულ იქნა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – «შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» 153 დადგენილება, რომელმაც ცალკეულ საკითხთა მიმართ დაადგინა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებისგან განსხვავებული წესი, კერძოდ, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განიმარტა, რომ დამსაქმებელის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სარჩოს გაცემა შეწყდებოდა. ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით კი, სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა ძველი წესით დანიშნული სარჩოს არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა, რომ, სარჩოს გაცემის ვალდებულების შეწყვეტის გამო, პირს დამატებით მიეცემოდა ერთჯერადი კომპენსაცია დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩოს – ექვსი თვის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით მოსარჩელებს მინიჭებული ჰქონდათ სარჩოს მიღების სამისდღეში უფლება. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად კი დამსაქმებლის (მათ შორის – სახელმწიფო დაწესებულების) ლიკვიდაციის შემთხვევაში ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება წყდებოდა. ლიკვიდირებული დამსაქმებლის შემთხვევაში, სარჩოს მიღებს ეძლეოდა სარჩოს დავალიანების თანხა 2007 წლის 1 მარტამდე. ამდენად, ვინაიდან მოსარჩელე ა. ბ.ძისა და ა. გ.ძის მიმართ ყოველთვიური სარჩოს გაცემაზე ვალდებული პირი – საქართველოს სამოქალაქო ტრანსპორტის ადმინისტრაცია ლიკვიდირებული იყო, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად მათ მიეცემოდათ მხოლოდ 2007 წლის 1 მარტის მდგომარეობით არსებული დავალიანება, ხოლო შემდგომში სარჩოს გაცემის ვალდებულება დადგენილებაში გათვალისწინებული არ იყო. ამდენად, მოსარჩელეთა მიმართ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის 193 ბრძანებულების ანალოგიურად საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილებაც შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ადრე დანიშნული სარჩოს ანაზღაურების ვალდებულებას ითვალისწინებდა მხოლოდ 2007 წლის 1 მარტამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. ბ.-მემ და ა. გ.-მემ. აპელანტებმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს

ტრომაც გაასაჩივრა სააპელაციო წესით. აპელანტმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით ა. ბ-ძის, ა. გ-ძისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ბ-ძის, ა. გ-ძისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივრებში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო საჩივრების ავტორებმა ვერ შეძლეს ხსენებული დასკვნების გაბათილება, რის გამოც მათი საჩივრები უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. ბ-ძემ და ა. გ-ძემ. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების მათი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც, დამსაქმებლის ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდებოდა ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება და იქვე განმარტა, რომ ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლი ითვალისწინებდა სარჩოს გაცემის შეწყვეტის შემთხვევაშიც ერთჯერადი კომპენსაციის გაცემას. კასატორთა განმარტებით, აღნიშნული ვალდებულება დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვრცელდებოდა დამსაქმებლის უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში, ხოლო უფლებამონაცვლის არსებობის შემთხვევაში კი სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ზემოხსენებული დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით, რომლითაც რეგულირდებოდა სარჩოს გაცემის ვალდებულება უფლებამონაცვლის, არსებობის პირობებში, ხოლო იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენდა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფლებამონაცვლეს ადასტურებდა «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებები და ბრძანებულებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომაც გაასაჩივრა საკასაციო წესით. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულების საფუძველზე შეიქმნა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით. აღნიშნული განკარგულების მე-3 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალია დაეფარა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ, მარჩენლდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებებისა და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული თანხები. ამავე განკარგულების «გ» ქვეპუნქტის თანახმად, ფინანსთა სამინისტროს უნდა უზრუნველყო ადმინისტრაციის ლიკვიდაციის შემდეგ ბრძანებულების მე-3 მუხლის «ბ» ქვეპუნქტში გათვალისწინებულ პირთა ზიანის ანაზღაურება «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების მე-3 პუნქტისა და ამ წესის 42-ე მუხლის მე-2 აზნაცის შესაბამისად, სალიკვიდაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანებულების ხსენებული მუხლები განსაზღვრავდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოს, ანუ აღნიშნული მუხლები ეხებოდა შემთხვევას, როდესაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ჯერ დადგენილი არ იყო. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეებს – ა. ბ-ძესა და ა. გ-ძეს უკვე დანიშნული ჰქონდათ პროფესიული დაავადებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩო, დანიშნვის დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ისინი იღებდნენ 2006 წლის ოქტომბრამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც დადგენილი იყო ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კონკრეტული პირების მიმართ, რაც სადავოდ არ იყო გამხდარი და ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულებით დადგენილი იყო ზიანის ანაზღაურების დავალიანების გაცემაზე ვალდებული პირი – ფინანსთა სამინისტრო, დამატებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარდგინება ყოველგვარ არსს და საფუძველს იყო მოკლებული. მით უმეტეს,

რომ საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული განკარგულებით, წარდგინებით მიმართვა ევალეზოდ სალიკვიდაციო კომისიას და არა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. სამინისტროს აღნიშნული ვალდებულება არ დაკისრებია რომელიმე სხვა ნორმატიული აქტითაც. ამდენად, კასატორის განმარტებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დავალდებულება წარდგინების განხორციელების თაობაზე უსაფუძვლო იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ა. ბ-ძისა და ა. გ-ძის საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 11 დეკემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ა. ბ-ძისა და ა. გ-ძის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 19 თებერვალს, 11.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ა. ბ-ძისა და ა. გ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა. ბ-ძე და ა. გ-ძე წარმოადგენენ სამოქალაქო ავიაციის სისტემაში პროფდაავადებულ პირებს, რომლებსაც საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების საფუძველზე დაინიშნული აქვთ პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩო, რასაც ისინი 2006 წლის ოქტომბრამდე იღებდნენ. ა. ბ-ძეს პროფესიული დაავადების გამო, 2001 წლიდან უვადოდ ჰქონდა დადგენილი შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვა (ინვალიდობის მე-2 ჯგუფი), ხოლო ა. გ-ძეს – 1984 წლიდან. სარჩოს გადახდის უზრუნველყოფაზე ვალდებულ პირს კი ლიკვიდაციამდე წარმოადგენდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულებით შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით. ხსენებული განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალია ლიკვიდაციის პროცესში დაეფარა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებებისა და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული თანხები და ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ უზრუნველყო ამ პირთათვის ზიანის ანაზღაურება სალიკვიდაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა ფაქტობრივად დაასრულა 2006 წლის 30 მაისს, იმავე დღეს შედგა 116 სხდომის ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. 2006 წლის 13 დეკემბრის 11 მიღება-ჩაბარების აქტით კი სალიკვიდაციო კომისიის წარმომადგენლის მიერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩაბარებულ იქნა სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა 49 პირადი საქმე, მათ შორის, მოსარჩელების – ა. ბ-ძისა და ა. გ-ძის პირადი საქმეებიც.

საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2006 წლის ოქტომბრიდან სამოქალაქო ავიაციის სისტემაში პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირებს, მათ შორის, ა. ბ-ძესა და ა. გ-ძეს შეუჩერდათ ყოველთვიური სარჩოს გაცემა, რომელზეც იმ დროისათვის მათ უფლება შენარჩუნებული ჰქონდათ მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად. სარჩოს გაცემის შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ არ განხორციელდა ყოველთვიური წარდგინება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში პროფდაავადებულ პირთა მიმართ სარჩოს თანხის გაცემის უზრუნველსაყოფად, იმ მოტივით, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო თავს არ თვლიდა ლიკვიდირებული სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს 2001 წლის 20 ივლისის 11012-რს კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2001 წლის 28 დეკემბრის 110 ბრძანების შესაბამისად შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, რომლის დებულების პირველი პუნქტის თანახმად, ახლად შექმნილი ადმინისტრაცია არ წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 29 ივნისის 1279 ბრძანებულების შესაბამისად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სისტემის სტრუქტურული ერთეულის – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მიმდინარეობის პერიოდში «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. აღნიშნული მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ. ამასთან, ზემოხსენებული მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ლიკვიდაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე, მათი გაუქმების უფლებამოსილება მიენიჭა მათ უფლებამონაცვლე სამინისტროებს. გარდა აღნიშნულისა, «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის 181 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ლიკვიდაცია, მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა სალიკვიდაციო კომისია, მე-14 პუნქტით კი განისაზღვრა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს უფლებამონაცვლე – ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო. აღნიშნულ კანონში 2004 წლის 24 ივნისის 1195-რს კანონით განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის გამო, მისი უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე» საქართველოს კანონის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2004 წლის 22 ივნისს გამოსცა 180 განკარგულება «საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ». შესაბამისად, კანონში შეტანილ ზემოაღნიშნულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია და არც შეუცვლია «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების დებულებები, რაც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ისევ ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, როგორც სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფლებამონაცვლეს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის დასრულებამდე უდავოდ ეკისრება ვალდებულება, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულების მე-3 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგინებით მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსარჩელეთა მიმართ ყოველთვიური სარჩოს გაცემის უზრუნველყოფის მიზნით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის 193 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – «შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილება, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის – სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდი-

ული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, წყდება დანიშნული «ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს» გაცემის ვალდებულება, ხოლო ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალი ძველი წესით დანიშნულ სარჩოზე არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე.

საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით მოსარჩელებს მინიჭებული ჰქონდათ სარჩოს მიღების სამისდღეობით უფლება, ხოლო საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, დამსაქმებლის (მათ შორის სახელმწიფო დაწესებულების) ლიკვიდაციის შემთხვევაში ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება წყდებოდა. ლიკვიდირებული დამსაქმებლის შემთხვევაში სარჩოს მიმღებს ეძლეოდა სარჩოს დავალიანების თანხა 2007 წლის 1 მარტამდე. ამდენად, ვინაიდან ა. ბ-ძისა და ა. გ-ძის მიმართ ყოველთვიური სარჩოს გაცემაზე ვალდებული პირი – საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია ლიკვიდირებული იყო, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად, მათ მიეცემოდათ მხოლოდ 2007 წლის 1 მარტის მდგომარეობით არსებული დავალიანება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულება, რომლითაც შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა «საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს 1428 განკარგულებით. ამდენად, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ, მართალია, მუშაობა დაასრულა 2006 წლის 30 მაისს და იმავე დღეს შედგა საბოლოო სხდომის 116 ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მაგრამ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ იურიდიულად ფუნქციონირება შეწყვიტა მხოლოდ «საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს 1428 განკარგულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების გამოცემისას საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის პროცესი იურიდიულად დასრულებული არ იყო, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, რამდენად უნდა გავრცელებულიყო ა. ბ-ძისა და ა. გ-ძეზე ზემოხსენებული დადგენილების ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა დამსაქმებლის (მათ შორის – სახელმწიფო დაწესებულების) ლიკვიდაციის შემთხვევაში, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ადრე დანიშნული სარჩოს 2007 წლის 1 მარტამდე ანაზღაურების ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბერის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალი წარდგინებით მიემართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის, რათა მას უზრუნველყო მოსარჩელების – ა. ბ-ძისა და ა. გ-ძის მიმართ პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის გამო დანიშნული სარჩოს დავალიანების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე მდგომარეობით, ხოლო შემდგომში ყოველთვიური სარჩოს გაცემის უზრუნველსაყოფად მიმართვაზე ეთქვათ უარი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალი წარდგინებით მიემართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის, მოსარჩელების – ა. ბ-ძისა და ა. გ-ძის მიმართ, რათა მას უზრუნველყო პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის გამო დანიშნული სარჩოს დავალიანების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე მდგომარეობით, ხოლო 2007 წლის 1 მარტიდან ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარდგინებით მიმართვის დავალებაზე უარის თქმის ნაწილში დაუსაბუთებლად მიიჩნევს და განმარტავს, რომ ხსენებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის მასალები, რაც გასაჩივრებული განჩინების ხსენებულ ნაწილში გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, დამსაქმებლის ლიკვიდაციამდე მოსარჩელების – ა. ბ-ძისა და ა. გ-ძისათვის პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის გამო დანიშნული სარჩოს დავალიანების დაფარვის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი წარდგინებით მიმართვაზე ვალდებულ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. რაც შეეხება შემდეგი პერიოდის ასანაზღაურებელ თანხაზე უფლებამოსილ სუბიექტს, აღნიშნულ-

თან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე უნდა გამოიკვლიოს, ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ, ა. ბ-მისა და ა. გ-მისათვის დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის ფარგლებში, «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების მე-2 მუხლის გათვალისწინებით, ვინ წარმოადგენს ხსენებული ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურებაზე უფლებამოსილ სუბიექტს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა წარდგინებით მიმართვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი, მოსარჩელების – ა. ბ-მისა და ა. გ-მის სასარგებლოდ 2007 წლის 1 მარტამდე ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების მიზნით;
3. ა. ბ-მისა და ა. გ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვათ მოსარჩელებს – ა. ბ-მესა და ა. გ-მეს 2007 წლის 1 მარტიდან ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარდგინებით მიმართვის დავალებაზე და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის

განჩინება

18ს-409-394(კ-09)

23 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 22 ოქტომბერს ი/მ ბ. ს-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ არის ინდივიდუალური მეწარმე, რეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ.

2007 წლის 17 ივნისს ქ. გურჯაანში, ვინმე ზ-მ შეიძინა თევზეული – 9 ცალი (80კგ) ლოქო და 19 ზუთხი (165კგ). მან გამყიდველს გადასცა მისამართი, რათა შესაბამისად დოკუმენტაცია მიეტუნა მისთვის იმავე ღამით.

ზემოაღნიშნული თევზი ი. გ-მის კუთვნილი მსუბუქი ავტომანქანით გადმოჰქონდა ქ. თბილისში, 18 ივნისს, დაახლოებით 3 საათზე, საგარეჯოში გააჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა და ვინაიდან არ ჰქონდა

თევზის შეძენის სათანადო დოკუმენტაცია, გადასცეს საფინანსო პოლიციის კახეთის სამმართველოს, ჩამოართვეს ავტომანქანა და თევზი, აწონეს თევზი და ექსპერტიზა ჩატარეს. პირველი ექსპერტიზის დასკვნით, თევზის საბაზრო ღირებულება შეადგენდა **5420** ლარს, დღგ-ს გარეშე – **4593** ლარს, ხოლო მეორე ექსპერტიზის დასკვნით – **6905** ლარს, დღგ-ს გარეშე – **5810** ლარს, ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს წარმომადგენლებმა მოსარჩელეს ჩამოართვეს როგორც თევზი, ასევე, ავტომანქანა. თევზი შეინახეს საგარეჯოში, მეწარმე მ. ქ-ძის მაცივარში, ხოლო ავტომანქანა გადაყვანილ იქნა საჯარიმოზე.

მოსარჩელის განმარტებით, თევზის უსაბუთოდ შეძენა-ტრანსპორტირებისათვის თბილისის საგადასახადო ისნპექციიდან მიიღო საგადასახადო მოთხოვნა, რომლის შესაბამისად დაეკისრა ჯარიმა – **5851** ლარი. მიუხედავად აღნიშნულისა, მისთვის თევზი არ დაუბრუნებიათ იგი, როგორც მალფუჭებადი პროდუქტი, გახდა უვარგისი, ასევე უკანონოდ ჰყავდათ საჯარიმოზე მის მიერ დაქირავებული ავტომანქანაც, რომლისთვისაც ყოველდღიურად იხდიდა ჯარიმას – **5** ლარს, ხოლო მანქანის მეპატრონეს უხდიდა **20** ლარს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა, მოპასუხეებს დაკისრებოდათ თევზის გაფუჭებით მიყენებული ზარალის – **6905** ლარის, ასევე, ავტომანქანის საჯარიმოზე უკანონოდ გადაყვანით გამოწვეული ხარჯებისა და მოსალოდნელი მისაღები შემოსავლისათვის ყოველდღიურად **25** ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2008** წლის **29** თებერვლის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამოირიცხა მოპასუხეთა სიიდან და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-**16** მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საქმეში ჩაება მესამე პირად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2008** წლის **12** მარტის განჩინებით მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველო ამოირიცხა საქმიდან და საბოლოოდ საქმეზე მოპასუხედ დარჩა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა, მოპასუხეებს მის სასარგებლოდ დაკისრებოდათ ზიანის – **5851** ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2008** წლის **18** მარტის გადაწყვეტილებით ი/მ «ბ. ს-ძის» სარჩელი დაკმაყოფილდა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ასანაზღაურებლად **5851** ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა: ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი პირობები, კერძოდ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში ბრალეული ქმედებით სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა სხვა პირის მიმართ, რაც გახდა ზიანის წარმოშობის მიზეზი.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომელთა მიერ ბ. ს-ძისათვის ტვირთის ჩამორთმევა და მისი დასაწყობება უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებას სახელმწიფო სამსახურში ყოფნის საფუძველზე, ანუ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **1005**-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდაგარი ზიანი. ამასთან, განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთდ სოლიდარულად აგებს პასუხს. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ზიანის მიყენების ფაქტი, ხოლო სახელმწიფო პასუხისმგებელია ბრალის ნებისმიერი ფორმით მიყენებული ზიანისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **122**-ე მუხლის თანახმად, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია, ნივთიერი მტკიცებულება შეინახოს ისეთ პირობებში, რომელებიც გამორიცხავს მის დაკარგვასა და მისი თვისებების შეცვლას. ამასთან, იმავე კოდექსის **123**-ე მუხლის **1**-ლი ნაწილის შესაბამისად, საქმის წარმოების დამთავრებამდე გამოძიების ორგანო მესაკუთრეს ან მფლობელს უბრუნებს მალფუჭებად საგნებს, ხოლო **124**-ე მუხლის მე-**4** ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულებების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომელთა არ უზრუნველყვეს ბ. ს-ძისათვის ჩამორთმეული თევზის ისეთ პირობებში შენახვა, რაც მისი თვისებების შეცვლას გამოიწვევდა, ი/მ «ბ. ს-ძის» კუთვნილი თევზი მოათავსეს ისეთ პირობებში, რამაც მისი გაფუჭება გამოიწვია. ამდენად, მოხდა თანამშრომელთა სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევა მოსარჩელის მიმართ, რომელსაც თავის მხრივ შეესაბამება ამ უკანასკნელის უფლება – მოითხოვოს გაფუჭებული ნივთის საფასურის საკომპენსაციო თანახა, რაც განსახილველ შემთხვევაში შპს «...» **2007** წლის **21** ივნისის **002249** ექსპერტის აქტის საფუძველზე შეადგენს **5851** ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომელთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და მოსარჩელისათვის ჩამორთეული ნივთის გაფუჭებით დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად აუცილებელია არსებობდეს ორიდან ერთ-ერთი პირობა: 1) სახელმწიფოს/სახელმწიფო მოხელის განზრახვა, მიაყენოს მხარეს ზიანი და 2) სახელმწიფოს/სახელმწიფო მოხელის უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი. აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს მიერ არ არის დასაბუთებული, თუ რომელი პირობით იქნა მოსარჩელისათვის ზიანი მიყენებული.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიიჩნევს პირის მართლსაწინააღმდეგო განზრახ ან გაუფრთხილებელ ქმედებას, რომლითაც ზიანი მიადგა მესამე პირს. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის აუცილებელ პირობას შეადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ ასაბუთებს, თუ რაში გამოიხატა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მისი შედეგი, რომლითაც ზიანი მიადგა მოსარჩელეს, მართლსაწინააღმდეგო ქმედება განხორციელდა განზახ თუ გაუფრთხილებელი ქმედებით, რაც მნიშვნელოვანია ზიანის ხარისხის დადგენისა და, შესაბამისად, კომპენსაციის განსაზღვრისათვის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ დასკვნებს.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი საკასაციო საჩივარს აფუძნებდა ძირითადად იმავე გარემოებებზე, რაზეც მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის სწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არ დარღვეულა პროცესუალური და მატერიალური სამართლის ნორმები, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების კანონისმიერი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს სასამართლოს მხრიდან კონსტიტუციურ ნორმებზე დაყრდნობით დავის გადაწყვეტის მართებულობას და აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილში აღიარებულმა უფლებამ ასახვა ჰპოვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

იმავე კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, წარმოშობილი ზიანი და ბოლოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა უდავოდ დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

წინამდებარე საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოები საქმის მასალებსა და მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით უდავოდ მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა არ უზრუნველყვეს ჩამორთმეული თევზის ისეთ პირობებში შენახვა, რაც გამორიცხავდა მისი თვისებების შეცვლას.

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლებისათვის იმთავითვე იყო ცხადი ის შედეგი, რაც თევზის არასათანადო პირობებში შენახვას მოჰყვებოდა.

მართალია, კასატორი სადავოდ ხდის ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას, მაგრამ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ვერ უთითებს და არ წარმოადგენს დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას, რაც საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ართმევს პროცესუალურ შესაძლებლობას ეჭვქვეშ დააყენოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

მითითებული დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თავის მხრივ, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ სარჩელის გადაწყვეტისას სასამართლოთა მხრიდან მართებულად იქნა გამოყენებული დელიქტური ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დადგარ ზიანი.

წინამდებარე საქმის მასალებით დადგენილია, რომ თევზის, როგორც ნივთმტკიცების, ამოღება აწარმოეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია, ნივთიერი მტკიცებულება შეინახოს ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მის დაკარგვასა და მისი თვისებების შეცვლას, ხოლო ამავე კოდექსის 124-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლების ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა სასამართლოს აძლევდა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტის გაცემა

განჩინება

18ს-1664-1618(კ-08)

29 ივლისი, 2009 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ტ-მემ 2005 წლის სექტემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს, მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ და მოითხოვა, ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის აქტი ფორმა-ტ-1-ის გამოცემის დავალება 2002 წლის 2 ივნისს 135 საარჩევნო ოლქში მომხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით, ასევე, ყოველთვიური სარჩოს დანიშვნა, მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება და ხუთი წლის თანამდებობრივი სარგოს მოპასუხეზე დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 იანვრის განჩინებით საქმეში აწ გარდაცვლილი თ. ტ-მის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა მისი მეუღლე თ. ჩ-ელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მაისის განჩინებით საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჩაბმულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ასევე ამავე განჩინებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის თანახმად, თ. ჩ-ელის სასარჩელო განცხადება, მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ, სარჩოს დანიშვნისა და ზიანის ანაზღაურების ნაწილში, გამოიყო ცალკე წარმოებად და შეჩერდა მოპასუხის მიერ ფორმა «ტ-1» გაცემის შესახებ, სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით, თ. ტ-მის უფლებამონაცვლე თ. ჩ-ელის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა – მოპასუხე საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევალა თ. ტ-მის მიმართ, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტის – «ფორმა ტ-1-ის» გაცემა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება; თ. ტ-მის უფლებამონაცვლე თ. ჩ-ელს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის, შიდა ქართლსა და ცხინვალის მხარეში შრომის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის 2005 წლის 17 ოქტომბრის დასკვნა, უბედური შემთხვევის შესახებ არ არსებობდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაბამისად არ არსებობდა აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები, ვინაიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის, შიდა ქართლსა და ცხინვალის მხარეში შრომის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის 2005 წლის 17 ოქტომბრის დასკვნა, უბედური შემთხვევის შესახებ, გაუქმებული იქნა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა თ. ჩ-ელმა და მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის შიდა ქართლსა და ცხინვალის მხარეში შრომის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის 2005 წლის 17 ოქტომბრის დასკვნა არ გაუქმებულა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ; კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე აქტის ბათილობას ახდენს აქტის მიმღები, ზემდგომი ორგანო ან სასამართლო, ხოლო 61-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მის ძალადაკარგულად გამოცხადებას – აქტის გამომცემი ორგანო. კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არ მომხდარა ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად სადავო აქტის გაუქმება.

კასატორის თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2006 წლის 25 მაისის 11-07/08/4421 წერილი, რადგან იგი ადმინისტრაციული აქტი არ არის და არ შეიცავს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის შიდა ქართლისა და ცხინვალის მხარეში შრომის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის 2005 წლის 17 ოქტომბრის დასკვნის გაუქმების შესახებ. კასატორი მიუთითებს დასახელებული წერილის პირველ აზვაცზე, რომლის თანახმადაც, შრომისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი მიუთითებს არა დასკვნის ბათილობის ან ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, არამედ ალბათობის მაღალი ხარისხით თვლის, რომ დასკვნა «შეიძლება ჩაითვალოს გაუქმებულად», რაც, კასატორის აზრით, აქტის გაუქმების გადაწყვეტილებას არ ნიშნავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ თ. ჩ-ელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თ. ტ-მე 2002 წლის 1 მარტიდან 3 ივნისამდე მუშაობდა ქ. ... 135-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ. თ. ტ-მე გარდაიცვალა 2006 წლის 2 აგვისტოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 იანვრის განჩინებით მოსარჩელე აწ გარდაცვლილი თ. ტ-მის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა თ. ჩ-ელი.

შიდა ქართლის რეგიონის შრომის მთავარმა სახელმწიფო ინსპექტორმა 2005 წლის 17 ოქტომბერს შედგენილ უბედური შემთხვევის შესახებ დასკვნაში მიუთითა, რომ 2002 წლის 2 ივნისს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის არჩევნების დღეს, ქ. ... 135 საოლქო საარჩევნო კომისიაში მუშაობა მიმდინარეობდა დამაბულ ნერვიულ ფონზე, რაც გამოწვეული იყო აღნიშნულ კომისიაში ბიულეტენების დაგვიანებით მიწოდების გამო. რიგ უბნებში არჩევნების ჩაშლით. აღნიშნულ ვითარებაში თ. ტ-მემ მიიღო ნერვიული გადატვირთვა, გახდა ცუდად და დაკარგა გონება. მას ადგილზე აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება. დაესვა დიაგნოზი: რეაქტიული მდგომარეობა ვეგეტოსისხლმარღვოვანი დისფუნქცია. მკურნალობის მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, რის გამოც მთლიანად დაკარგა შრომის უნარი. ამ დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ქ. ... 135-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ 2002 წლის 2 ივნისს მომხდარი უბედური შემთხვევა გამოიწვია არჩევნების არაორგანიზებულობით შექმნილმა სტრესულმა მდგომარეობამ. საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან დარღვეულ იქნა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 139-ე მუხლის მოთხოვნები; ასევე, იმავე კოდექსის 154-ე და 155-ე მუხლები, რადგან ადმინისტრაციამ არ მოახდინა უბედური შემთხვევის გამო შესაბამისი რეაგირება. მოცემული დასკვნის თანახმად, ადმინისტრაციას დაევალა შეედგინა თ. ტ-მის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის დროს მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ აქტი ტ-1 ამ დასკვნის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2006 წლის 25 მაისის წერილზე; ამ წერილში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყოფილი შრომის ინსპექციის, შიდა ქართლისა და ცხინვალის მხარეში ყოფილი შრომის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის მ. ყ-შვილის 2005 წლის 17 ოქტომბერს შედგენილი დასკვნა უბედური შემთხვევის შესახებ შეიძლება ჩაითვალოს გაუქმებულად, რადგან დასკვნაში ჩამოყალიბებული შრომის კანონთა კოდექსის 139-, 154-ე და 155-ე მუხლები არ იქნა გაზიარებული. იმავე წერილში ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლე ტ. ტ-მემ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული საქმე 13/122-06, მოსარჩელე თ. ტ-მის სასარჩელო განცხადების გამო, მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ, ქმედების განხორციელების შესახებ, დაუშვებლობის გამო შეწყდა წარმოებით.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2006 წლის 25 მაისის 101-07/08/4421 წერილი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს კონკრეტულ გადაწყვეტილებას შიდა ქართლის რეგიონის შრომის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის 2005 წლის 17 ოქტომბრის დასკვნის გაუქმების შესახებ; საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია ამ წერილის საფუძველად მითითებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე 13/1224-06, მოსარჩელე თ. ტ-მის სასარჩელო განცხადების გამო, მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ, ქმედების განხორციელების შესახებ, დაუშვებლობის გამო შეწყდა წარმოებით; მაგრამ სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ იმავე სასამართლოს 2006 წლის 8 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე თ. ტ-მის წარმომადგენლის თ. ჩ-ელის კერძო საჩივარი; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 იანვრის განჩინება საქმეზე 13/1224-06; მოსარჩელე თ. ტ-მის სასარჩელო განცხადება, მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ, ქმედების განხორციელების შესახებ, დასაშვებად იქნა ცნობილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ გარემოებებს, რომლითაც უარი ეთქვა თ. ჩ-ელს სარჩელის დაკმაყოფილებაზე; საქმის მასალებით არ დასტურდება შიდა ქართლის რეგიონის შრომის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის 2005 წლის 17 ოქტომბრის დასკვნის კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გაუქმება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოარკვიოს, არსებობდა თუ არა მიზეზობრივი კავშირი თ. ტ-მის ჯანმრთელობის მოშლას, გარდაცვალებასა და 2002 წლის ივნისში საარჩევნო ოლქში მომხდარ ინციდენტს შორის; რისთვისაც სააპელაციო სა-

სამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა. ამ ნორმის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ჩ-ელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დასახიჩრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი და პირობები

განჩინება

18ს-111-109(2კ-10)

29 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ზიანის ანაზღაურება, სარჩოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 28 სექტემბერს ა. ს-ანმა, ზ. ზ-უამ, ა. ე-ანმა, ლ. ს-შვილმა, ა. რ-ძემ, გ. ჯ-ვამ, რ. ც-შვილმა, ა. ნ-ძემ, კ. ა-იძმა, ი. კ-ძემ, თ. ზ-ძემ, ზ. ვ-იამ, ვ. ც-ძემ, ა. ხ-ძემ, მ. ა-ძემ, გ. ა-ანმა და თ. ა-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ქ. ბათუმის სოციალური დახმარების განყოფილების მიმართ.

მოსარჩელების განმარტებით, ისინი წლების განმავლობაში მუშაობდნენ ქ. ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში სხვადასხვა სპეციალობით. ქარხანაში შრომითი მოვალეობის შესრულებისას მათ ჯანმრთელობას მიაღდა ზიანი, რის გამოც მოსარჩელები წლების განმავლობაში ღებულობდნენ ყოველთვიურ სარჩოს. 1999 წლის 7 ივლისიდან დაიწყო ქარხნის ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც დამთავრდა 2002 წლის 30 აპრილს.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მათ აუნაზღაურდათ 2001 წლის 1 იანვრამდე სარჩოს გაუცემლობით დაგროვილი დავალიანება, ხოლო შემდგომ ქ. ბათუმის მერიამ (რომელსაც სარეალიზაციოდ გადაეცა ქარხნის ქონების ნაწილი და ჯართი) ქონების რეალიზაციით შემოსული თანხებიდან მოსარჩელებზე 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 მაისამდე სარჩოს სახით დაგროვილი დავალიანების – 34 000 ლარის ნაცვლად, მხოლოდ 13 000 ლარი აანაზღაურა. მოსარჩელების განმარტებით, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2004 წლის 9 სექტემბრის 102-3/133 წერილის საფუძველზე, 2004 წლის 1 იანვრიდან სოციალური განყოფილების მიერ შეწყდა მოსარჩელებზე ყოველთვიური სარჩოს თანხების გაცემა, იმ მოტივით, რომ დასახიჩრებულ პირებზე გაცემული თანხები სრული ზიანის საკომპენსაციოდ ჩაითვალა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოპასუხეებისათვის შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული დაზიანების გამო, როგორც გასული, ასევე, შემდგომი პერიოდისათვის ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 1 თებერვლის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში მოპასუხეებად ჩაებნენ ქ. ბათუმის მერია და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 21 მარტის საოქმო განჩინებით აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ამოირიცხა მოპასუხეთა სიიდან და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში ჩაება მესამე პირად. ამავე საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ა. ს-ანის, ზ. ზ-უას, ა. ე-ანის, ლ. ს-შვილისა და სხვათა სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ა. ს-ანის სასარგებლოდ – 2680 ლარის, ზ. ზ-უას სასარგებლოდ – 3220 ლარის, ა. ე-ას სასარგებლოდ – 3720 ლარის, ლ. ს-შვილის სასარგებლოდ – 3525 ლარის, ა. რ-ძის სასარგებლოდ – 2940 ლარის, გ. ჯ-ვას სასარგებლოდ – 1290 ლარის, რ. ც-შვილის სასარგებლოდ – 2520 ლარის, ა. ნ-ძის სასარგებლოდ – 3210 ლარის, კ. ა-იდის სასარგებლოდ – 3835 ლარის, ი. კ-ძის სასარგებლოდ – 3220 ლარის, თ. ზ-ძის სასარგებლოდ – 710 ლარის, ზ. ვ-იას სასარგებლოდ – 3785 ლარის, ვ. ც-ძის სასარგებლოდ – 1235 ლარის, ა. ხ-ძის სასარგებლოდ – 3220 ლარი, მ. ა-ძის სასარგებლოდ – 3220 ლარი, გ. ა-ანის სასარგებლოდ – 3440 ლარის, თ. ა-ძის სასარგებლოდ – 1450 ლარის, სულ 47130 ლარისა და 2005 წლის 1 მაისიდან მოსარჩელეთა სიცოცხლის ბოლომდე ა. ს-ანის სასარგებლოდ – 100 ლარის, ზ. ზ-უას სასარგებლოდ – 120 ლარის, ა. ე-იას სასარგებლოდ – 120 ლარის, ლ. ს-შვილის სასარგებლოდ – 120 ლარის, ა. რ-ძის სასარგებლოდ – 100 ლარის, გ. ჯ-ვას სასარგებლოდ – 40 ლარის, რ. ც-შვილის სასარგებლოდ – 90 ლარის, ა. ნ-ძის სასარგებლოდ – 100 ლარის, კ. ა-იდის სასარგებლოდ – 140 ლარის, ი. კ-ძის სასარგებლოდ – 120 ლარის, თ. ზ-ძის სასარგებლოდ – 20 ლარის, ზ. ვ-იას სასარგებლოდ – 130 ლარის, ვ. ც-ძის სასარგებლოდ – 50 ლარის, ა. ხ-ძის სასარგებლოდ – 120 ლარი, მ. ა-ძის სასარგებლოდ – 120 ლარის, გ. ა-ანის სასარგებლოდ – 120 ლარის, თ. ა-ძის სასარგებლოდ – 50 ლარის, სულ ყოველთვიურად სარჩოს 1660 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩირებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2004 წლის 20 ოქტომბერს გ. წ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ქ. ბათუმის სოციალური დახმარების განყოფილების მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხეებისათვის მისი გარდაცვლილი მეუღლის – ი. ზ-ძის პროფესიული დაავადების გამო, ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხნიდან მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ 2001-2003 წლებში დარჩენილი ყოველთვიური სარჩოს და 2004 წლის დავალიანების – 4244 ლარის, მორალური ზიანის სახით დამატებით 3 თვის სარჩოს – 198 ლარისა და 2005 წლის 1 იანვრიდან ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 14 თებერვლის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში მოპასუხეებად ჩაებნენ ქ. ბათუმის მერია და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. წ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსარჩელისა და მისი შვილის სასარგებლოდ 2001-2004 წლებში დაგროვილი დავალიანების – 1446 ლარისა და 2005 წლის 1 იანვრიდან ყოველთვიური სარჩოს – 10-10 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ნოემბრის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი

დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 მარტის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე '3-326 გ. წ-ძის სარჩელისა გამო, საქართველოს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე გაერთიანდა '3-411 ადმინისტრაციულ საქმესთან – ა. ს-ანის, ზ. ზ-უას, ა. ე-ანისა და სხვათა სარჩელისა გამო, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ქ. ბათუმის მერიისა და აჭარის ა/რ სოციალური დახმარების განყოფილების მიმართ, ზიანის ანაზღაურებისა და ყოველთვიური სარჩოს დაკისრების თაობაზე და მიენიჭა ერთიანი სარეგისტრაციო ნომერი '3-411.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის საოქმო განჩინებით ი. კ-ძისა და გ. წ-ძის სარჩელი დარჩა განუხილველი. ამავე საოქმო განჩინებით ა. ხ-ძის გარდაცვალების გამო უფლებამონაცვლის დადგენამდე შეჩერდა მოცემული საქმის წარმოება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 აგვისტოს განჩინებით განახლდა მოცემული საქმის წარმოება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 სექტემბრის საოქმო განჩინებით ა. ხ-ძის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა თ. ხ-ძე. ამავე საოქმო განჩინებით გაუქმდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მესამე პირად ჩაბმის თაობაზე განჩინება, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «ე» პუნქტის საფუძველზე ქ. ბათუმის სოციალური დახმარების ნაწილში შეწყდა მოცემული საქმის წარმოება. ამავე საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაება სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» აჭარის ფილიალი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 სექტემბრის განჩინებით მოცემულ საქმეში სათანადო მოპასუხედ მიჩნეულ იქნა ქ. ბათუმის მერია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 იანვრის საოქმო განჩინებით თ. ზ-ძის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ა. ზ-ძე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის საოქმო განჩინებით ლ. ს-შვილის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა – ლ. ს-შვილი, ხოლო ა. ს-ანის უფლებამონაცვლედ – ლ. ს-ანი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის განჩინებით არასათანადო მოპასუხე სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» აჭარის ფილიალის ნაცვლად, საქმეში სათანადო მოპასუხედ ჩაება სსიპ «მომსახურების სააგენტო».

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ქ. ბათუმის მერიას მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის სახით ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურება შემდეგი ოდენობით: 2001 წლის 28 სექტემბრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე ა. ს-ანის უფლებამონაცვლე ლ. ს-ანის სასარგებლოდ თვეში 100 ლარის ოდენობით, სულ 300 ლარი; ზ. ზ-უას სასარგებლოდ თვეში 120 ლარის ოდენობით, სულ 360 ლარი; ლ. ს-შვილის უფლებამონაცვლე ლ. ს-შვილის სასარგებლოდ თვეში 120 ლარის ოდენობით, სულ 360 ლარი; რ. ც-შვილის სასარგებლოდ თვეში 100 ლარის ოდენობით, სულ 300 ლარი; თ. ზ-ძის უფლებამონაცვლე ა. ზ-ძის სასარგებლოდ თვეში 20 ლარის ოდენობით, სულ 60 ლარი; ა. ნ-ძის სასარგებლოდ თვეში 100 ლარის ოდენობით, სულ 300 ლარი; ზ. ვ-იას სასარგებლოდ თვეში 140 ლარის ოდენობით, სულ 420 ლარი; ა. ხ-ძის უფლებამონაცვლე თ. ხ-ძის სასარგებლოდ 120 ლარის ოდენობით, სულ 360 ლარი; მ. ა-ძის სასარგებლოდ 120 ლარის ოდენობით, სულ 360 ლარი; თ. ა-ძის სასარგებლოდ 50 ლარის ოდენობით, სულ 150 ლარი; ჩგ. ა-ანის სასარგებლოდ 120 ლარის ოდენობით, სულ 360 ლარი; ვ. ც-ძის სასარგებლოდ 50 ლარის ოდენობით, სულ 150 ლარი; კ. ა-იდის სასარგებლოდ 140 ლარის ოდენობით სულ 420 ლარი; ა. რ-ძის სასარგებლოდ თვეში 100 ლარის ოდენობით, სულ 300 ლარი; ა. ე-ანის სასარგებლოდ თვეში 140 ლარის ოდენობით, სულ 420 ლარი; გ. ჯ-ვას სასარგებლოდ თვეში 60 ლარის ოდენობით, სულ 180 ლარი.

2004 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრის პერიოდისათვის ა. ს-ანის უფლებამონაცვლე ლ. ს-ანის სასარგებლოდ თვეში 30 ლარი ოდენობით, სულ 720 ლარი; ზ. ზ-უას სასარგებლოდ თვეში 36 ლარის ოდენობით, სულ 864 ლარი; ლ. ს-შვილის უფლებამონაცვლე ლ. ს-შვილის სასარგებლოდ თვეში 36 ლარის ოდენობით, სულ 864 ლარი; რ. ც-შვილის სასარგებლოდ თვეში 30 ლარის ოდენობით, სულ 720 ლარი; ა. ნ-ძის სასარგებლოდ თვეში 30 ლარის ოდენობით, სულ 720 ლარი; ზ. ვ-ია სასარგებლოდ თვეში 42 ლარის ოდენობით, სულ 1008 ლარი; მ. ა-ძის სასარგებლოდ თვეში 36 ლარის ოდენობით, სულ 864 ლარი; თ. ა-ძის სასარგებლოდ თვეში 15 ლარის ოდენობით, სულ 360 ლარი; გ. ა-ანის სასარგებლოდ თვეში 36 ლარის ოდენობით, სულ 864 ლარი; ვ. ც-ძის სასარგებლოდ თვეში 15 ლარის ოდენობით, სულ 360 ლარი; კ. ა-იდის სასარგებლოდ თვეში 42 ლარის ოდენობით, სულ 1008 ლარი; ა. რ-ძის სასარგებლოდ თვეში 30 ლარის ოდენობით, სულ 720 ლარი; ა. ე-ანის სასარგებლოდ თვეში 42 ლარის ოდენობით, სულ 1008 ლარი; გ. ჯ-ვას სასარგებლოდ თვეში 18 ლარის ოდენობით, სულ 432 ლარი; თ. ზ-ძის უფლებამონაცვლე ა. ზ-ძეს სასარგებლოდ თვე

ში 6 ლარის ოდენობით, სულ 86 ლარი; ა. ხ-ძის უფლებამონაცვლე თ. ხ-ძის სასარგებლოდ თვეში 36 ლარის ოდენობით, სულ 756 ლარი.

სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» 2007 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდისათვის დაეკისრა შემდეგი ოდენობის თანხების გაცემა: ზ. ზ-უას სასარგებლოდ 72 ლარი; რ. ც-შვილის სასარგებლოდ 60 ლარი; ა. ნ-ძისათვის სასარგებლოდ 60 ლარი; ზ. ვ-იას სასარგებლოდ 84 ლარი; მ. ა-ძის სასარგებლოდ 72 ლარი; თ. ა-ძის სასარგებლოდ 30 ლარი; გრიგოლი აბაჯიანის სასარგებლოდ 72 ლარი; ვ. ც-ძის სასარგებლოდ 30 ლარი; კ. ა-იდის სასარგებლოდ 84 ლარი; ა. რ-ძის სასარგებლოდ 60 ლარი; ა. ე-ანის სასარგებლოდ 84 ლარი; გ. ჯ-ვას სასარგებლოდ 36 ლარი; სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» გ. ა-ანის სასარგებლოდ 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდისათვის დაეკისრა ყოველთვიური სარჩოს გაცემა 36 ლარის ოდენობით; მოსარჩევეების უარი ეთქვათ 2001 წლის 1 იანვრიდან 2001 წლის 28 სექტემბრამდე თანხების ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულობის გამო, ასევე, უარი ეთქვათ 2002 – 2003 წლების და 2007 წლის 1 მარტის შემდგომ პერიოდისათვის ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების უსაფუძვლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩევეებმა, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის» დაკისრებული თანხების ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტომ», რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება ქ. ბათუმის მერიისათვის დაკისრებული თანხების ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის, სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს», ლ. ს-ანის, ზ. ზ-უას, ლ. ს-შვილისა და სხვათა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩევეები წლების განმავლობაში მუშაობდნენ ქ. ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში სხვადასხვა სპეციალობით. ქარხანაში შრომითი მოვალეობის შესრულებისას მათ ჯანმრთელობას მიადგა ზიანი, რის გამოც ისინი წლების განმავლობაში ღებულობდნენ ყოველთვიურ სარჩოს. აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 1999 წლის 7 ივლისის 160 დადგენილებით ქ. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა ლიკვიდაციის რეჟიმზე იქნა გადაყვანილი. აჭარის ა/რ. მინისტრთა საბჭოს 2002 წლის 30 აპრილის 146 დადგენილების საფუძველზე კი ქ. ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანასა და საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებელ ქარხანაში საწარმო ტრავმებითა და პროფესიულ დაავადებების შედეგად დაზარალებულ პირთათვის საკომპენსაციო თანხის გაცემის მიზნით აჭარის ა/რ ცენტრალური ბიუჯეტიდან ყოველთვიურად – 2525 ლარი გამოიყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ქ. ბათუმის მერიას გადაეცა, რომელსაც ჯართის რეალიზაციით მიღებული თანხით ტრავმირებული მუშაკების დავალიანების დაფარვა დაევალა. ქ. ბათუმის მერიამ მიიღო ნარჩენი ქონება და მოახდინა მისი რეალიზაცია. ტრავმირებულ მუშაკებს და მათ შორის – მოსარჩევეებს აუნაზღაურა 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 მაისამდე პერიოდის დავალიანება – 13 000 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სასარჩელო მოთხოვნა 2001 წლის 28 სექტემბრამდე სარჩოს ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულ მოთხოვნას წარმოადგენდა, ვინაიდან, საწარმოო ტრავმის შედეგად დამდგარი ზიანის საკომპენსაციოდ ყოველთვიური სარჩოს გადახდა თავისი ბუნებით პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენდა, რომლის ხანდაზმულობის ვადა 3 წლით განისაზღვრებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩევეებზე სარჩოს გაცემის ვალდებულება სადავო საკითხს არ წარმოადგენდა, განსაზღვრი იყო მხოლოდ ის გარემოება თუ თანხის რა ოდენობით და რა პერიოდში უნდა მომხდარიყო სარჩოს ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» მე-2 თავის მე-11 პუნქტზე, რომლის თანახმად, «დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურდებოდა ყოველთვიური სარჩოს გადახდით იმ ვადით, რა ვადითაც დადგენილი ჰქონდა შრომის უნარის ხარისხის დაკარგვა, მიუხედავად იმისა, მინიჭებული ჰქონდა თუ არა ინვალიდობის ჯგუფი. ზიანი ანაზღაურდებოდა იმავე ან იმავე თანრიგის ნებისმიერი სპეციალობის მუშაკის ბოლო 3 თვის სრულად ნამუშევარი ფაქტობრივად მიღებული საშუალო ხელფასიდან იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც დაკარგული ჰქონდა შრომის უნარის ხარისხი. თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობდა აღნიშნული ან იმავე თანრიგის პროფესი-

ები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო ორგანიზაციაში არსებული შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ათმაგი ოდენობიდან განისაზღვრებოდა».

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დაკარგული შრომის უნარის ხარისხში იგულისხმებოდა როგორც პროფესიული, ისე საერთო შრომის უნარის ხარისხის დაკარგული ოდენობა. ყოველთვიური სარჩოს ოდენობის გაანგარიშება ხდებოდა შრომის უნარის ხარისხის დაკარგული ნაწილის იმ ოდენობიდან (პროფესიული ან საერთო), რომელიც მეტი ჰქონდა დაზარალებულს დაკარგული.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან, **1999-2002 წლებში** ქ. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა სალიკვიდაციო რეჟიმზე იმყოფებოდა და იქ შესაბამისი თანრიგისა და სპეციალობის მუშაკები არ იმყოფებოდნენ, სასამართლომ იხელმძღვანელა ანალოგიით და გაანგარიშება საქართველოს პრეზიდენტის **1999 წლის 4 ივლისის 1351 ბრძანებულებით** დადგენილი მინიმალური ხელფასის – **20 ლარის** ოდენობიდან მოახდინა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს პრეზიდენტის **148 ბრძანებულება** ანაზღაურების ოდენობის თაობაზე უცვლელად მოქმედებდა **2003 წლის 11 სექტემბრამდე**, **2001 წლის 28 სექტემბრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე** მოსარჩეელების ყოველთვიური სარჩო განისაზღვრა მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით – იმ პროცენტული ოდენობის ფულადი თანხით, რამდენი პროცენტიც დაკარგული ჰქონდათ შრომის უნარი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, საქართველოს პრეზიდენტის **148 ბრძანებულების მე-2 თავის მე-11 პუნქტის «გ» ქვეპუნქტზე**, რომელიც **2003 წლის 11 სექტემბრის** ცვლილების შემდეგ ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: «თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობდა დაზარალებულის ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო განესაზღვრებოდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი, ხოლო იმ ორგანიზაციებში, სადაც ხორციელდებოდა ან განრხორციელდა მის ბალანსზე არსებული ქონების **10 %** მეტი ინვესტიცია, არსებული შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ორმაგი ოდენობიდან». აღნიშნული წესი მოქმედებდა **2007 წლის 1 მარტამდე**, ხსენებული ნორმის თანახმად, იმ საწარმოში, სადაც აღარ არსებობდა დაზარალებულის თანრიგის პროფესია, სარჩო მინიმალური ხელფასის **20 ლარის** სამმაგი ოდენობიდან უნდა განსაზღვრულიყო. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **2003 წლის 11 სექტემბერს** მანქანათმშენებელი ქარხნის ლიკვიდაცია დასრულებული იყო, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება სარჩოს დასახელებული ფორმულის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის **148 ბრძანებულებამ** საქართველოს პრეზიდენტის **2005 წლის 7 ნოემბრის 1923 ბრძანებულებით** განიცადა სახეცვლილება იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებული გაანგარიშების საფუძველზე სარჩოს გაცემა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევა. სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტო»-ს **2007 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებით** შეიქმნა სარჩოს მიმღებთა პირადი საქმეების შემსწავლელი კომისია, რომელმაც დეტალურად შეამოწმა პირადი საქმეები და გადაწყვიტა ვის ერგებოდა სარჩოს ანაზღაურება, თანხის რაოდენობა კი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განისაზღვრა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტომ **2007 წლის 1 მარტიდან** შეწყვიტა სარჩოს გაცემა, შესაბამისად მოსარჩეეებს **2001 წლის 28 სექტემბრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე** და **2004-2005 წლების** პერიოდის სარჩო უნდა ანაზღაურებოდათ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, «შრომითი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ზიანის გამო სარჩოს ანაზღაურების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით** დადგენილი წესი შეიცვალა საქართველოს მთავრობის **2007 წლის 153** დადგენილებით, რომელმაც ზიანის ანაზღაურების წესი და პირობები მნიშვნელოვნად შეცვალა. **2007 წლის 1 მარტიდან** არ შეიძლება დაწესებულიყო ახალი გასაცემლები «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების** იმ დებულების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონაცვლის არასრებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძველებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობდა თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოებში. ამავე დადგენილების მესამე მუხლის პირველი ნაწილით სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» დაევა უზრუნველყო საქნახშირის დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის **1995 წლის 15 ოქტომბრის 1429** ბრძანებულებისა და საქართველოს პრეზიდენტის **1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების 42'** პუნქტის საფუძველზე **2007 წლის 1 მარტამდე** სსიპ საქართველოს სოცდაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებული, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა **2007 წლის 1 მარტამდე** პერიოდში. ამ ნორმის თანახმად, **2007 წლის 1 მარტის შემდეგ** სარჩოს გასაცემა თანხა აღარ შეიძლებოდა დაწესებულიყო, თუ არ არსებობდა ის საწარმო და მისი უფლებამონაცვლე, სადაც მიღებულ იქნა საწარმოო ტრავმა. **2007 წლის 1 მარტამდე** დავალიანების დაფარვა კი სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» დაევა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის გარკვეული ოდენობის ქონება ქ. ბათუმის მერიას გადაეცა, რათა ამ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხით მოსარჩელეთა დავალიანება დაეფარა. ქ. ბათუმის მერიის მიერ ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ქონების ჯართის სახით რეალიზება განხორციელდა, მიწის ნაკვეთები მის სახელზე აღირიცხა, ხოლო მოსარჩელებს მხოლოდ 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 მაისამდე პერიოდის დავალიანება სულ – 13 000 ლარი აუნაზღაურდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ქ. ბათუმის მერიამ მიიღო მანქანათმშენებელი ქარხნის ქონება და აიღო ვალდებულება, დაეფარა მოსარჩელეთა დავალიანება, შესაბამისად, ის მასზე გადაცემული მანქანათმშენებელი ქარხნის ქონების ფარგლებში გახდა ლიკვიდირებული ქარხნის სამართალმემკვიდრე, რაც ქ. ბათუმის მერიის ქმედებითაც აღიარებული იყო. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახეზე იყო ქ. ბათუმის მერიის მიერ მანქანათმშენებელი ქარხნისაგან ქონების სახით დიდი ფასეულობის აქტივებისა და პასივების მიღება ვალდების სახით, ანუ აქტივების ფარგლებში მას ევალუბოდა პასივების დაფარვა, შესაბამისად, ქ. ბათუმის მერიის ვალდებულებაც ამ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების გაცემით დამთავრდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ქ. ბათუმის მერიის ვალდებულება და მანქანათმშენებელი ქარხნის უფლებამოსილება დასრულდა 2006 წლის 1 იანვარს, როცა სსიპ «სოცსუბსიდიების სააგენტომ» აიღო ვალდებულება და მოსარჩელებს ყოველთვიური სარჩოს თანხები აუნაზღაურა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩოს 2007 წლის 1 მარტის შემდგომი პერიოდის ანაზღაურების საფუძველი არ არსებობდა, რადგან საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილებით 2007 წლის 1 მარტის შემდეგ სარჩოს გასაცემი თანხა არ შეიძლება დაწესებულიყო, თუ აღარ არსებობდა ის საწარმო და მისი უფლებამონაცვლე, სადაც მოსარჩელებმა მიიღეს საწარმოო ტრავმა, ხოლო 2007 წლის 1 მარტამდე დავალიანების დაფარვა სწორად ჰქონდა დავალდებული სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს».

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ. კასატორმა ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის – ქ. ბათუმის მერიის განმარტებით იგი სადავოდ არ ხდოდა მოსარჩელებზე გასაცემი თანხების რაოდენობასა და არსებულ გაანგარიშებას, მაგრამ არ ეთანხმებოდა აღნიშნული თანხის ქ. ბათუმის მერიისათვის დაკისრებას, ვინაიდან, მისი განმარტებით, ის არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა.

კასატორის – ქ. ბათუმის მერიის განმარტებით, განჩინებაში არ იყო მითითებული თუ რა საფუძველით ჩაითვა ქ. ბათუმის მერია სამართალმემკვიდრედ, როდესაც არსებობდა ნორმატიული აქტით პირდაპირ განსაზღვრული ორგანო, ვისაც მსგავსი დავალიანებების დაფარვა დაევა. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის» მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» დაევა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 42¹ პუნქტის საფუძველზე 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებული, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდში.

კასატორმა – ქ. ბათუმის მერიამ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის უფლებამონაცვლის არ არსებობის შემთხვევაში ზიანს ანაზღაურებისთვის საჭირო თანხების გათვალისწინება სახელმწიფო ბიუჯეტით ხდებოდა. 2006 წლის 20 თებერვლის შემდეგ, ამავე პუნქტში შესული ცვლილების თანახმად, კი საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზურუნველყოფდა 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში დაზარალებულ პირთა აღრიცხვას, ზიანის ანაზღაურების გაანგარიშებასა და მათ გაცემაზე კონტროლის დაწესებას.

კასატორის – ქ. ბათუმის მერიის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროს დაეყრდნო აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 2002 წლის 30 აპრილის 146 დადგენილების მე-2 პუნქტს, რომლის თანახმად, ქ. ბათუმის მერიას ვარგისი ძირითადი საშუალებების რეალიზაცია და შემოსული სახსრებით მანქანათმშენებელი ქარხნის დავალიანების დაფარვა დაევა, თუმცა საქართველოს მთავრობამ გამოსცა ნორმატიული აქტი, რომლითაც პირდაპირ განსაზღვრა, რომ აღნიშნული დავალიანებების გაანგარიშება, ანაზღაურება და გაცემა სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» უნდა მოეხდინა.

ქუთაისის საკავშირეო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით ასევე გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორების – ლ. ს-ანის, ზ. ზ-უას, ლ. ს-შვილის და სხვათა განმარტებით, სასამართლომ გამოიყენა მთავრობის დადგენილება და არა საქართველოს შრომის კოდექსი, მაშინ როცა ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად შრომის კოდექსი საქართველოს მთავრობის დადგენილებაზე იერარქიულად მაღლა იდგა. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილებით დამტკიცებული ზიანის ანაზღაურების წესის მე-8 მუხლით დადგენილი შეზღუდვა ვრცელდებოდა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული ზიანის ანაზღაურების წესის 42¹ მუხლში მითითებულ შემთხვევაზე, ანუ როცა სახელმწიფოს 100% დაფუძნებული ორგანიზაციის ლიკვიდაციისას არ რჩებოდა მისი უფლებამონაცვლე.

კასატორების – ლ. ს-ანის, ზ. ზ-უას, ლ. ს-შვილისა და სხვათა განმარტებით სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი და არ გამოიყენა 137-ე და 144-ე მუხლები, რომელთა თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გამოყენება არ შეიძლება არც აღიარებული და არც უკვე შესრულებული ვალდებულების მიმართ.

კასატორების – ლ. ს-ანის, ზ. ზ-უას, ლ. ს-შვილის და სხვათა განმარტებით სასამართლომ არასწორად განმარტა 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» მე-11 პუნქტი. სასამართლომ ამ პუნქტზე დაყრდნობით კანონიერად ჩათვალა ტრავმაში ბრალეული ორგანიზაციის უფლებამონაცვლის ქ. ბათუმის მერიის სოციალური განყოფილების მიერ მოსარჩელეებზე ჯერ კიდევ 1960-1970 წლებში დანიშნული სარჩოს სიდიდის გადაანგარიშება. აღნიშნული პუნქტით რეგულირდებოდა არა ადრე დანიშნული სარჩოს გაანგარიშების წესი, არამედ ანაზღაურების დანიშვნისას სარჩოს სიდიდე და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა შრომის უნარის დაკარგვა ხდებოდა ტრავმის მიღებიდან განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდეგ. უკვე დანიშნული სარჩოს გადაანგარიშება 1999 წლის 9 თებერვლამდე რეგულირდებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 12 აგვისტოს 1619 დადგენილების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა სარჩოს სიდიდის კორექტირებას შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ცვლილების შესაბამისად, ხოლო 148 ბრძანებულების შემდგომ, 1999 წლის 9 თებერვლიდან 2005 წლის 7 ნოემბრამდე რეგულირდებოდა ზიანის ანაზღაურების წესის მე-12 პუნქტით. 2005 წლის 7 თებერვალს ეს პუნქტი ამოღებულ იქნა და ადრე დანიშნული სარჩოს სიდიდე ექვედებარებოდა გადაანგარიშებას მხოლოდ ორგანიზაციაში, შრომის ანაზღაურების ან მისი მინიმალური დონის ცვლილებების შესაბამისად და არა მე-11 პუნქტის პირობების შესაბამისად. ჩკასატორების განმარტებით, სასამართლოს მიერ არასწორად გამოყენებული საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 11 სექტემბრის 1443 ბრძანებულებით, ცვლილება იქნა შეტანილი არა მარტო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის მე-11 პუნქტში, არამედ მე-12 პუნქტშიც და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: «ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების მინიმალური ხელფასის ცვლილებების შესაბამისად ხდებოდა სასამართლოს ან დამქირავებლის მიერ დადგენილი ყოველთვიური სარჩოს ოდენობის გადაანგარიშება მიუხედავად იმისა, როდის მიიღო დაზარალებულმა ტრავმა». კასატორების განმარტებით, აღნიშნული ბრძანებულების შინაარსიდან გამომდინარე, უკვე დანიშნული სარჩოს გადაანგარიშება ხდებოდა არა მე-11 პუნქტით, არამედ იმ ბრძანებულებით შეტანილი ცვლილების შესაბამისად ჩამოყალიბებული მე-12 პუნქტით ანუ ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების მინიმალური ხელფასის ცვლილებების შესაბამისად. კასატორებმა აღნიშნეს, რომ იმდენად რამდენადაც პრეზიდენტის 2004 წლის 24 იანვრის 143 ბრძანებულებით სახელმწიფო დაწესებულებებში მინიმალური ხელფასის ოდენობა გაიზარადა 20 ლარიდან 115 ლარამდე. ამ პერიოდისათვის სარჩოს გადაანგარიშება შესაძლებელი იყო მხოლოდ გაზრდის კუთხით და არა შემცირების კუთხით. კასატორების განმარტებით, სასამართლომ მოსარჩელეთა საზიანოდ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებით საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილება და სამჯერ შეამცირა სარჩოს სიდიდე და არ გამოიყენა ამავე ბრძანებულებით შეცვლილი მე-12 პუნქტი, რომლითაც ხუთნახევარჯერ 115-მდე მაინც უნდა გაზრდილიყო სიდიდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. ბათუმის მერიისა და ლ. ს-ანის, ზ. ზ-უას, ლ. ს-შვილის, რ. ც-შვილის, ა. ნ-ძის, ა. ზ-ძის, ზ. ვ-იას, თ. ხ-ძის, მ. ა-ძის, თ. ა-ძის, ა. რ-ძის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერიისა და ლ. ს-ანის, ზ. ზ-უას, ლ. ს-შვილის, რ. ც-შვილის, ა. ნ-ძის, ა. ზ-ძის, ზ. ვ-იას, თ. ხ-ძის, მ. ა-ძის, თ. ა-ძის, ა. რ-ძის საკასაციო საჩივრები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-და-საბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვინაიდან კასატორების მიერ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელები წლების განმავლობაში მუშაობდნენ ქ. ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში სხვადასხვა სპეციალობით. ქარხანაში შრომითი მოვალეობის შესრულებისას მათ ჯანმრთელობას მიადგა ზიანი, რის გამოც ისინი წლების განმავლობაში ღებულობდნენ ყოველთვიურ სარჩოს. აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 1999 წლის 7 ივლისის 160 დადგენილებით ქ. ბათუმში მანქანათმშენებელი ქარხანა ლიკვიდაციის რეჟიმზე იქნა გადაყვანილი. აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 2002 წლის 30 აპრილის 146 დადგენილების საფუძველზე კი ქ. ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანასა და საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებელ ქარხანაში საწარმოო ტრავმებითა და პროფესიულ დაავადებების შედეგად დაზარალებულ პირთათვის საკომპენსაციო თანხის გაცემის მიზნით აჭარის ა/რ ცენტრალური ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოიყო – 2525 ლარი. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ქ. ბათუმის მერიას გადაეცა, რომელსაც ჯართის რეალიზაციით მიღებული თანხით ტრავმირებული მუშაკების დავალიანების დაფარვა დაევა. ქ. ბათუმის მერიამ მიიღო ნარჩენი ქონება და მოახდინა მისი რეალიზაცია, რის შემდეგაც ტრავმირებულ მუშაკებს და მათ შორის მოსარჩელებს აუნაზღაურა 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 მაისამდე პერიოდის დავალიანება, სულ – 13 000 ლარი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხს არა მოსარჩელებზე სარჩოს გაცემის ვალდებულება, არამედ სარჩოს გაცემის პერიოდისა და თანხის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს, შემდგომ კი სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ სასარჩელო მოთხოვნა 2001 წლის 28 სექტემბრამდე სარჩოს ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულ მოთხოვნას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობა იმ მოთხოვნისა, რომელიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან სამი წელია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოო ტრავმის შედეგად დამდგარი ზიანის საკომპენსაციოდ ყოველთვიური სარჩოს გადახდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს და შესაბამისად, მასზე ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელებმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით 2004 წლის 28 სექტემბერს მიმართეს, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა 2001 წლის 28 სექტემბრამდე სარჩოს ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულია.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს საქალაქო სასამართლოს, შემდგომ კი სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ 2003 წლის 11 სექტემბრამდე სარჩოს ოდენობა მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობიდან განისაზღვრებოდა, ხოლო 148 ბრძანებულებაში შესული ცვლილების შესაბამისად 2003 წლის 11 სექტემბრის შემდეგ სარჩოს თანხის ოდენობა მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობიდან უნდა განსაზღვრულიყო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» მე-2 თავის მე-11 პუნქტზე, რომლის თანახმად, «დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურებოდა ყოველთვიური სარჩოს გადახდით იმ ვადით, რა ვადითაც დადგენილი ჰქონდა შრომის უნარის ხარისხის დაკარგვა, მიუხედავად იმისა, მინიჭებული ჰქონდა თუ არა ინვალიდობის ჯგუფი. ზიანი ანაზღაურებოდა იმავე ან იმავე თანრიგის ნებისმიერი სპეციალობის მუშაკის ბოლო 3 თვის სრულად ნამუშევარი ფაქტობრივად მიღებული საშუალო ხელფასიდან იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც დაკარგული ჰქონდა შრომის უნარის ხარისხი. თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობდა აღნიშნული ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო ორგანიზაციაში არსებული შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ათმაგი ოდენობიდან განისაზღვრებოდა».

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან, 1999-2002 წლებში ქ. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა სალიკვიდაციო რეჟიმში იმყოფებოდა და იქ შესაბამისი თანრიგისა და სპეციალობის მუშაკები არ იმყოფებოდნენ, სასამართლომ იხელმძღვანელა ანალოგიით და გაანგარიშება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივლისის 351 ბრძანებულებით დადგენილი მინიმალური ხელფასის – 20 ლარის ოდენობიდან მოახდინა. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 148 ბრძანებულება ანაზღაურების ოდენობის თაობაზე უცვლელად მოქმედებდა 2003 წლის 11 სექტემბრამდე, 2001 წლის 28 სექტემბრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე მოსარჩელების ყოველთვიური სარჩო განისაზღვრა მინიმალური ხელფასის ათმაგი

ოდენობით – იმ პროცენტული ოდენობის ფულადი თანხით, რამდენი პროცენტიაც დაკარგული ჰქონდათ შრომის უნარი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, საქართველოს პრეზიდენტის 148 ბრძანებულების მე-2 თავის მე-11 პუნქტის «გ» ქვეპუნქტზე, რომელიც 2003 წლის 11 სექტემბრის ცვლილების შემდეგ ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: «თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობდა დაზარალებულის ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო განესაზღვრებოდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი, ხოლო იმ ორგანიზაციებში, სადაც ხორციელდებოდა ან განხორციელდა მის ბალანსზე არსებული ქონების 10% მეტი ინვესტიცია, არსებული შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ორმაგი ოდენობიდან». აღნიშნული წესი მოქმედებდა 2007 წლის 1 მარტამდე, ხსენებული ნორმის თანახმად, იმ საწარმოში, სადაც აღარ არსებობდა დაზარალებულის თანრიგის პროფესია, სარჩო მინიმალური ხელფასის – 20 ლარის სამმაგი ოდენობიდან უნდა განსაზღვრულიყო. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2003 წლის 11 სექტემბერს მანქანათმშენებელი ქარხნის ლიკვიდაცია დასრულებული იყო, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება სარჩოს დასახელებული ფორმულის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 148 ბრძანებულებამ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 ნოემბრის 1923 ბრძანებულებით განიცადა სახეცვლილება იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებული გაანგარიშების საფუძველზე სარჩოს გაცემა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა. სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» 2007 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებით შეიქმნა სარჩოს მიმღებთა პირადი საქმეების შემსწავლელი კომისია, რომელმაც დეტალურად შეამოწმა პირადი საქმეები და გადაწყვიტა ვის ერგებოდა სარჩოს ანაზღაურება, თანხის რაოდენობა კი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განისაზღვრა. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტომ 2007 წლის 1 მარტიდან შეწყვიტა სარჩოს გაცემა, შესაბამისად მოსარჩელებს 2001 წლის 28 სექტემბრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე და 2004-2005 წლების პერიოდის სარჩო უნდა ანაზღაურებოდათ.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა 2007 წლის 1 მარტის შემდგომი პერიოდის სარჩოს ანაზღაურების ნაწილში უსაფუძვლოა, ვინაიდან, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილებით 2007 წლის 1 მარტის შემდეგ სარჩოს გასაცემი თანხა არ შეიძლება დაწესებულიყო თუ აღარ არსებობდა ის საწარმო და მისი უფლებამონაცვლე, სადაც მოსარჩელებმა მიიღეს საწარმოო ტრავმა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «შრომითი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ზიანის გამო სარჩოს ანაზღაურების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დადგენილი წესი შეიცვალა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 153 დადგენილებით, რომელმაც ზიანის ანაზღაურების წესი და პირობები მნიშვნელოვნად შეცვალა. 2007 წლის 1 მარტიდან არ შეიძლება დაწესებულიყო ახალი გასაცემი «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების იმ დებულების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძვლებს, მიუხედავად იმისა მიმდინარეობდა თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოებში. ამავე დადგენილების მესამე მუხლის პირველი ნაწილით სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» დაევალა უზრუნველყო საქანაშირის დეპარტამენტის შახტებისა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების დონის დიებათა შესახებ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 15 ოქტომბრის 1429ა ბრძანებულებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების 421 პუნქტის საფუძველზე 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ საქართველოს სოცდაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებული, აგრეთვე, აღნიშულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდში. ამ ნორმის თანახმად, 2007 წლის 1 მარტის შემდეგ სარჩოს გასაცემი თანხა აღარ შეიძლება დაწესებულიყო თუ არ არსებობდა ის საწარმო და მისი უფლებამონაცვლე, სადაც მიღებულ იქნა საწარმოო ტრავმა. 2007 წლის 1 მარტამდე დავალიანების დაფარვა კი სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს» დაევალა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და არც მხარეები ხდიან სადავოდ იმ გარემოებას, რომ ქ. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ქონება ქ. ბათუმის მერიას გადაეცა, რათა მას ამ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხით მოსარჩელეთა დავალიანება დაეფარა. ქ. ბათუმის მერიის მიერ განხორციელდა ქ. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ქონების ჯართის სახით რეალიზება, მიწის ნაკვეთები მის სახელზე აღირიცხა, ხოლო მოსარჩელებს მხოლოდ 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 მაისამდე პერიოდის დავალიანება, სულ – 13 000 ლარი აუნაზღაურდათ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის – ქ. ბათუმის მერიის მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ქ. ბათუმის მერია არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქ. ბათუმის მერიამ მიიღო მანქანათმშენებელი ქარხნის ქონება და აიღო ვალდებულება დაეფარა მოსარჩელეთა დავალიანება, შესაბამისად, ის მასზე გადაცემული მანქანათმშენებელი ქარხნის ქონების ფარ-

გლებში გახდა ლიკვიდირებული ქარხნის სამართალმემკვიდრე, რაც ქ. ბათუმის მერიის ქმედებითაც აღიარებულია, ვინაიდან, მან მოსარჩელებს აუნაზღაურა 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 მაისამდე პერიოდის დავალიანება – 13 000 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. ბათუმის მერიას მანქანათმშენებელი ქარხნისაგან ქონების სახით მიღებული – აქტივების ფარგლებში ევალება პასივების – ვალების დაფარვა, შესაბამისად, ქ. ბათუმის მერიის ვალდებულებაც ამ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების გაცემით დამთავრდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ბათუმის მერიისა და ლ. ს-ანის, ზ. ზ-უას, ლ. ს-შვილის, რ. ც-შვილის, ა. ნ-ძის, ა. ზ-ძის, ზ. ვ-იას, თ. ხ-ძის, მ. ა-ძის, თ. ა-ძის და ა. რ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის

განჩინება

18ს-523-503(კ-10)

12 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. და გ. ბ-შვილებმა სარჩელი აღძრეს გორის რაიონულ სასამართლოში გორის რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეს დაკისრებოდა ზიანის – 1000 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელების მითითებით, 2007 წლის 25 აგვისტოს გორის რ-ნის სოფ. ...-ის ტერიტორიაზე გამავალი ელექტროგადამცემი ხაზის ბოძის დაზიანების გამო ჩაწყვეტილმა სადენმა მოკლა მათი მეწველი ძროხა, რომელიც იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. აღნიშნულ ფაქტზე შინდისის თემის საკრებულოს მიერ შედგენილი იქნა აქტი.

მოსარჩელებმა 2006 წლის 1 სექტემბერს მიმართეს გორის რაიონის გამგეობას მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, საიდანაც 2006 წლის 6 სექტემბრის 11-61 წერილით ეცნობათ, რომ უნდა მიემართათ სადისტრიბუციო კომპანიისათვის და გაერკვიათ, თუ ვის საკუთრებაში იყო ელექტროგადამცემი ბოძები. სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის» შიდა ქართლის ფილიალის გორის რაიონის მომსახურების ცენტრის 2006 წლის 30 აგვისტოს 1146 ცნობით, ეცნობათ, რომ განცხადებაში აღნიშნული გაუმართავი საყრდენი და სადენი, აგრეთვე, სატრანსფორმატორო ქვესადგური – იყო არა გორის რაიონის მომსახურების ცენტრის საკუთრებაში, არამედ – გორის რაიონის გამგეობის ბალანსზე და შესაბამისად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მას არ ეკისრებოდა.

2006 წლის 22 ნოემბერს მოსარჩელებმა დაზუსტებული სარჩელით მიმართეს გორის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს საქმეში მოპასუხეებად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის, შინდისის თემის საკრებულოს, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის შიდა ქართლის ფილიალის გორის რაიონის მომსახურების ცენტრისა და ნ. მ-ძის ჩაბმა.

გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 დეკემბრის განჩინებით გ. და ე. ბ-შვილების სასარჩელო განცხადება დარჩა განუხილველი მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ბ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სარჩელის განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით გ. ბ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 დეკემბრის განჩინება და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სასამართლო სხდომაზე საოქმო განჩინებით მოსარჩელის მიერ სათანადო მოპასუხედ განისაზღვრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მოპასუხე – გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სასარჩელო განცხადება არ ცნო და მიუთითა, რომ მართო ზიანის დადგომა არ იყო საკმარისი საფუძველი ზიანის ასანაზღაურებლად. არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი გ. ბ-შვილის ძროხის სიკვდილსა და გორის რაიონის გამგეობის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, ამასთან, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ წარმოადგენს გორის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრეს.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა და მოპასუხე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ზიანის სახით 1000 ლარის ანაზღაურება, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აანაზღაუროს იგი.

სასამართლოს მითითებით, პირს დაეკისრებოდა ზიანის ანაზღაურება, თუ არსებობდა ზიანი და იგი მიყენებული იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღოდა ბრალი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ბრალეული პასუხისმგებლობის გარდა ასევე ცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასაც.

რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის 1-ლი ნაწილით, რომლის შესაბამისადაც, თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერჯისაგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუკი ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვას ნივთის დაზიანება, აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან ან ნივთიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძველით, ვიდრე ამ მუხლის 1-ლ ნაწილშია აღნიშნული, ნაგებობის ან ნივთის მფლობელი ვალდებულია, ანალოგიურად აანაზღაუროს საფრთხის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილით იმპერატიულად განსაზღვრულია, რომ ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზიანი ელექტროგადამცემი ხაზების ავარიის შედეგს წარმოადგენდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად ცნო ის გარემოება, რომ სოფელ ყელქცეულის წყლის ჭაბურღილი, რომელიც წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებას და მარაგდებოდა ჭაბურღილამდე სპეციალურად გაყვანილი ელექტროდენით, ელექტრობომის წაქცევის გამო არ ფუნქციონირებდა. ამ შემთხვევაში სასამართლოს მითითებით, სახეზე იყო მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, გამოხატული უმოქმედობაში.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელეთათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, გორის რაიონულმა სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ორგანული კანონი «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ», რომელიც «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ძალადაკარგულად ჩაითვალა. «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65-ე მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტი არის შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულის და არა რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრე. «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავდა ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობას, რაც გამოხატულებას პოულობდა როგორც მათ სამართლებრივ სტატუსში, ასევე მათი ბიუჯეტების დამოუკიდებლობასა და განსხვავებულ ფუნქციებში, სწორედ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის გამიჯვნა არ მომხდარა გორის რაიონული სასამართლოს მიერ. გორის რაიონულ სასამართლოს აგრეთვე არ უმსჯელია, რომ სადენების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა იყო არა გორის გამგეობის მოვალეობა, არამედ შესაბამისი ენერგოკომპანიისა, რომელიც პასუხისმგებელია მოსახლეობისათვის უსაფრთხო ელექტროენერჯის მიწოდებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინებით გორის მუნიციპალიტეტის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების განხილვის თაობაზე და 2009 წლის 8 იანვრის განჩინებით საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის განჩინებით და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

მოწინააღმდეგე მხარის – ე. ბ-შვილის გარდაცვალების გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განჩინებით საქმეში ე. ბ-შვილის უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა გ. ბ-შვილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განჩინებით გორის მუნიციპალიტეტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ სოფ. ...-ის წყლის ჭაბურღილი, რომელიც წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებას და მარადებოდა ჭაბურღილამდე სპეციალურად გაყვანილი ელექტროდენით, ელექტრობობის წაქცევის გამო, არ ფუნქციონირებდა, ანუ სახეზე იყო მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, გამოხატული უმოქმედობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ არსებობდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანი, შესაბამისად არსებობდა ზიანის მიყენების შედეგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაკისრებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, ზიანის ანაზღაურებისას აუცილებელია არსებობდეს ზიანის ანაზღაურების წარმოშობის აუცილებელი წინაპირობები ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. რაც კასატორის მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში არ დასტურდება, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ წყლის ჭაბურღილი წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას არასწორად დააკისრა ზიანის ანაზღაურება ვინაიდან, საქართველოს ორგანული კანონით ზუსტად არის გაწერილი ის უფლებამოსილებები, რაც კანონით აქვს მინიჭებული ადგილობრივ თვითმმართველობას. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ არის უფლებამოსილი, გამართულ მდგომარეობაში იქონიოს სადენები.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განჩინებით გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად (აბსოლუტური კასაცია).

მხარეებს საკასაციო საჩივართან დაკავშირებით შესაგებელი ან მოსაზრება არ წარმოუდგენიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა იგი, სრულყოფილად გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სათანადო შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის შედეგადაც საქმეზე არსებითად სწორი განჩინება მიიღო, საკასაციო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევები არ მომხდარა, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 42.9. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებულია. ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-209-ე მუხლები.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო-პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული, /ასე, მაგალითად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი/.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის) უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ვალდებულებითი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობაა, ამასთან, იგი განსხვავდება საჯარო სამართალში არსებული ვალდებულებისაგან, სამოქალაქო კოდექსის 317.1. მუხლი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე, დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, ჩადენილ უნდა იყოს იქნეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, წარმოშობილი ზიანი და ბოლოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტი (დე ფაქტო მოქმედება, რეალური მოქმედება) არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯაროსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისაკენ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალური მოქმედებისაგან პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, ხოლო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის «გ» ქვეპუნქტით უზრუნველყოფილია სასამართლოს იურისდიქცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან დაკავშირებით უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებების გამოყენებისას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტის ცნების ქვეშ იგულისხმება ყველა ის მმართველობითი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ (წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ). სწორედ ეს ნიშანი განასხვავებს ამ ინსტიტუტს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან. ამავდროულად, რეალაქტს გააჩნია, როგორც

პოზიტიური, ისე ნეგატიური გამოვლენის ფორმა. კერძოდ, უმოქმედობა – როგორც მმართველობითი ღონისძიების ერთ-ერთი საშუალება.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩაიდინა მმართველობითი ღონისძიების – მოქმედების განუხორციელებლობა, რამაც თავისი ფაქტობრივი შედეგით ფიზიკურ პირებს მიაყენა ზიანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დელიქტური ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა და არასახელშეკრულებო ვალდებულების ერთ-ერთი სახეა. ზიანი შეიძლება იყოს ხელშეკრულების დარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგი, ხოლო დელიქტის დროს კი თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მიმყენებლისაგან. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია, თუ არსებობს ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი,

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სოფელ ყელქცეულის წყლის ჭაბურღილი, რომელიც წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებას და მარაგდებოდა ჭაბურღილამდე სპეციალურად გაყვანილი ელექტროდენით, ელექტრობოდის წაქცევის გამო არ ფუნქციონირებდა. აღნიშნული ელექტრობოდის აღდგენა-შეკეთება უნდა მოეხდინა გორის რაიონის გამგეობას (მისი უფლებამონაცვლე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანო) ამ შემთხვევაში სახეზე იყო მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, გამოხატული უმოქმედობაში, რის გამოც აღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, გორის რაიონის გამგეობა (უფლებამონაცვლე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა) ვალდებული იყო მოსარჩელისათვის აენაზღაურებინა მისი უმოქმედობის შედეგად წარმოშობილი ზიანი.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე და სამოქალაქო კოდექსის 1000.1 მუხლების საფუძველზე მოპასუხე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით გონივრულია მოსარჩელეთა სასარგებლოდ 1000 ლარის გადახდის დაკისრება.

რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ იგი არ წარმოადგენდა გორის გამგეობის უფლებამონაცვლეს და მის ფუნქციებში არ შედიოდა ელექტრობოდების აღდგენა-შეკეთება, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ჰქონდა თვითმმართველობის ორგანო. თვითმმართველი ერთეული წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. მისი წარმომადგენლობითი ორგანო იყო საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა(მთავრობა).

2005 წლის 16 დეკემბრის «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» კანონის 65-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი არის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე. კანონის პირველი მუხლის «ბ», «ე» ქვეპუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი, იგივე დასახლებათა ერთობლიობა, არის თვითმმართველი ერთეული, რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი და ადმინისტრაციული ცენტრი. ამჟამად გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, შესაბამისად, გორის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და შესაბამისად, ის უფლებამოსილებები რაც მინიჭებული ჰქონდა გორის რაიონის გამგეობას, გადავიდა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლება-მოვალეობები რეგლამენტირებულია რა სპეციალური კანონმდებლობით, კერძოდ, 2005 წლის 16 დეკემბრის «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» კანონით, რომლის მიხედვით განისაზღვრა თვითმმართველობის ორგანოების ტერიტორიული იურისდიქციის შესაბამისი კომპეტენცია მმართველობის სფეროში, რომელიც რეალიზებულ უნდა იქნას, როგორც მოქალაქეთა განცხადებების, ასევე, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე.

აღნიშნული კანონის I მუხლის «ა» პუნქტის მიხედვით ტერმინი – ადგილობრივი თვითმმართველობა, განმარტებულია, როგორც – საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად;

ამავე კანონის მე-5 მუხლის «ე» პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა საკუთარი ფუნქციების განხორციელებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონით დადგენილი საჯარო ვალდებულება თავის თავში მოიცავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში მოთხოვნის უფლებას, რომლის რეალიზაციის სამართლებრივ-პროცესუალურ ფორმას სწორედ სარჩელი წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ბრალის არსებობის გარეშე. ამდენად, მოცემული საქმის განხილვისას ქვემოთაღნიშნულ სასამართლოებმა სწორად შეაფასეს, საჯარო ვალდებულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იქნა თუ არა ჯეროვნად შესრულებული, შეუსრულებლობის შემთხვევაში იყო თუ არა პრევენციული ზომები (გამაფრთხილებელი ნიშნები) მიღებული, რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო მსგავსი შემთხვევები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორი გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის შესახებ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განჩინების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ვალდებულების დარღვევის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება

სამოქალაქო ომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

განჩინება

¹ ბს-922-882 (კ-09)

17 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ბ-ვამ, ვ. ბ-ურმა და ლ. ბ-ათიმ 22.05.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის მიმართ, რომლითაც საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობების ცხრილის მიხედვით მოპასუხეებისათვის ა. ბ-ვას სასარგებლოდ – 10202.40 აშშ დოლარის, ვ. ბ-ურის სასასარგებლოდ – 6801,60 აშშ დოლარის და ლ. ბ-ათის სასარგებლოდ 22957 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრება მოითხოვეს.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ა. ბ-ვა და ვ. ბ-ური არიან 1991-1992 წლების თბილისის სამოქალაქო ომის დროს დაზარალებული ლ. ბ-ვას მემკვიდრეები, რომელიც ცხოვრობდა ქ. თბილისში, ... ქ. 13-ში, ომის შედეგად დაეწვა სახლი და მასში არსებული ნივთები, რამაც მიაყენა მატერიალური ზიანი, რომელიც სარჩელის შეტანის მომენტისათვის იყო 17004 აშშ დოლარი. ლ. ბ-ვას გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა მიიღეს სამემკვიდრეო მოწმობა. მესამე მოსარჩელე ლ. ბ-ათი არის ფ. ბ-ვას მემკვიდრე, რომელიც ცხოვრობდა ქ. თბილისში, ... ქ. 115-ში და 1991-1992 წლების თბილისის სამოქალაქო ომის დროს განადგურდა მთლიანად მისი უძრავ-მოძრავი ქონება. ქონება შეფასებულ იქნა 22957 აშშ დოლარად, რომლის მოთხოვნის უფლებაც მემკვიდრეობით მიიღო ლ. ბ-ათმა. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა აიღო საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების

შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ თითოეული დაზარალებული ოჯახის მიმართ შედგენილი ცნობების და ქ. თბილისის მთავრობის **24.01.01წ. 101.15.12** დადგენილებით დამტკიცებული დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური (ქონებრივი) ზარალის კომპენსაციის ამსახველი ცხრილის მიხედვით: ა. ბ-ვას – **10202.40** აშშ დოლარი, ვ. ბ-ურს – **6801,60** აშშ დოლარი და ლ. ბ-ათის – **22957** აშშ დოლარი ეკუთვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **28.09.07წ.** გადაწყვეტილებით მოსარჩელებს ა. ბ-ვას, ვ. ბ-ურსა და ლ. ბ-ათს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ უსაფუძვლოებისა და ხანდაზმულობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. ბ-ვამ, ვ. ბ-ურმა და ლ. ბ-ათიმ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **16.09.08წ.** განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **28.09.07წ.** გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორებმა ვერ შეძლეს ხსენებული დასკვნების გაბათილება, რის გამოც მათი საჩივარი მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ და არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **16.09.08წ.** განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. ბ-ვამ, ვ. ბ-ურმა და ლ. ბ-ათიმ, რომლებმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და მათი სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორებმა მიუთითეს, რომ დაზარალებულთა საკომპენსაციო თანხის ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის **26.07.96წ. 1180** განკარგულებით საქართველოს იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროების დასკვნების საფუძველზე, რაც დღემდე არ გაუხდიათ სადავოდ მოპასუხეებს. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე განსაზღვრული ინდექსირებული თანხებით დღემდე მიმდინარეობს ასობით დაზარალებული თბილისელისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაციის გაცემა. შესაბამისად ამ საკითხზე საქალაქო სასამართლოს მოსაზრების გაზიარება და განჩინებისათვის მისი საფუძვლად დადება სრულიად უკანონო და საფუძველს მოკლებულია. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **1008-ე** მუხლი, რომლის მიხედვითაც, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ, ხოლო მოსარჩელებმა სასამართლოს მიმართეს ვადის დარღვევით. აღნიშნული ნორმა არ ესადაგება მოცემულ შემთხვევას, ვინაიდან მართალია, მოსარჩელებს ზიანი **1991-1992 წ.წ.** თბილისის ცნობილი მოვლენების შედეგად მიადგათ და სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ **2004 წელს** აღიძრა, მაგრამ სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურმა – საქართველოს პრეზიდენტმა **26.07.96წ. 1180** განკარგულებით აღიარა და იკისრა მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის – **8** მილიონი აშშ დოლარის ანაზღაურების ვალდებულება, რასაც დღემდე არ უარყოფს, რადგან აღნიშნული განკარგულება დღესაც ძალაშია, მის საფუძველზე გრძელდება საკომპენსაციო თანხების ეტაპობრივი გაცემა და ვალდებულება შესასრულებლად. სამოქალაქო კოდექსის **137-ე** მუხლის თანახმად, თუ ვალდებული პირი (მოვალე) უფლებამოსილი პირის (კრედიტორის) წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება და შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის **26.07.96წ. 1180** განკარგულების გამოცემიდან, ამ განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე მითითება კასატორთა მოსაზრებით სრულიად უსაფუძვლოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ბ-ვას, ვ. ბ-ურისა და ლ. ბ-ათის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

დაუსაბუთებელია მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გაცდენის თაობაზე. სააპელაციო პალატის მიერ გაზიარებული იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ დაზარალებულებს **1998 წლის 1** იანვრიდან წარმოეშვათ მოთხოვნის უფლება და სარჩელი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ იქნა სასამართლოში წარდგენილი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «თბილისში **1991-1992წწ.** დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **26.07.1996წ. 1180** განკარგულებით აღიარებული იქნა ქ. თბილისში **1991-1992წწ.** დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის – **8** მილიონი აშშ დოლარის ანაზღაურების ვალდებულება. ხსენებული განკარგულება დღემდე ძალაშია და სავალდებულოა შესასრულებლად, მის საფუძველზე გრძელდება საკომპენსაციო თანხების ეტაპობრივი გაცემა.

26.12.1964წ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 83.2 მუხლის, ასევე, 26.06.1997წ. სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებული პირი (მოვალე) უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება.

წინააღმდეგობრივია სასამართლოს მოსაზრება ინდექსაციასთან დაკავშირებით. სასამართლო, ერთის მხრივ, მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის 26.07.1996წ. 1180 განკარგულებაზე, რომლითაც დადგენილია მიყენებული ზიანის ოდენობა, 8 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, ამავე დროს აღნიშნავს, რომ ამავე განკარგულებით დადგენილი არ ყოფილა რუსული მანეთის ინდექსაციის წესი. ვინაიდან «თბილისში 1991-1992წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-შენიშნულობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 26.07.1996წ. 1180 განკარგულებით ეროვნულ ვალუტაში დადგინდა დაზარალებული მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, რასაც, ამავე განკარგულების თანახმად, საფუძვლად დაედო იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროთა შესაბამისი დასკვნები, შესაბამისად დაუსაბუთებელია ზიანის ოდენობის განსაზღვრის დაკავშირება რუსული მანეთის ლარში ინდექსაციასთან.

1991-1992წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბელიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობები, რომლებშიც მითითებულია მიყენებული ზიანის მოცულობა, სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია დავის საგნის ოდენობის განსაზღვრისათვის. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ასკ-ის მე-4 მუხლის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილი იყო თავისი ინიციატივით მიეღო გადაწყვეტილება დამატებითი მტკიცებულებებისა და ინფორმაციის წარმოსადგენად, მტკიცებულებათა ბუნდოვანება არ წარმოადგენს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენაზე უარის თქმის საფუძველს.

1991-1992წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბელიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისია შექმნილია «თბილისში 1991-1992წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-შენიშნულობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 26.07.1996წ. 1180 განკარგულებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 12.09.96წ. 114.04.901 დადგენილებით, განსახილველ საქმეში დაცულია კომისიის მიერ გაცემული ცნობები საკომპენსაციო თანხის ოდენობების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა კომისიის საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. ამასთანავე, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. ბ-ვას, ვ. ბ-ურისა და ლ. ბ-ათის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ბ-ვას, ვ. ბ-ურის და ლ. ბ-ათის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.09.08წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს დაკისრება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

18ს-1440-1376(კ-09)

20 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 3 იანვარს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ი/მ «...» მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში 2008 წლის 5 მარტს «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩატარდა ტენდერი «ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაზე» მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით. დმანისისა და თეთრიწყაროს რაიონებში გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა ი/მ «...». 2007 წლის 12 მარტს გაფორმებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ – 180 ხელშეკრულება. 2007 წლის 13 აპრილს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები – დანართი 11-ის სახით, რომელიც ჩაითვალია ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ეროვნული სამსახური ვალდებული იყო ანაზღაურებინა მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების ღირებულება შესყიდვის ობიექტის მომსახურების მიღების შემთხვევაში, ხოლო ი/მ «...» ვალდებული იყო მომსახურება განეხორციელებინა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით და მომსახურების სრული ან ნაწილობრივი (ეტაპის) დამთავრებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურისათვის შესაბამისი რაიონის მიერ დამოწმებული ტექნიკური პირობებით მოთხოვნილი მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მოსარჩელის მტკიცებით, ვაქცინაციის ჩასატარებლად ი/მ «...» გადაეცა ჯილხის საწინააღმდეგო ვაქცინის 27 750 დოზა, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის – 5 800 დოზა, თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინის – 48 858 დოზა და 13 134 დოზა, საერთო ღირებულებით – 64 156, 15 ლარი. სამსახურში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომსახურების შემოწმების შედეგად, ი/მ «...» მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ჩაითვალია შეუსრულებლად, რის თაობაზეც ეცნობა მას და დაევალია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსა და მისთვის გადაცემული ვაქცინების ღირებულების გადახდა, რის შედეგადაც ი/მ «...» 2007 წლის 10 ოქტომბერს შემსყიდველს დაუბრუნა თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინა – 16 728 და 9 735 დოზა, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა – 5 800 დოზა, ჯილხის საწინააღმდეგო ვაქცინა – 27 750 დოზა, ღირებულებით – 32 936, 80 ლარი. შესაბამისად, მას ასანაზღაურებელი დარჩა დაუბრუნებელი ვაქცინების ღირებულება – 31 219,35 ლარი. მოპასუხეს არ გადაუხდია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა, 180 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-10 მუხლის თანახმად, მოითხოვა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს – 3 800 ლარის ოდენობით გადახდის დაკისრება, ასევე გადაცემული ვაქცინების დაბრუნება ან ვაქცინების დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის – 31 219,35 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 მარტის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საქმე განსჯადობის წესის დაცვით განსახილველად გადაეგზავნა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო 2008 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სარჩელი, მოპასუხის – ი/მ «...» მიმართ, ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა. მოპასუხეს – ი/მ «...» დაეკისრა ხელშეკრულების პირობების დარღვევით (ვაქცინის დაუბრუნებლობით) მიყენებული ზიანის – 31 219 ლარისა და 35 თეთრის ანაზღაურება. მასვე დაეკისრა პირგასამტეხლოს – 3 800 ლარის ოდენობით გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

რაიონულმა სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელე 2007 წლის 12 მარტიდან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხესთან. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ი/მ «...» ვაქცინაციის ჩასატარებლად გადაეცა ჯილხის საწინააღმდეგო ვაქცინის – 27 750 დოზა, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის – 5 800 დოზა, თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინის – 48 858 დოზა და 13 134 დოზა, საერთო ღირებულებით – 64 156,35 ლარი. ი/მ «...» ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უნდა განეხორციელებინა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით. მომსახურების სრული ან

ნაწილობრივი (ეტაპის) დამთავრებიდან 10 დღის ვადაში წარედგინა «სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურისათვის» შესაბამისი რაიონის მიერ დამოწმებული ტექნიკური პირობებით მოთხოვნილი მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ინსპექტირების ჯგუფის 2007 წლის 5 ნოემბრის 127 ოქმით დადგინდა ი/მ «...» მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტი. 2007 წლის 10 ოქტომბრის ი/მ «...» წარმომადგენელისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის წარმომადგენელს შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმღებს შემდგომი გამოყენებისათვის დაუბრუნდა 32 936,80 ლარის ღირებულების თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინის 34 დოზიანი – 16 728 დოზა და 3-დოზიანი – 9 735 დოზა, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის – 5 800 დოზა, ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინის – 27 750 დოზა, ხოლო დასაბრუნებელი დარჩა 31219,35 ლარის ღირებულების ვაქცინა. ამავე აქტის საფუძველზე რაიონულმა სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ ი/მ «...» მიერ არ მომხდარა პირგასამტეხლოს – 3 800 ლარის ოდენობით გადახდა, რაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-10 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავა უნდა განიხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ამასთან, ამ სახის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენებოდა როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო სამართლის ნორმები.

რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის, 327-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 318-ე მუხლის თანახმად, მიიჩნია, რომ არსებობდა საფუძველი ვალდებულებების წარმოშობისათვის. ამასთან, ი/მ «...» ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად არ შეასრულა. სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რაკი მიმწოდებელი ვალდებული იყო, მომსახურება გაეწია მისი მიერ სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით, რაც მან დაარღვია. ასეთ პირობებში შემსყიდველი ვერ განახორციელებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას ვეტერინარიის ხაზით ქვეყნის ტერიტორიის კეთილსაიმედობის დაცვის მიზნით, ამიტომ დაუკავშირა კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ვალდებულების დროულ შესრულებას. ეს ფაქტი კი საკმარისი საფუძველი იყო კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტისა. სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუკი ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდება ნატურით, მაგრამ თუ შემენილის ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ნატურით დაბრუნება, მაშინ მოვალეს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი/მ «...», რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

2009 წლის 2 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა წარადგინა დაზუსტებული სარჩელი და მიუთითა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველებზე. კერძოდ, განმარტა, რომ მხარეთა შორის 2007 წლის 12 მარტის 180 ხელშეკრულება დადებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის შესაბამისად. ი/მ «...» ივისრა რა ვალდებულება, სრულად შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, არ შეასრულა იგი ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროს, სრულად და ზედმიწევნით. შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ი/მ «...» მიერ ნაკისრი ვალდებულებები შეუსრულებლად ჩათვალა ვალდებულების დარღვევის გამო. ეროვნულმა სამსახურმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილზე და განმარტა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მოპასუხეს მიადგა ზიანი, რაც წარმოადგენს ი/მ «...» გადაცემული ვაქცინების ღირებულებას. რაც შეეხება სარჩელის მოთხოვნის ნაწილს მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 416-ე და 417-ე მუხლებზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეს – ი/მ «...» დაეკისროს პირგასამტეხლო 3800 ლარის, ხოლო ზიანის ანაზღაურება 31 219,35 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით ი/მ «...» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 1 400,76 ლარის ი/მ «...» სასარგებლოდ ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, მაგრამ

არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 412-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ვალდებულების დარღვევისას, კრედიტორი უფლება-მოსილია მოითხოვოს ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამოწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სააპელაციო პალატამ საფუძველს მოკლებულად მიიჩნია მოსარჩელისთვის ვაქცინების სრული ღირებულების დაბრუნების მოთხოვნა, ვინაიდან ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო წარმოიშობა ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ფაქტობრივად დამდგარი ზიანის არსებობის ფაქტი და ოდენობა, შესაბამისად, არ დადასტურდა მატერიალური ზარალის არსებობის ფაქტი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელემ ვერ შეძლო თავისი პოზიციის საფუძველიანობის დასაბუთება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელი ამ ნაწილში მიიჩნია უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად. ის გარემოება, რომ ინსპექტირების ჯგუფმა ი/მ «...» მიერ ჩატარებული მომსახურების მოცულობა, მომსახურების მიწოდების ვადები და დოკუმენტაციის წარმოება მიიჩნია დარღვევულად და შეაფასა შეუსრულებლად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, წარმოადგენდა არა ხელშეკრულების შეუსრულებლობას, არამედ არაჯეროვან შესრულებას. სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულად თანხას, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს მოთხოვნა, მხოლოდ მაშინ არის საფუძველიანი, თუ მხარეები შეთანხმდნენ მისი გადახდის ვალდებულებაზე. კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ იქნა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება მისი შეუსრულებლობისთვის და არა არაჯეროვანი შესრულებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს არ ჰქონდა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება, ვინაიდან არ დასტურდებოდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტი, ხოლო არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაზე არ შეთანხმებულან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი არ დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა ზიანის არსებობის ფაქტი და ოდენობა. ასევე მას არ გააჩნდა პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის უფლება, ვინაიდან არ დასტურდებოდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტი, ხოლო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაზე არ შეთანხმებულან.

კასატორი აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ იქნა მხარეთა ვალდებულებები. კერძოდ, ეროვნულმა სამსახურმა აიღო ვალდებულება, აენაზღაურებინა მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების ღირებულება შესყიდვის ობიექტის – მომსახურების მიღების შემთხვევაში. ი/მ «...» აიღო ვალდებულება, მომსახურება გაეწია შემსყიდველისათვის ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებით. მხარეთა ვალდებულებები გაწერილ იქნა ხელშეკრულების საერთო პირობებსა და სპეციფიკურ პირობებში პუნქტობრივად. ეროვნული სამსახურის ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომსახურების შემოწმების შედეგად ი/მ «...» მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ჩაითვალა შეუსრულებლად. ინსპექტირების ჯგუფმა შესრულების კონტროლი განახორციელა შერჩევითი წესით. დოკუმენტალური რევიზიის შედეგად დადგინდა, რომ ი/მ «...» დარღვეული ჰქონდა დოკუმენტაციის წარმოების წესი, აქტებში მითითებული სულადობა არ ემთხვევა სახელობით სიებში ნაჩვენებ სულადობას. სახელობით სიებს აკლია პირუტყვის მეპატრონეთა ხელმოწერები, ხშირ შემთხვევაში არ იყო მითითებული აკრილი ცხოველის სახეობა, თარიღები გადაკეთებული იყო. ადგილზე ინსპექტირებისას დადგინდა, რომ ი/მ «...» მიერ ვაქცინაციის ამსახველ დოკუმენტაციაში ასახული მონაცემები არ ემთხვეოდა რეალურად არსებულ მდგომარეობას. მის მიერ დოკუმენტაციაში ნაჩვენები პირუტყვის სულადობა გაზრდილი იყო, ნაჩვენები იყო ვაქცინის არასწორი ხარჯვა, დარღვეული იყო მომსახურების მიწოდების ვადები ცოფზე, ჯილეზე და ბრუცელოზზე სისხლის აღებაზე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეუსრულებელია და აღნიშნული მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია შემსყიდველ ორგანიზაციაში არ არის წარდგენილი. დარღვეულია მომსახურების მოცულობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ი/მ «...» მიერ დარღვეული იყო ხელშეკრულებით აღებული ყველა ვალდებულება, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩაითვალა ვალდებულების შეუსრულებლად.

კასატორი დაეთანხმა თერიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 394-ე, 416-ე და 417-ე მუხლები. ასევე არასწორად მიიჩნია, რომ ეროვნული სამსახური ვერ ადასტურებდა ფაქტობრივად დამდგარ ზიანს. კასატორი თვლის, რომ ი/მ «...» მომსახურებაში აღმოჩენილი დარღვევების გამოსწორებას ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა, რაც უთა-

ნაბრდება ხელშეკრულების შეუსრულებლობას. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, გამოხატულია ი/მ «...» გადაცემული ვაქცინების ღირებულებით. აღნიშნული ვაქცინების შესყიდვა განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით, ხოლო ი/მ «...» მიერ ხელშეკრულების პირობები დარღვეულ იქნა, სახეზეა სახელმწიფოზე მიყენებული ზიანიც. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ხელშეკრულების შესრულება ჩათვალა არაჯეროვნად, ვერ განსაზღვრა რა ნაწილი ჩაითვალა შესრულებულად და რომელი არაჯეროვნად მაშინ, როცა მოსარჩელის მიერ წარდგენილი იყო მტკიცებულებები შეუსრულებელი მომსახურების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 იანვრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურსა და ი/მ «...» შორის სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2007 წლის 12 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ი/მ «...» ვაქცინაციის ჩასატარებლად გადაეცა ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინის – 27 750 დოზა, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის – 5 800 დოზა, თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინის – 48 858 დოზა და 13 134 დოზა, საერთო ღირებულებით – 64 156,35 ლარი. ი/მ «...» ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უნდა განხორციელებინა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით. მომსახურების სრული ან ნაწილობრივი (ეტაპის) დამთავრებიდან 10 დღის ვადაში წარედგინა «სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურისათვის» შესაბამისი რაიონის მიერ დამოწმებული ტექნიკური პირობებით მოთხოვნილი მომსახურების გაწვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ინსპექტირების ჯგუფის 2007 წლის 5 ნოემბრის 127 ოქმით დადგინდა ი/მ «...» მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტი. 2007 წლის 10 ოქტომბრის ი/მ «...» წარმომადგენელსა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის წარმომადგენელს შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმღებს შემდგომი გამოყენებისათვის დაუბრუნდა 32 936,80 ლარის ღირებულების თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინის 34 დოზიანი – 16 728 დოზა და 33 დოზიანი – 9 735 დოზა, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის – 5 800 დოზა, ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინის – 27 750 დოზა, ხოლო დასაბრუნებელი დარჩა 31219,35 ლარის ღირებულების ვაქცინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით სასამართლოს თავად შეეძლო დაედგინა ზიანის ოდენობა. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ი/მ «...» მიერ შესრულებული სამუშაო შემოწმდა შერჩევით და არა სრული მოცულობით. შემსყიდველს გააჩნდა ვალდებულება, შესრულებული სამუშაო შეემოწმებინა სრული მოცულობით, რათა დაედგინა თუ რა ოდენობის ვაქცინა იქნა გახარჯული მიზნობრივად, ხოლო რა ოდენობა გაიხარჯა ხელშეკრულებით გავალისწინებული პირობების, ან ტექნიკური პირობების დარღვევით, რაც იმთავივე უთანაბრდებოდა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობას. ამასთან, მიმწოდებლის მიერ დაბრუნებულ იქნა გამოუყენებელი ვაქცინების ნაწილი, კერძოდ, 32 936,80 ლარის ღირებულების თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინის 34 დოზიანი – 16 728 დოზა და 33 დოზიანი – 9 735 დოზა, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის – 5 800 დოზა, ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინის – 27 750 დოზა, ხოლო დასაბრუნებელი დარჩა 31219,35 ლარის ღირებულების ვაქცინა. კასატორი თავად არ ხდის სადავოდ იმ გარემოებას, რომ ი/მ «...» მიერ მოხდა გატანილი ვაქცინების გარკვეული ნაწილის მოხმა-

რება. მათგან შესრულებული სამუშაოს შერჩევით შემოწმებისას აღმოჩენილ იქნა მათ შორის არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტი. წარმოდგენილი მასალების ანალიზით შეუძლებელია დადგინდეს კონკრეტულად რა ოდენობის ვაქცინის გახარჯვა მოხდა არამიზნობრივად ან რა ოდენობის მიზნობრივი გამოყენება იყო დადასტურებული, ვინაიდან თავად კასატორი ხდის სადავოდ მიმწოდებლის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის სისწორეს და მიიჩნევს ხელშეკრულების პირობის დარღვევად. ამდენად, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ოდენობა, ვინაიდან მოცემული დავის ფარგლებში ფაქტობრივად დამდგარი ზიანი არის ი/მ «...» მიერ ხელშეკრულების შესაბამისად გატანილი ვაქცინების დაუბრუნებელი ნაწილიდან (31219,36 ლარის ღირებულების ვაქცინიდან) იმ ნაწილის ღირებულება, რომლების მიზნობრივი ხარჯვა ვერ იქნებოდა დადასტურებული შემოწმების შედეგად და ასევე არ იქნებოდა დაბრუნებული მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის მოთხოვნის შემდეგ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატამ სწორად დაადგინა მოთხოვნის ამ ნაწილში ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული იყო რა ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლო წარმოებისას, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეუძლებელია იმ ზიანის დადგენა, რაც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით წარმოებული შესასყიდი სამუშაოს წარმოებისას, ვინაიდან თავად მოსარჩელე ადასტურებს, რომ წარმოებული დოკუმენტაციის ის ნაწილი, რომელთა მიხედვითაც შერჩევითი წესით შემოწმდა სამუშაო, არ ასახავდა რეალურად არსებულ მდგომარეობას. შესაბამისად, ამ სახით წარმოებული დოკუმენტაციით შეუძლებელია არსებული სურათის დადგენა, თუ რეალურად რა ზიანი განიცადა მოსარჩელემ მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევით. მოსარჩელეს თავად გააჩნდა ვალდებულება, რეალურად არსებული მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლით შეექმნა სათანადო მტკიცებულება, რომელთაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად მიენიჭებოდა მტკიცებითი ძალა. ამ სახის მტკიცებულებათა საფუძველზე სასამართლოს ექნებოდა შესაძლებლობა ემსჯელა მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების საფუძვლიანობაზე და დაეკმაყოფილებინა ამ სახით დასაბუთებული მოთხოვნა.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას ი/მ «ა. ს-შვილისათვის» ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, საკასაციო პალატა თვლის, რომ საფუძვლიანია და იგი უნდა დაეკმაყოფილდეს, კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება ამ ნაწილში და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ წარმოდგენილი მასალების ანალიზი, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შეუძლებელს ხდის დადგინდეს, ი/მ «...» მიერ თუ რა მოცულობით არ იქნა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-10 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება 3800 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, რომლის გადახდა უნდა მომხდარიყო მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის ან მის მიერ თანხის გადახდის გზით (შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში). მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ი/მ «...» მიერ პირგასამტეხლო გადახდილი არ არის. ამასთან, როგორც ზემოთ აღნიშნა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალებით შეუძლებელია დადგინდეს იმ სამუშაოს მოცულობა, რომელიც რეალურად შესრულებულ იქნა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დაცვით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სასარჩელო მოთხოვნის მიმართ არსებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. სსკ-ის 417-ე მუხლი ადგენს, რომ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება მხარეს ეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ამაზე შეთანხმდნენ. განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არასრულად შესრულების ფაქტი, რაც შემსყიდველის მოსაზრებით, ხელშეკრულების პირობების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე უთანაბრდება ხელშეკრულების შეუსრულებლობას. საკასაციო პალატა მართალია არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას, მაგრამ თვლის, რომ მხარეებს შორის არსებული შეთანხმება პირგასამტეხლოს გადახდის თაობაზე ქმნის მისი მოპასუხი-

სათვის დაკისრების საფუძველს. როგორც უკვე აღინიშნა, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეუძლებელია იმ სამუშაოს მოცულობის დადგენა, თუ რა ოდენობა არ იქნა შესრულებული მიმწოდებლის მიერ. ხელშეკრულების პირობებით ასევე არ არის დაკონკრეტებული თუ რა ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ეკისრება მხარეს ხელშეკრულების ამა თუ იმ მოცულობით შეუსრულებლობისას. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა ი/მ «...» მიერ სამუშაოს ნაწილობრივ შეუსრულებლობის ფაქტი, რომლის ზუსტი მოცულობის დადგენა შეუძლებელია. ამდენად, მას უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს ანაზღაურება იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებულია მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით სრულად – 3800 ლარის ოდენობით.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მოთხოვნა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში საფუძველიანია და ამ სახით უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, ი/მ «...» უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს – 3800 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება ი/მ «...» პირგასამტეხლოს – 3800 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ი/მ «...» დაეკისროს პირგასამტეხლოს – 3800 ლარის გადახდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სასარგებლოდ;
5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. მიწის ნაკვეთის დროულად გადაუცემლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

18ს-569-540 (კ-09)

5 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «...» 2005 წლის მარტში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე გორის რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა მიყენებული ზიანის სახით 176 000 ლარის ანაზღაურება.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით შპს «...» სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «...».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს «...» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება: შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა – გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა შპს «...» სასარგებლოდ 30000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო შემდეგი გარემოებები: შპს «...» დამფუძნებელ პარტნიორს წარმოადგენდა სახელმწიფო. 2000 წლის დეკემბერში განხორციელდა შპს «...» 100%-იანი წილის პრივატიზება მოქალაქე გ. მ-ის მიერ; გორის რაიონის გამგეობის 2000 წლის 30 მაისის 1137 დადგენილებით შპს «...» შინდისის საკრებულოს სოფ. ... ტერიტორიიდან 100 ჰექტარ სახნავ ფართობზე გაუფორმდა ხელშეკრულება იჯარის წესით, 49 წლის ვადით; 2001 წლის 28 სექტემბერს აღნიშნული დადგენილების საფუძველზე გორის რაიონის გამგეობასა და შპს «...» შორის გაფორმდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის საიჯარო ხელშეკრულება; შპს «...» მხრიდან ხელშეკრულებას ხელს აწერს იმ დროისათვის შპს «...» დირექტორი რ. ს-მე; 2003 წლის 23 აპრილის გორის რაიონის გამგეობის 176 დადგენილებით, დაკმაყოფილდა შპს «...-ს» ყოფილი დირექტორის რ. ს-მის თხოვნა და გაუქმდა სოფ. ... ტერიტორიაზე 89,45 ჰექტარ მიწაზე დადებული 2001 წლის 28 სექტემბრის საიჯარო ხელშეკრულება; გორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს «...-ს» სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი გორის რაიონის გამგეობის 2003 წლის 23 აპრილის 176 დადგენილება შპს «...» და გორის რაიონის გამგეობასთან მიწის იჯარის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე; 2003 წლის 8 ოქტომბრის გორის რაიონის გამგეობის 1186 დადგენილებით გაუქმდა შპს «...» გორის რაიონის გამგეობის მიერ დადებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის საიჯარო ხელშეკრულება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, საიჯარო გადასახადის დავალიანების გამო. 2003 წლის 14 ნოემბრის გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით კვალავ დაკმაყოფილდა შპს «...-ის» სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი გორის რაიონის გამგეობის 2003 წლის ოქტომბრის 1186 დადგენილება. გორის რეგიონალური ცენტრიდან (საგადასახადო ინსპექცია) წარმოდგენილი 2005 წლის 18 თებერვლისა და 2008 წლის 20 თებერვლის შედარების აქტებით ირკვევა, რომ 2005 წლისათვის შპს «...» ძირითადი დავალიანება მიწის გადასახადის ნაწილში შეადგენდა 16 932,66 ლარს, ხოლო საურავი 25 036,26 ლარს. ხოლო 2008 წლისათვის შპს «...» ძირითადი დავალიანება მიწის გადასახადის ნაწილში შეადგენს – 21 914 ლარს, ხოლო საურავი 31 062,21 ლარს. მთლიანობაში 2008 წლის მდგომარეობით შპს «...» ერიცხება ნარჩენი დავალიანების სახით 33 308 ლარი, ხოლო საურავი 62 367,85 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს «...» 2000 წლის დეკემბერში შპს «...» 100%-იანი სახელმწიფო წილის პრივატიზების შემდეგ, შპს-ს ქონება ჩაიბარა მხოლოდ 2003 წლის 31 მარტს, ხოლო სადავო იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი 2004 წლის ოქტომბრიდან. მანამდე საიჯარო მიწის ნაკვეთსა და შპს-ს ქონებას შპს «...» ვერ ფლობდა. სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ გორის რაიონის გამგეობამ 2003 წლის 23 აპრილს დააკმაყოფილა შპს «...» ყოფილი დირექტორის რ. ს-მის განცხადება და გააუქმა შპს «...» დადებული 2001 წლის 28 სექტემბრის საიჯარო ხელშეკრულება. აღნიშნული დადგენილება კი გასაჩივრებული იქნა მოსარჩელე შპს «...» მიერ, მაგრამ შპს «...» სადავოდ არ გაუხდია საიჯარო მიწის ნაკვეთის გადაცემა-არ გადაცემის ფაქტი. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ჩათვალა, რომ გორის რაიონის გამგეობა კარგად იყო ინფორმირებული შპს «...» მიმართ არსებული პრობლემის შესახებ და მოითხოვდა საკითხის გარკვევამდე თავი შეეკავებინა შპს «...» მიწის სარგებლობისაგან. სააპელაციო სასამართლომ, საქმეში არსებული მასალებით ჩათვალა, რომ შპს «...» 2001-2004 წლებში აღნიშნული მიწის ნაკვეთით არ უსარგებლია. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებებით შპს «...» სარჩელი მოპასუხეების – გორის საგადასახადო ინსპექციისა და გორის რაიონის გამგეობის მიმართ დარიცხული გადასახადის (75 000 ლარის) უკანონოდ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა და შპს «...» დაეკისრა გადასახდელად აღნიშნული თანხა სადავო მიწის ნაკვეთის ფლობისათვის მიწის გადასახადის სახით. სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ შპს «...» მოპასუხის ბრალეულობით არ უსარგებლია სადავო მიწის ნაკვეთით. ასევე დადგინდა, რომ მოსარჩელეს სადავო პერიოდისათვის დაეკისრა მიწის გადასახადის სახით 75 000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი. სასამართლომ დადგინდა ჩათვალა, რომ მოსარჩელე არაერთხელ მიმართავდა მოპასუხეს, რათა სადავო მიწა გადასცემოდა სარგებლობისათვის; გამგეობის მიერ არაერთხელ უკანონოდ მოხდა იჯარის ხელშეკრულების გაუქმება, რაზეც სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს «...» მოთხოვნა იქნა დაკმაყოფილებული და იჯარის ხელშეკრულების გაუქმება ჩაითვალა უკანონოდ.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ასევე სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი და მოპასუხეს დააკისრა 30 000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, კერძოდ, ის ფაქტი, რომ გ. მ-მემ შპს «...» ბალანსზე რიცხული ქონება აუქციონის წესით შეიძინა 2000 წლის 29 დეკემბერს, გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით 15 დღის ვადაში უნდა მომხდარიყო ქონების მიღება ჩაბარების აქტის გაფორმება, რაც არ მომხდარა, ვინაიდან მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულ იქნა 2003 წელს, რითაც მოხდა ძირითადი ქონების გადაცემა, ხოლო 2004 წელს სადავო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება; აღნიშნული მომენტისათვის რ. ს-მეს ეკავა შპს «...» დირექტორის თანამდებობა, რაც დასტურდება 2003 წლის 31 მარტის მიღება-ჩაბარების აქტით, სადაც ხელს აწერენ რ. ს-მე და მესაკუთრის ქონების მართვასთან შეთანხმებით დანიშნული დირექტორი ვ. ბ-ური; კასატორი თვლის, რომ გ. მ-მეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის გარემოება, რომ საიჯარო მიწა უფლებრივად იყო ნაკლიანი და მასზე ირიცხებოდა მიწის გადასახადის დავალიანება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს: მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შპს «...» სასარჩელო განცხადებით თავდაპირველად მოითხოვა მოპასუხისათვის 167 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ ქ. გორის რაიონის გამგეობის ბრალეული ქმედების გამო ვერ ისარგებლა 2001-2004 წლებში იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით, რაც შპს «...» საქმიანობის და შემოსავლების მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენდა და ამის გამო ვერ მიიღო შემოსავალი და განიცადა ზიანი.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე.

ამ ნორმის თანახმად პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ან ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ დელიქტური პასუხისმგებლობის ღონისძიება, საქმის მასალებით დადასტურებული უნდა იქნეს მოპასუხის მიერ განხორციელებული არამართობიერი ქმედების ფაქტი, ეს ქმედება განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმით უნდა იქნეს ჩადენილი; მოსარჩელეს ზიანი უნდა მიადგეს სწორედ ასეთი ქმედების შედეგად და მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს მოპასუხის ქმედებასა და მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანს შორის. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 იანვრის სხდომის ოქმზე, რომლითაც ირკვევა, რომ სხდომის თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა მოსარჩელეს, რით ადასტურებდა ზიანი 30 000 ლარს რომ შეადგენდა; შპს «...» წარმომადგენელმა კი უპასუხა, რომ გადასახადი დაერიცხათ და გადაიხადეს. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასარჩელო განცხადებაში მითითებული მიწის ნაკვეთის გამოუყენებლობით მიყენებული ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ მოსარჩელისათვის დარიცხული გადასახადის ოდენობის შესაბამისად. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ ისე მიიჩნია საფუძვლიანად შპს «...» დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა და ისე დააკისრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას მის სასარგებლოდ 30 000 ლარის გადახდა, რომ არ გამოიკვლია და კონკრეტულად არ მიუთითა ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის მიწის ნაკვეთის დროულად გადაუცემლობით მიყენებული ზიანის მოცულობა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი; ამ ნორმის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გა-

მოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლითა და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ზიანის და მიუღებელი სარგებლის ანაზღაურება უსაფუძვლო გამდიდრების დროს

განჩინება

18ს-300-293(კ-08)

24 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ც. ჯ-შვილმა და გ. ჯ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას და მოპასუხე საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსათვის 584 266 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 27.06.97წ. 1328 ბრძანებულებით დამტკიცდა ნულოვანი საწყისი ფასით გასაყიდი სააქციო საზოგადოებების სია. მითითებული ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ ჩაატარა აუქციონი. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 09.09.97წ. 12-3/550 ბრძანებით დამტკიცდა ნულოვანი აუქციონის შედეგები, რომელზეც პრივატიზებულ იქნა სს «...» 70 946 ცალი აქცია 26 685 ლარად. ამავე მინისტრის 13.11.97წ. 106/397 ბრძანებით სააქციო საზოგადოების დირექტორს დაევალა აქციების შემძენი პირებისათვის შესაბამისი სერთიფიკატების გაცემა. გორის რაიონული სასამართლოს 11.02.98წ. დადგენილებით სს «...» შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა სს «...» და შეიცვალნენ აქციონერები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.07.99წ. გადაწყვეტილებით სს «...» ნულოვან აუქციონზე გასაყიდი ობიექტთა სიაში შეტანა არაკონსტიტუციურად ჩაითვა. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 27.09.2000წ. 11-3/622 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი სს «...» აქციათა პრივატიზება ნულოვან აუქციონზე. გორის რაიონული სასამართლოს 11.01.01წ. დადგენილებით რეგისტრაციაში იქნა გატარებული სს «...», 100%-ის მესაკუთრედ დაფიქსირდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. ხსენებული სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას არ იქნა გათვალისწინებული მოსარჩელეთა ინტერესი, რომლებსაც აუქციონზე ჰქონდათ შეძენილი აქციები და მათი საკუთრების უფლება შეძენილ აქციებზე დადასტურებული იყო სქმ მინისტრის 09.09.97წ. 11-3/550 ბრძანებით. ჯ. ჯ-შვილს და ც. ჯ-შვილს შპს «...» გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება ქ. გორში მდებარე სს «...» საკუთრების ნაწილზე. ხსენებული ხელშეკრულება ძალაში შევიდოდა საწარმოდან რეალური წილის გამოყოფის შემდეგ. სააქციო საზოგადოებიდან მათი წილების გამოყოფის თაობაზე მიმართეს სს «...» ხელმძღვანელობას, რომელმაც აცნობა, რომ საკითხის განხილვა გადაიდებოდა და საკონსტიტუციო სასამართლოში სს «...» აქციათა პრივატიზების არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ საწარმოს შრომითი კოლექტივის კონსტიტუციური სარჩელის განხილვამდე. საკონსტიტუციო სასამართლოსა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ აქციათა პრივატიზების ბათილად ცნობის შემდეგ, 11.01.01წ. დაფუძნებულ ახალ სააქციო საზოგადოებაში მოსარჩელეთა ინტერესი გათვალისწინებული არ იქნა – საწარმო დაფუძნდა 100%-იანი სახელმწიფო წილით. მოსარჩელეთა განმარტებით, 384 266 ლარის ზიანი განიცადეს, ვინაიდან ვერ მიიღეს შპს «...» გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებლო-

ბით გათვალისწინებული თანხა. მოპასუხე მხარემ სრულად დაიბრუნა მოსარჩელეთა აქციები, მათ კი ყოველდღიურად ადგებოდათ ზიანი მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, რამაც ჯამში 200 000 ლარი შეადგინა. მოსარჩელებმა მოპასუხისათვის 584 266 ლარის დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 11.05.04წ. განჩინებით საქმეში მე-3 პირებად ჩაებნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. ამავე სასამართლოს 06.07.04წ. განჩინებით მითითებული უწყებები საქმეში მოპასუხეებად ჩაებნენ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 16.07.04წ. გადაწყვეტილებით მოპასუხეებს ც. ჯ-შვილისა და გ. ჯ-შვილის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 8000 ლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ც. ჯ-შვილმა, გ. ჯ-შვილმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 09.03.05წ. განჩინებით ც. ჯ-შვილის, გ. ჯ-შვილის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 19.05.05წ. განჩინებით სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო და სახაზინო სამსახური მე-3 პირებად ჩაებნენ საქმეში. 14.07.05წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 01.05.06წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გ. ჯ-შვილისა და ც. ჯ-შვილის თითოეულის სასარგებლოდ დაეკისრა 18 514 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის 1-ლი და მე-5 ნაწილების თანახმად, როცა ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მიღებული სარგებელი და შესრულება უბრუნდებათ მხარეებს. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ამავე კოდექსის 394-ე მუხლის შესაბამისად. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელებს მხოლოდ მათ მიერ აქციათა შესამენად გადახდილი თანხა, 8000 ლარი უნდა დაჰბრუნებოდათ. სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ «...» პრივატიზებისას დაარღვია «მეწარმეთა შესახებ» კანონი – ობიექტი ისე შეიტანა საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში, რომ კანონით დადგენილი წესით არ მოუხდენია სააქციო საზოგადოების დაფუძნება და მისი რეგისტრაცია, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ერთ-ერთ საფუძველად იქნა მიჩნეული. ხელშეკრულების მოშლის შედეგად ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უნდა დაკისრებოდა გ. ჯ-შვილის სასარგებლოდ 18 514 აშშ დოლარის და ც. ჯ-შვილის სასარგებლოდ ასევე 18 514 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი. შპს «...» გაფორმებული ხელშეკრულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი, სასამართლოს აზრით, არ უნდა ანაზღაურებულიყო, ვინაიდან მოსარჩელებმა ვერ წარმოადგინეს ხელშეკრულებათა დედნები. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელებს არ გააჩნდათ აქციათა სერთიფიკატები, რის გამოც მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას მსგავსი ხელშეკრულებები გაეფორმებინათ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.12.07წ. განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.12.07წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ. კასატორმა აღნიშნა, რომ სააქციო საზოგადოების აქციათა 100%-ს ფლობდა სახელმწიფო, საწესდებო კაპიტალში მოსარჩელეთა წილი განსაზღვრული არ ყოფილა. კასატორის განცხადებით, დაუშვებელია პროცენტული წილის შესყიდულ აქციებთან გათანაბრება და ამ წესით რესტიტუციის გამოყენება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 508-ე მუხლის თანახმად, ყოველი მხარე ვალდებულია დაუბრუნოს ერთმანეთს ის რაც ხელშეკრულებით მიიღეს. სამინისტროს მოსარჩელებსაგან დაუბრუნდა 8000 ლარად ღირებული 21 272 ცალი აქცია და სამაგიეროდ მათ უნდა დაბრუნებოდათ 8000 ლარი. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადაეცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების ბათილობის გამო არ არსებობს ვალდებულება. კერძოდ, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ც. ჯ-შვილმა და გ. ჯ-შვილმა მონაწილეობა მიიღეს სს «...» აქციათა პრივატიზების მიზნით გამართულ აუქციონში და 21 272 ცალი აქციის შეძენის მიზნით თითოეულმა 4000, სულ ერთად 8000 ლარი გადაიხადეს. ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.07.99წ. გადაწყვეტილებით სს «...» ნულოვან აუქციონზე გასაყიდ ობიექტთა სიაში შეტანა არაკონსტიტუციურად ჩაითვა, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 27.09.2000წ. 11-3/622 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი სს «...» აქციათა პრივატიზება ნულოვან აუქციონზე. გორის რაიონული სასამართლოს 11.01.01წ. დადგენილებით რეგისტრაციაში იქნა გატარებული სს «...», რომლის აქციათა 100%-ის მესაკუთრედ დაფიქსირდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ც. ჯ-შვილს და გ. ჯ-შვილს უფლება ჰქონდათ გარიგების ბათილობის შემდეგ სახელმწიფოსაგან მოეთხოვათ მათ მიერ გარიგების შესრულების მიზნით გადახდილი თანხა – თითოეულს 4000 ლარი.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება გ. ჯ-შვილისა და ც. ჯ-შვილისათვის 4000 ლარის ნაცვლად 18 514 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის, სს «...» აქციათა 31%-ის გაზრდილი ღირებულების დაბრუნების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში ფიზიკურმა პირებმა იმ ვალდებულების შესრულების მიზნით გადაიხადეს სადავო თანხა, რომელიც აღარ არსებობს გარიგების ბათილობის გამო. უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები აკისრებს ვალდებულ პირს კრედიტორის ადრინდელი ქონებრივი მდომარეობის აღდგენას. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოსაზრებას განსახილველი დავის სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი და მე-5 ნაწილების საფუძველზე გადაწყვეტის შესახებ, რომლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ და კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს უარი არ უთქვამთ ხელშეკრულებაზე. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 27.09.2000წ. 11-3/622 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი სს «...» აქციათა პრივატიზება ნულოვან აუქციონზე, რისი სამართლებრივი შედეგიც არის ხელშეკრულების დადებამდე არსებული ვითარების აღდგენა. ასეთ შემთხვევაში მხარეებს ერთმანეთის მიმართ კანონით ზუსტად განსაზღვრული მოთხოვნის უფლება გააჩნიათ. სამოქალაქო კოდექსის 979.1 მუხლის თანახმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. ამავე კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძღოლის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ამავე ნორმის მე-2 წინადადებით განსხვავებულად არის მოწესრიგებული ფულის დაბრუნების პირობები. კანონი ითვალისწინებს ფულად ვალზე პროცენტის გადახდას. ასეთ შემთხვევაში სარგებლის მიუღებლობაში მოვალის ბრალის დადგენას სამართლებრივი მნიშვნელობა არ გააჩნია. აღნიშნული გამომდინარეობს ფულადი ქონების თავისებურებებიდან, რაც განსხვავდება სხვა ქონებრივი ობიექტებისაგან. ფულად საშუალებებს ყოველთვის შეუძლია სარგებელი მოუტანონ მის მესაკუთრეს. უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირს ეკისრება არმიღებული ქონების ანაზღაურება.

განსახილველ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.07.99წ. გადაწყვეტილებით სს «...» ნულოვან აუქციონზე გასაყიდ ობიექტთა სიაში შეტანა არაკონსტიტუციურად ჩაითვა იმის გამო, რომ საწარმოს ნულოვან აუქციონზე გატანისას «...» სააქციო საზოგადოებად დარეგისტრირებული არ იყო და არც მისი აქციები არსებობდა. ამდენად, მოპასუხისათვის ხელშეკრულების ხარვეზის არსებობა ცნობილი უნდა ყოფილიყო აუქციონის ჩატარების დროს, რის გამოც, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სადავო თანხაზე დასარიცხი პროცენტის ანაზღაურება უნდა დაეკისროს თანხის გადაცემის მომენტიდან. ამასთან, საქმეზე არ არის დადგენილი მოსარჩეეების მიერ თანხის გადაცემის მომენტი, აგრეთვე მოპასუხის მიერ აქციების შესაძენად გადახდილი თანხის დაუბრუნებლობის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია და არ დაუდგენია სადავო თანხით მისაღები სარგებელის ოდენობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული ფაქტობრივი გარემოების დადგენა და შესაბამისი თანხის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის დაკისრება არ გამოიწვევს დავის საგნის შეცვლას ან გაზრდას, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნას გადახდილი თანხის დაბრუნება და ზიანის ანაზღაურება შეადგენს. 8000 ლარზე დასარიცხი შესაბამისი პროცენტის მოპასუხისათვის დაკისრება წარმოადგენს სწორედ ამ თანხის დროულად დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის, მიუღებელი სარგებლის, ანაზღაურებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად,

წარმოადგენს საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს, რის გამოც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.12.08წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს იმავე სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

განჩინება

18ს-773-737(23-09)

26 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ც-მემ 2008 წლის სექტემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით მ. ც-მის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ც-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას მ. ც-მის სასარგებლოდ დაეკისრა 5098 ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ც-მემ, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით მ. ც-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ც-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას მ. ც-მის სასარგებლოდ დაეკისრა 5098 ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ც-მის ოჯახი არის 1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ოჯახი, რომელსაც დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2008 წლის 22 აპრილის 1553 წერილით, რომლის ადრესატია მ. ც-მის დედა ნ. ც-მე, ირკვევა, რომ ის შეყვანილია მიწისძვრით დაზარალებულთა სიაში, რომელიც გადაიზავნა მთავრობაში და რომლებსაც ეკუთვნით პირველ რიგში დახმარების მიღება.

ჭიათურის რაიონის გამგეობის 2004 წლის 9 აგვისტოს 1447 წერილით, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2008 წლის 7 მარტის 1289 და 2008 წლის 26 მარტის 1404 წერილებით ირკვევა, რომ ნ. ც-მის ოჯა-

ბი არის აღრიცხვაზე აყვანილი პირველ რიგში დასახმარებელთა სიაში, მაგრამ თანხის არარსებობის გამო მისი მოთხოვნა დაუკამაყოფილებელი დარჩა.

სააპელაციო პალატამ გამოიყენა «საქართველოს რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის 1352 დადგენილება სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ ამ დადგენილების მე-14 პუნქტის თანახმად ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საკრებულოს უნდა დაკისრებოდათ მ. ც-ძის სასარგებლოდ 5098 ლარის გადახდა, რადგან აღნიშნული დადგენილების მე-14 პუნქტის შესაბამისად მხოლოდ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა დაეკისროს მ. ც-ძის სასარგებლოდ მითითებული თანხის გადახდა.

სააპელაციო პალატამ მ. ც-ძის მოთხოვნა 127000 ლარის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოდ ჩათვალა, რადგან სახლის აშენებისათვის 127000 ლარის გამოყოფის თაობაზე ვალდებულება სახელმწიფო ორგანოებს მ. ც-ძის მიმართ აღებული არ აქვთ.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მალხაზ, ა. და ნ. ც-ძეებმა; მათ მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვათ მიწისძვრით დაზარეული სახლის სანაცვლოდ ასაშენებლად საჭირო თანხის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 127 000 ლარის გადახდაზე.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ნ. ც-ძის და ა. ც-ძესთან მიმართებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

კასატორი მ. ც-ძე თვლის, რომ სახელმწიფომ აიღო ვალდებულება მიწისძვრის შედეგად დაზარეული სახლების სანაცვლოდ ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, რაც დადასტურებულია საქართველოს მთავრობის 1352 დადგენილებით და მათ წერილებზე მიღებული პასუხებით.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ც-ძეების ოჯახი არ ცხოვრობდა რკინის ვაგონებში, ვინაიდან, მათი არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ გამოუყვეს რკინის ვაგონი საცხოვრებლად და, ამასთან, მთავრობის 1352 დადგენილებაში არაფერი არის ნახსენები რკინის ვაგონებში ცხოვრების სავალდებულობაზე.

კასატორი ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიიღო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტები მოთხოვნების დარღვევით.

კასატორი ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა აღნიშნავს, რომ «საქართველოს რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 3 მაისის 1352 დადგენილების საფუძველზე პრეფექტურას საქართველოს მთავრობაში მხოლოდ სიებისა და ანგარიშების წარდგენა ევალებოდა.

კასატორი ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა აღნიშნავს, რომ აღნიშნული ზიანი გამოწვეული იყო სტიქიური უბედურების და არა ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული მოქმედების შედეგად, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულების წარმოშობა დელიქტის საფუძველებიდან. მოცემულ შემთხვევაში კი მიწისძვრის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იკისრა სახელმწიფომ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ მ. ც-ძის და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მ. ც-ძის ოჯახი შედგება სამი წევრისაგან – თვითონ, დედა – ნ. ც-ძე და და – ა. ც-ძე. მათი ოჯახი წარმოადგენს 1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულს, ისინი ცხოვრობენ ჭიათურის რაიონის სოფ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის სახით ჭიათურის მუნიციპალიტეტს მიწისძვრით დაზარალებულთათვის 1997–1998 წლებში, ასევე 2002 წელს გადაერიცხა ფულადი თანხები, მაგრამ მ. ც-ძის ოჯახს არავითარი დახმარება არ მიუღია. საკასაციო პალატას დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქმეში წარმოდგენილი ჭიათურის რაიონის გამგებლის 2004 წლის 9 აგვისტოს 1447 წერილით, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2008 წლის 7 მარტის 1289

და 2008 წლის 22 აპრილის 1553 წერილებით ირკვევა, რომ მოპასუხე ადასტურებდა სახელმწიფოს ვალდებულებას მოსარჩელის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადასაწყვეტად სწორად გამოიყენა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის 1352 დადგენილება «საქართველოს რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ». ამ დადგენილების პირველ პუნქტში მითითებულია, რომ მიწისძვრის შედეგად დაზარალებული რაიონების პრეფექტურებმა დაუყოვნებლივ უნდა შეადგინონ მოსახლეობისათვის სიცოცხლის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფის პირველი რიგის სამუშაოთა ნუსხა და მათ ხელთ არსებული ფულადი და მატერიალური რესურსების ფარგლებში შეუდგენენ აღდგენით სამუშაოებს. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ სწორედ შესაბამისი რაიონების ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს დაევალით 1991 წლის 29 აპრილს საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, აღდგენითი სამუშაოების განხორციელება. ამავე დადგენილების მე-14 პუნქტის შესაბამისად ოჯახებს, რომელთაც მიწისძვრის შედეგად დაენგრათ საცხოვრებელი სახლი და სხვა ნაგებობები, გაუნადგურდათ ავეჯი და სხვა ქონება, უნდა მიეცეთ თანხა.

საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მ. ც-მის მოთხოვნა 127000 ლარის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოა, რადგან სახლის აშენებისათვის 127000 ლარის გამოყოფის თაობაზე ვალდებულება სახელმწიფო ორგანოებს მ. ც-მის მიმართ აღებული არ აქვთ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც მ. ც-მის და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. არ დაკმაყოფილდეს მ. ც-მის და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები.
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა ვალის აღიარებისას

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1543-1500(კ-08)

23 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 31 ივლისს მოსარჩელე მ. ა-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იყო 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული, რომელსაც მიაღდა მატერიალური ზიანი. თავდაპირველ დაზარალებულად ცნობილი იყო ლ. ა-მე – მოსარჩელის მამა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მ. ა-მე გახდა ლ. ა-მის კანონისმიერი მემკვიდრე, რაც დასტურდებოდა 1996 წლის 22 მარტს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი მოწმობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დაზარალებულთა კომისიის მიერ გაცემული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მატერიალური ზიანი შეადგენდა 786500 მანეთს. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, 1996 წლის 10 ოქტომბრისთვის მ. ა-მეს, როგორც დაზარალებულს, უნდა ანაზღაურებოდა 20773 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი 1992 წლის იანვარში არსებული კურსით. თანხის ნაწილი იყო ანაზღაურებული, მაგრამ ასანაზღაურებელი დარჩა 14910 აშშ დოლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა თბილისის მერიასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულად დაკისრებოდათ მის სასარგებლოდ 14910 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ნოემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად საქმეში ჩაება 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ა-მის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა – მოპასუხეებს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თბილისის მერიას მ. ა-მის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 14910 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ «თბილისში 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის 1180 განკარგულების მე-4 პუნქტით ცნობად იქნა მიღებული საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნები და დაზარალებული მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი განისაზღვრა 8 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში. ამდენად, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იქნა მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ამასთან, «ქ. თბილისის 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 მაისის 1336 დადგენილების, «თბილისში 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 1197 ბრძანებულების, «თბილისში 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 1704 ბრძანებულების თანახმად, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალოთ როგორც თბილისის მერიას, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა სასამართლომ მიიჩნია საფუძვლიანად.

სასამართლო არ დაეთანხმა მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსაზრებას სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს 1991-1992 წლებში მიაღდა მატერიალური ზიანი, ხოლო სარჩელი აღმრა 2007 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა 1996 წლის 1180 განკარგულებით აღიარა და იკისრა მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის – 8 მილიონი აშშ დოლარის ანაზღაურების ვალდებულება. ამდენად, 1964 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებული პირი (მოვალე) უფლებამოსილი პირის (კრედიტორის) წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით ან სხვაგვარად აღიარებდა მოთხოვნის არსებობას, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდებოდა და ამიტომ სარჩელის ხანდაზმულობაზე მითითება უსაფუძვლო იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და თბილისის მერიამ, რომლებმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის განჩინებით ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ა-ძის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით 596 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის მოქმედება ვრცელდებოდა მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა კოდექსის ამოქმედებამდე, მოცემულ სამართალურთიერთობაზე უნდა გავრცელებულიყო 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსი. აღნიშნული კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იყო სამი წელი, ხოლო მე-80 მუხლის მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად მიჩნეული იყო სარჩელის უფლების წარმოშობის დღე, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. მოსარჩელეს თანხის ანაზღაურების, როგორც კანონისმიერი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება მოპასუხეთა მიმართ წარმოეშვა 1996 წელს, მას კი სარჩელი აღძრული ჰქონდა 2007 წელს, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, 1996 წლის შემდეგ, როცა სახელმწიფომ აღიარა აღნიშნული ვალდებულებები და იკისრა მათი გადახდა, 2007 წლის 27 ივლისის წერილით, თბილისის მერიამაც კასატორის წინაშე აღიარა ვალის არსებობა, ვინაიდან აღნიშნა, რომ ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით 1991-92 წლების დეკემბერიანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულთა სიაში ირიცხება მოქალაქე ლ. ა-ძე, მ. ა-ძის მამა. დეკლარაციით მისი ქონებრივი ზიანი შეადგენს 26217 აშშ დოლარს. აქედან მერიის მიერ გადახდილია 11307 აშშ დოლარი, დარჩენილი ასანაზღაურებელი ზიანი შეადგენს 14910 აშშ დოლარს. თბილისის მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის დადგენილებაში, რომელსაც თან ერთვის 2000 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით არსებული დაზარალებულთა სია, კასატორის მამა ლ. ა-ძე შეყვანილია ამ პირთა სიაში და მათ მიმართ წლების განმავლობაში ხდებოდა მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

კასატორის განმარტებით, მას სააპელაციო სასამართლომ დააკისრა სახელმწიფო ბაჟის – 594 აშშ დოლარის გადახდა ეროვნულ ვალუტაში, თუმცა იგი მეორე ჯგუფის ინვალიდია და «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის «მ» პუნქტის თანახმად, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის მ. ა-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერიანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის 1180 განკარგულების მე-4 პუნქტით, ცნობად იქნა მიღებული საქართველოს ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროს დასკვნები და დაზარალებული მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი განისაზღვრა 8 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით, «ქ. თბილისის 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წ. იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წ. 31 მაისის 1336 დადგენილების, «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებულ მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წ. 1197 ბრძანებულების, «თბილისში 1991-92 წლე-

ბის მოვლენების დროს დაზარალებულ მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წ. 1704 ბრძანებულების თანახმად, 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ, სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, რიგი ღონისძიებების გატარება დაევალოთ როგორც თბილისის მერიას, ისე ფინანსთა სამინისტროს და თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში. ამდენად, არსებობს მოპასუხეთა ვალდებულების დამდგენი, ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზეც მოსარჩელეს მოპასუხეთა მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1996 წელს, რა დროსაც მითითებული ნორმატიული აქტებით მერიას დაევალა დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსების უზრუნველყოფა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს დაევალა წინადადებების შემუშავება დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად არასაბიუჯეტო და საბიუჯეტო სახსრების მობილიზებისა და გამოყოფის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წ. 1197 ბრძანებულების, «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებულ მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» მე-2 პუნქტით, სამთავრობო კომისიას ასევე დაევალა, დაზარალებულთა მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, პროგრამის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ 1991-92 წლების თბილისის ცნობილი მოვლენების შედეგად, დაზარალებულ მოქალაქე ლ. ა-მ, რომლის შვილიც – მ. ა-მე მამის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ამ უკანასკნელის სამართალმემკვიდრე, ცნობილი იქნა 1991-92 წლების თბილისის მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირად. 1996 წლის 10 ოქტომბერს, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, მ. ა-მისადმი მიყენებულმა მატერიალურმა ზიანმა, საცხოვრებელი სახლის გარდა, შეადგინა 26217 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, საიდანაც 1992 წლის იანვრიდან 1996 წლის ოქტომბრისთვის მატერიალურ ფასეულობით და ფულადი სახით ანაზღაურებულ იქნა 5444 აშშ დოლარის ეკვივალენტი, ხოლო ასანაზღაურებელი დარჩა 20773 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მ. ა-მის სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, მოსარჩელეს ზიანი 1991-92 წლების თბილისის ცნობილი მოვლენების შედეგად მიაღწია და სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე 2007 წელს აღძრა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურმა – საქართველოს პრეზიდენტმა 1996 წლის 26 ივლისის 1180 განკარგულებით აღიარა და იკისრა მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის 8 000 000 აშშ დოლარის ანაზღაურების ვალდებულება, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვალდებული პირი (მოვალე) უფლებამოსილი პირის (კრედიტორის) წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით ან სხვაგვარად აღიარებდა მოთხოვნის არსებობას ხანდაზმულობის ვადის დენა წყდებოდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ კასატორისათვის თანხების ანაზღაურება ეტაპობრივად ხდებოდა და სარჩელის აღძვრამდე მის მიმართ მოპასუხეთა დავალიანება შეადგენდა მხოლოდ 14 910 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. ა-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ა-მის სარჩელი დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. ა-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ა-მის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. სოლიდარულად დაეკისროს ქალაქ თბილისის მერიასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კასატორ მ. ა-მის სასარგებლოდ 14 910 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. სამხედრო კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1513-1470(კ-08)

16 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ნ. ქადაგიძე

სარჩელის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 22 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ი. ჯ-იას მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მან 2005 წლის 1 აპრილს ი. ჯ-იასთან გააფორმა ხელშეკრულება (კონტრაქტი) 4 წლის ვადით. მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გაწეული საქმიანობის გასამრჯელო განისაზღვრა ხელშეკრულების მოქმედების ძალაში შესვლის დღიდან, შესაბამისად განისაზღვრა ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი ვადად შეწყვეტის პირობები. აღნიშნული ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილითა და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდებოდა, შეეწყვიტა ოთხწლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები.

მოსარჩელის განმარტებით, ი. ჯ-იამ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, რის გამოც, ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, ვალდებული იყო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე დახარჯული თანხა, რომელიც 2893 ლარს შეადგენდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ი. ჯ-იასთვის მის სასარგებლოდ 2893 ლარის დაკისრება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოს.

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

რაიონულმა სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ ი. ჯ-იამ ხელშეკრულების პირობების შესრულება ვეღარ შეძლო ავადმყოფობის გამო, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლისა და 407-ე მუხლის საფუძველზე გამორიცხავდა ი. ჯ-იასთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მასზე დახარჯული თანხის – 2893 ლარის ანაზღაურების დაკისრებას.

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ იაგო ჯიქიასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2005 წლის 1 აპრილს გაფორმდა სამხედრო ქვედანაყოფში ანაზღაურებადი სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება (კონტრაქტი). ი. ჯ-იამ 2005 წლის 6 ოქტომბერს შუამდგომლობით მიმართა კომპეტენტურ პირებს სამხედრო სამსახურში 2005 წლის 11 ოქტომბრიდან თავისი დათხოვნის თაობაზე, რაც სამხედრო ნაწილის მეთაურის 1178 ბრძანებით დაკმაყოფილებულ იქნა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მან თავისი გადაწყვეტილება ახალ საფუძვლებზე დაამყარა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «ზ» ქვეპუნქტისა და 65¹ მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ აღძრული იყო ადმინისტრაციული სარჩელი ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულების თაობაზე, რომლის საფუძველზეც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად ითხოვდა დავალიანების გადახდას, კერძოდ, სარჩელი ეფუძნებოდა მხარეთა შორის სამხედრო სამსახურის თაობაზე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებას ხელშეკრულების კონტრაქტის მიერ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება მოპასუხის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხელშეკრულების 7.3 მუხლის საფუძველზე, რადგან ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი განსაზღვრავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას – იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილითა და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდებოდა შეეწყვიტა ოთხწლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროსათვის კონტრაქტით მასზე დახარჯული ფულადი თანხები, შემდეგი წესით: ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; ბ) 2 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; გ) 3 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აპელანტის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა კონტრაქტის 7.3 მუხლი – ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულება, რომლის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურე ვალდებული ხდებოდა, გადაეხადა კონტრაქტით დარჩენილი მოსამსახურისათვის გასაცემი ფულადი თანხა. ამასთან, ამავე მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს თანხის გადახდა ეკისრებოდა ერთი წლის სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ. შესაბამისად, კონტრაქტით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის გადახდა სამხედრო მოსამსახურეს ეკისრებოდა მხოლოდ ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ, ხოლო საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. ჯ-იას შორის ხელშეკრულება შეწყდა ერთი წლის გასვლამდე (ხელშეკრულება დაიდო 2005 წლის 1 აპრილს და შეწყდა 2005 წლის 11 ოქტომბერს, ანუ ექვს თვესა და 10 დღეში).

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის კონტრაქტის მოშლისას პასუხისმგებლობას ერთი წლის გასვლამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ ი. ჯ-იას მიმართ მოთხოვნილი თანხა წარმოადგენს სამინისტროსათვის მიყენებულ ზიანს (საკომპენსაციო თანხას), კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ჯარიმის ნაცვლად უშუალოდ დახარჯული თანხის ანაზღაურებას ითხოვს, რომლის მოთხოვნის უფლებამოსილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 407-ე მუხლის საფუძველზე გააჩნია. მოთხოვნილი თანხის ზიანის შინაარსზე მიუთითებდა კონტრაქტის მე-8 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები, საიდანაც ირკვევა, რომ სამინისტრომ მოითხოვა ის თანხა, რაც დახარჯა სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე და რომლის ხელახლა გაღება მოუწია, მოსარჩელის მიერ კონტრაქტის დარღვევის გამო, მის სანაცვლოდ ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნისათვის.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იყო, როგორც სამოქალაქო კოდექსის ნორმები, ასევე კონტრაქტის მე-8 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები, საიდანაც ირკვევა, რომ მოთხოვნილი თანხა ყოფილი საკონტრაქტო მოსამსახურის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის (საკომპენსაციო) თანხა იყო.

კასატორი ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი არ გამორიცხავდა კონტრაქტორის პასუხისმგებლობას ერთ წლამდე მსახურობისას კონტრაქტის დარღვევის გამო დამსაქმებლისათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ, ვინაიდან ამ მუხლს ზოგადი ხასიათი აქვს და პასუხისმგებლობის ზოგად პირინციპებს განსაზღვრავს. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება დადებული იყო 4 წლის ვადით, რაც კონტრაქტის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის მიხედვით კი, მოვალის მიერ ვალდებულებ

ბის დარღვევისას, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, ხოლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად ი. ჯ-იას მიერ კონტრაქტის დარღვევა, კერძოდ კი, მისი ნაადრევი შეწყვეტა ჩაითვალა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 19 თებერვლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2009 წლის 16 აპრილს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ი. ჯ-იასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2005 წლის 1 აპრილს გაფორმდა სამხედრო ქვედანაყოფში ანაზღაურებადი სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება (კონტრაქტი). ი. ჯ-იამ 2005 წლის 6 ოქტომბერს შუამდგომლობით მიმართა კომპეტენტურ პირებს სამხედრო სამსახურიდან მისი გათავისუფლების შესახებ, რაც 113081 სამხედრო ნაწილის მეთაურის 2005 წლის 10 ოქტომბრის 1178 ბრძანებით დაკმაყოფილდა. ხსენებული ბრძანებით ი. ჯ-ია წარდგენილ იქნა კონტრაქტის შეწყვეტაზე პირადი პატაკის საფუძველზე და მოხსნილ იქნა ყველა სახის კმაყოფიდან 2005 წლის 11 ოქტომბრიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის განმარტებით, ხელშეკრულების (კონტრაქტის) ვადამდე შეწყვეტის გამო ი. ჯ-ია 2005 წლის 1 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების 7.3 მუხლის საფუძველზე, ვალდებული იყო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე დახარჯული თანხა, რომელიც 2893 ლარს შეადგენდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ი. ჯ-იასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2005 წლის 1 აპრილს გაფორმებული სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულების (კონტრაქტი) 7.3 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ «სამხედრო მოსამსახურე» მომზადების პერიოდში ან მისი დასრულებს შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4 წლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, შემდეგი წესით: ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; ბ) 2 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; გ) 3 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს ხსენებული მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად 7.3 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ხელშეკრულების 9.1.1 და 9.1.2 მუხლებით ვადამდე შეწყვეტისას. ხელშეკრულების 9.1.1 მუხლი კი ითვალისწინებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას «სამხედრო მოსამსახურის» ავადმყოფობის გამო, რაც შეუძლებელს ხდის მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი ი. ჯ-იას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის მასალებისა და ჩხორიწყუს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანებიდან გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა 1IV-100/ა) თანახმად, ი. ჯ-ია დაავადებულია გულმკერდშიდა ლიმფური კვანძების ტუბერკულოზით გამკვრივების ფაზაში და 2005 წლის აგვისტოდან გადის მკურნალობის კურსს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ი. ჯ-ია დაავადებულია ტუბერკულოზით და მან თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვეღარ შეძ

ლო საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახური, რასაც მოწმობს ასევე საქმეში წარმოდგენილი III ასეულის მეთაურის უფროსი ლეიტენანტის დ. ა-ელის დახასიათებაც, რომლითაც ი. ჯ-ია ხასიათდება უარყოფითად იმის გამო, რომ ავადმყოფობის გამო ბათუმში ყოფნის დროს გაგზავნილ იქნა სამოქალაქო საავადმყოფოში გამოკვლევაზე, შემდეგ ჰოსპიტალში 1 თვის განმავლობაში, მაგრამ დაბრუნების შემდეგაც ვერ გამოჯანმრთელდა, რის გამოც მან თავისი ნებით დაწერა პატაკი სიებიდან ამორიცხვის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ ი. ჯ-იას არ გააჩნდა კომპეტენტური ორგანოს კომისიური დასკვნა მისი ავადმყოფობის თაობაზე და განმარტავს, რომ მოპასუხე ი. ჯ-იას მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და III ასეულის მეთაურის უფროსი ლეიტენანტის დ. ა-ელის დახასიათებით, რაც ხელშეკრულების 7.3 და 9.1.1 მუხლების საფუძველზე გამორიცხავს ი. ჯ-იას პასუხისმგებლობას ხელშეკრულების ვადამდე მოშლისას, ვინაიდან ხელშეკრულების 9.1.1 მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესაძლებლობას «სამხედრო მოსამსახურის» ავადმყოფობის გამო, რაც შეუძლებელს ხდის მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ამასთან, ხსენებულ დროს არ მოქმედებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის 7.3 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, რაც გამორიცხავს მოცემულ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილებასა და ი. ჯ-იასთვის 2893 ლარის დაკისრებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ, ი. ჯ-იას ავადმყოფობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისა და გამოკვლევის შემდეგ მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებას აფუძნებს ახალ საფუძველებზე და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამხედრო კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

18ს-695-661(23-09)

2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ზ. ბ-მის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელო სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2005 წლის 1 მარტს ზ. ბ-მესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად გამწესდა სამხედრო სამსახურში. ზ. ბ-მე შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვის დღიდან იყო სამხედრო მოსამსახურე.

მოსარჩელოს განმარტებით, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი ასიგნებები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებაა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას, კვების, სანივთე უზრუნველყოფისა და წვრთნისა და აღჭურვისთვის განსახორციელებლად წინასწარ დაგეგმავს ფულად სახსრებს, იგი ვალდებულია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თითოეული ლარი განკარგოს დანიშნულებისამებრ, ანუ უზრუნველყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით.

კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი «სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით საშუალოდ 1400 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება მთელი თვის ხელფასის შესაბამისად; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 1000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

მოსარჩელოს მითითებით, მოპასუხე ზ. ბ-მე სამხედრო შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ იქნა 2005 წლის 20 აგვისტოს 12344 ბრძანებით კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. მოპასუხის სამხედრო სამსახურში მომსახურების ვადა შეადგენდა 5 თვესა და 19 დღეს.

«სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, საკონტრაქტო სამსახურის გამგელოთათვის დადგენილია არანაკლებ 3 წლიანი ვადა, ხოლო ზ. ბ-მეს ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით, ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება 4 წელი ემსახურა შეიარაღებულ ძალებში. კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტიდან ათი დღის ვადაში, მოპასუხე ვალდებული გახდა აენაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეადგენდა 1400 ათას ლარს, ხოლო 4.3 პუნქტი სამხედრო მოსამსახურის მომზადების პერიოდად განსაზღვრავს სამხედრო სამსახურის პირველ სამი თვეს, მოპასუხე ზ. ბ-მე კი, როგორც დათხოვნის ბრძანებიდან ირკვევა, გათავისუფლებულია შეიარაღებული ძალებიდან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტით (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო), რის გამოც მასზე უნდა გავრცელდეს კონტრაქტის 7.3 პუნქტის მოქმედება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელო ითხოვდა მოპასუხეს – ზ. ბ-მეს დაკისრებოდა ჯარიმის – 14 000 ლარის, ზიანის სახით – 2449,57 ლარისა და პირგასამტეხლოს – 14 000 ლარის 0,2%-ის ოდენობით ყოველდღიურად 2005 წლის 31 აგვისტოდან ჯარიმის ძირითადი თანხის გადახდამდე გადახდა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა – ზ. ბ-მეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 16449,57 ლარისა და 14 000 ლარის გადახდამდე, ყოველდღიურად 2005 წლის 31 აგვისტოდან ამ თანხის 0,2%-ის გადახდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ-მემ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ზ. ბ-მეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 2449,57 ლარის გადახდა, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარიმო თანხისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურებაზე ეთქვა უარი.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციული-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციული-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ. ამავე კოდექსის 66-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. ბ-მეს შორის 2005 წლის 1 მარტს დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა კონტრაქტის მოქმედების ვადა, ოთხი წელი და მისი შეწყვეტის პირობები. ზ. ბ-მე სამხედრო სამსახურში აღნიშნული კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდა 2005 წლის 1 მარტიდან 2005 წლის 20 აგვისტომდე, სულ – 4 თვე და 20 დღე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კონტრაქტის 7.3 პუნქტის თანახმად, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისთვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს, შეწყვიტოს 4 წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად, ბ) 2 წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად, გ) 3 წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებულ იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

კონტრაქტის 7.4 მუხლის თანახმად, «სამხედრო მოსამსახურის» მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების, ამავე მუხლებში დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების გადაცილების შემთხვევაში, აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი წარმოშობა არ ხდება დელიქტის, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

ამავე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში სამინისტროს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება, თუ პირი კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდა არანაკლებ ერთი წლისა და მეტი ვადით. საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ თავდაცვის სამინისტროსა და მოპასუხეს შორის ხელშეკრულება შეწყდა ერთი წლის გასვლამდე, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის ჯარიმის სახით თანხის – 14000 ლარისა და მის საფუძველზე ჯარიმის დადგენილ ვადებში გადაუხდელობისათვის, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, პირგასამტეხლოს 0,2%-ის ოდენობით დაკისრება, კანონშეუსაბამოა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი ზიანის სახით მის მიერ დახარჯული 2449,57 ლარის ანაზღაურების თაობაზე და მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსის **407-ე** მუხლით რეგლამენტირებულია კრედიტორის უფლება ხელშეკრულებიდან გასვლისას მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, რამდენადაც ზ. ბ-ის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მოსარჩელე მხარეს მიადგა ზიანი და მოუხდა ზ. ბ-ის მომზადებაში დახარჯული თანხის ხელახლა გაღება, მის სანაცვლოდ ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნის გამო, ზ. ბ-მეს ეკისრება ვალდებულება, ზიანის სახით აანაზღაუროს მასზე დახარჯული **2449,57** ლარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ზ. ბ-მემ.

კასატორი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2008** წლის **15** დეკემბრის გადაწყვეტილების სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში გაუქმებასა და მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

მეორე კასატორი – ზ. ბ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2008** წლის **15** დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ მისთვის **2449,57** ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილაზე უარის თქმას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **2009** წლის **9** ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება ხელშეკრულების შეფასების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს: კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **65-ე** მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის პრინციპით, რადან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის თაობაზე და ადასტურებს სასამართლოს მხრიდან ხელშეკრულების **7.3** მუხლის თაობაზე განმარტების შესახებ წარმოდგენილი მოტივაციის მართებულობას.

ხელშეკრულების **7.3** მუხლი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებს და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვი-

ტოს 4 წლიანი კონტრაქტი. «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) 2 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით 10000 ლარის ოდენობით; გ) 3 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

ამდენად, როგორც ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, სამხედრო მოსამსახურეს ფულადი თანხების – ჯარიმის, გადახდის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ კონტრაქტის 1-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. რაც შეეხება ერთ წლამდე პერიოდს, აღნიშნულზე მხარეთა შორის ჯარიმა-საურავების თაობაზე შეთანხმება არ არსებობს, რაც გამორიცხავს სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის დაკისრებას კონტრაქტის ერთ წლამდე შეწყვეტის შემთხვევაში.

საქმეზე უდავოდაა დადგენილი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. ბ-მეს შორის ხელშეკრულება დაიდო 2005 წლის 1 მარტს და შეწყდა 2005 წლის 20 აგვისტოს. ამდენად, ხელშეკრულები მოქმედების ვადაშეადგინა 4 თვე და 20 დღე.

მითითებულმა ფაქტობრივმა გარემოებებმა და სააპელაციო სასამართლოს სწორმა სამართლებრივმა შეფასებამ საკასაციო სასამართლოს მისცა საფუძველი უარი ეთქვა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის საკასაციო საჩივრის დაშვებაზე, ხოლო რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ზიანის სახით ზ. ბ-მისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ 2449,57 ლარის დაკისრების თაობაზე, საკასაციო სასამართლოს განმარტებით არამართებულია, ვინაიდან მხარეთა შორის 2005 წლის 1 მარტს დადებული ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის აუცილებელ პირობას, როგორც ზემოთ აღნიშნა წარმოადგენს სამხედრო ძალებში სულ მცირე 1 წლის სამსახური, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სამინისტროს მოთხოვნა ეხება მოპასუხისათვის ხელშეკრულების არა 7.3 მუხლში მითითებული ჯარიმის თანხის, არამედ ზ. ბ-მეზე დახარჯული თანხის – 2449,57 ლარის სამინისტროსათვის ანაზღაურებას, რომლიდანაც 1924,57 ლარი წარმოადგენს ხელფასს, ხოლო 525 ლარი კვების ხარჯს.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 20.08.2005 წლის 12344 ბრძანებით ზ. ბ-მე კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. მოხდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივ ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ (სკ-ის 352.1 მუხ.). საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიღებული შესრულების – მოპასუხის მიერ გაწეული სამსახურის და გაწეული სამსახურის შედეგად გადახდილი ხელფასის თანხის ხასიათიდან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია ხელფასის სახით გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება პრემია და ის დანამატებიც, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას, ამდენად მოსარჩელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ხელფასის თანხის დაბრუნების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს. ხოლო, რაც შეეხება სასურსათო ულუფას (525 ლარი), საკასაციო სასამართლო თვლის, რომ იგი არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ამასთანავე ხელშეკრულებიდან გასვლა განპირობებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. ბ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ – გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება ხელფასის – 1924,57 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ ზ. ბ-მისათვის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას დანარჩენ ნაწილში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გადაწყვეტილება მიღებულია კანონის სწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება გაზიარებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ზ. ბ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება ზ. ბ-მისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ 2449,57 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ზ. ბ-მისათვის სახელფასო თანხის – 1924,47 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
4. დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ზ. ბ-მისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ 525 ლარის დაკისრების თაობაზე; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამხედრო კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

18ს-1180-1142(კ-08)

9 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და კ. ა-მისათვის მის სასარგებლოდ 1598,25 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ კ. ა-მემ მასთან 15.03.05წ. გააფორმა კონტრაქტი 4 წლის ვადით. გაწეული საქმიანობის გასამრჯელო განისაზღვრა კონტრაქტის ძალაში შესვლის დღიდან, შესაბამისად განისაზღვრა კონტრაქტის მოქმედების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის პირობები. კონტრაქტის 7.3 მუხლის თანახმად, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილითა და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდებოდა შეეწყვიტა ოთხწლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები. მოსარჩელის განცხადებით, კ. ა-მემ დარღვია კონტრაქტის პირობები და იგი ვალდებული იყო, აენაზღაურებინა თავდაცვის სამინისტროსათვის მასზე დახარჯული თანხა – 1598,25 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.10.06წ. განჩინებით საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე კ. ა-მის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.03.07წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უარი ეთქვა მოპასუხე კ. ა-მისათვის 1598,25 ლარის დაკისრების მოთხოვნაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.03.07წ. გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.06.08წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.03.07წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – კ. ა-ძეს დაეკისრა 1598,25 ლარის გადახდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლომ დადგინებულ მიიჩნია, რომ სამხედრო ნაწილი 15810 გაუქმებულ იქნა თავდაცვის მინისტრის 27.05.05წ. 1179 ბრძანების საფუძველზე, რის შემდეგაც კ. ა-ძე ჩარიცხულ იქნა 15248 სამხედრო ნაწილში. თვითდათხოვნაში მყოფი კ. ა-ძე 15248 ნაწილის მეთაურის 11.08.05წ. ბრძანება 1166-ით მოხსნილ იქნა ყველა სახის კმაყოფიდან, ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 01.10.05წ. 12660 ბრძანებით ... ბატალიონის მართვის უზრუნველყოფის ოცეულის საინჟინრო ჯგუფის უფროსი კაპრალი კ. ა-ძე დათხოვნილ იქნა პირობების დარღვევის გამო მე-2 ქვეითი ბრიგადის შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანხმად, რაც კ. ა-ძის მიერ არ გასაჩივრებულა კანონით დადგენილი წესით. პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სამხედრო ძალებში სულ მცირე 1 წლის სამსახური. აღნიშნული გარემოება აუცილებელი პირობა იყო ამ ხელშეკრულების 7.3 მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის სახით სამინისტროსათვის კონტრაქტით დარღვენილი ვადის ფულადი თანხების ჯარიმის სახით ასანაზღაურებლად. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თავდაცვის სამინისტრო სარჩელით ითხოვდა არა ჯარიმის დაკისრებას კ. ა-ძისათვის, არამედ ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული იმ ზიანის ანაზღაურებას, რაც მათი მხრიდან გაწეული იქნა კ. ა-ძის მომზადებაზე და რომლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, მხარემ ხელახლა უნდა გაიღოს ახალი სამხედრო მოსამსახურის მოსამზადებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.06.08წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. ა-ძემ და სააპელაციო პალატის 06.06.08წ. გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება გააკეთა, როცა მიუთითა, რომ მოსარჩელე სარჩელით არ ითხოვდა ჯარიმის დაკისრებას, არამედ ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას, რასაც კასატორის მოსაზრებით, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 03.06.09წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცობილი ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ 15.03.05წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კ. ა-ძეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამინისტრომ იკისრა სამხედრო მოსამსახურის დასაქმების ვალდებულება, ხოლო სამხედრო მოსამსახურემ, ხელშეკრულების 6.1 მუხლის თანახმად, იკისრა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის ვალდებულება. მე-2 ქვეითი ბრიგადის ... ბატალიონის მართვის უზრუნველყოფის ოცეულის საინჟინრო ჯგუფის უფროსმა სერჟანტმა კ. ა-ძემ სამხედრო სამსახური გააგრძელა 15810 სამხედრო ნაწილში. კონტრაქტის მოქმედების ვადა ოთხი წლით განისაზღვრა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 27.05.05წ. 1179 ბრძანების საფუძველზე გაუქმდა 15810 სამხედრო ნაწილი, რის შემდეგაც კ. ა-ძე ჩარიცხულ იქნა 1... სამხედრო ნაწილში, რომლის მეთაურის 11.08.05წ. 1166 ბრძანებით, თვითდათხოვნაში მყოფი კ. ა-ძე მოიხსნა ყველა სახის კმაყოფიდან, ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 01.10.05წ. 12660 ბრძანებით, პირობების დარღვევის გამო, კ. ა-ძე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) საფუძველზე, რაც კ. ა-ძის მიერ არ გასაჩივრებულა კანონით დადგენილი წესით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კ. ა-ძე შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილ იქნა კონტრაქტის პირობების დარღვევის და არა რეორგანიზაციის, სამხედრო ნაწილის გაუქმების გამო. უკანასკნელი არ ყოფილა მოპასუხის შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის საფუძველი.

საქმეში დაცული სამხედრო ნაწილის 24.10.05წ. 1703 ცნობის თანახმად კ. ა-ძის ანაზღაურება თვეში 405.68 ლარს შეადგენდა, კ. ა-ძემ ხელფასის სახით 2005 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 11 აგვისტომდე 1373,85 ლარი მიიღო. 24.10.05წ. 1704 ცნობის მიხედვით კ. ა-ძეზე გაცემულმა კვების ხარჯმა 224,40 ლარი შეადგინა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კ. ა-ძეს ჩაბარებული აქვს მასზე რიცხული სანივთე ქონება და აღნიშნულთან დაკავშირებით მის მიმართ რაიმე მოთხოვნა არ არსებობს.

მხარეთა შორის 15.03.07წ. დადებული ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამხედრო ძალებში სულ მცირე 1 წლის სამსახური, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი

არ აქვს, ამდენად, არ არსებობს მოპასუხის მიმართ ხელშეკრულების 7.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების სახით საჯარიმო თანხების გამოყენების საფუძველი. ამასთანავე, მხედველობაში მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სასარჩელო განცხადებით ფაქტიურად ითხოვს კონტრაქტის 7.3 მუხლის თანახმად კ. ა-მეზე დახარჯული თანხების ანაზღაურებას, სამინისტროს მოთხოვნა არ ეხება ხელშეკრულების (კონტრაქტის) 7.3 მუხლით გათვალისწინებულ ჯარიმას. სამინისტროს მოთხოვნა ეხება მოპასუხისათვის ხელშეკრულების არა 7.3 მუხლში მითითებული ჯარიმის თანხას, არამედ კ. ა-მეზე დახარჯული თანხის – **1598,25** ლარის სამინისტროსათვის ანაზღაურებას, რომლიდანაც **1373,85** ლარი წარმოადგენს ხელფასს, ხოლო **224,40** ლარი კვების ხარჯს.

სზაკ-ის მე-2 მუხლის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 01.10.05წ. 12660 ბრძანებით კ. ა-მე კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო დათხოვილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. მოხდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ (სკ-ის 352.1 მუხ.). შემენის (მიღებული შესრულების – მოპასუხის მიერ გაწეული სამსახურის და გაწეული სამსახურის შედეგად გადახდილი ხელფასის თანხის) ხასიათიდან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია ხელფასის სახით გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა დამსაქმებლის ვალდებულებას შეადგენდა, ამდენად მოსარჩელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ხელფასის თანხის დაბრუნების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსკ-ის 410-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ ხელფასის თანხის **1373.85** ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილს უარი უნდა ეთქვას. ვინაიდან სასურსათო ულუფის (**224,40** ლარის) ხარჯი არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ამასთანავე ხელშეკრულების გასვლა განპირობებული იყო მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

«სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის 5.1 მუხლის «ა», «უ» ქვეპუნქტების, სასკ-ის მე-9.1 მუხლის, სსკ-ის 55-ე მუხლების შესაბამისად მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კ. ა-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

ა) გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 06.06.08წ. გადაწყვეტილება ხელფასის – **1373** ლარის და **85** თეთრის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ამ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

ბ) უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 06.06.08წ. გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ კ. ა-მისათვის – **224** ლარისა და **40** თეთრის დაკისრების ნაწილში;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

9. ზიანის ანაზღაურება გადაწყვეტილების აღსრულებლობის გამო

განჩინება

18ს-490-463 (კ-09)

20 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 16 მაისს კ. ი-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოპასუხეებისათვის მატერიალური ზიანის – 37 549 ლარისა და 1000 აშშ დოლარის სოლიდარულად მის სასარგებლოდ გადახდის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის მტკიცებით, მან რუსეთის ფედერაციის ქ. ვოლგოგრადში შპს «...» 2004 წლის 19 აპრილს გაფორმებული 10014 ნავთობპროდუქტების მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა კომპანია «...» წარმოების ავტომანქანის ზეთი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის შემდეგ, საბაჟო გაფორმების მიზნით, წარდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალურ საბაჟო ორგანოში, მაგრამ საქონლის საბაჟო გაფორმება არ განხორციელდა. 2004 წლის 23 სექტემბერს კ. ი-შვილმა საქონლის განბაჟების მიზნით განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს და კუთვნილი საქონლის საბაჟო გაფორმების უზრუნველყოფა მოითხოვა, მაგრამ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. 2004 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის მე-3 გამყოფილებამ დალუქა ის ავტომანქანა, რომელშიც განთავსებული იყო საქონელი.

2004 წლის 29 ოქტომბერს კ. ი-შვილმა დარღვეული უფლების დაცვის მიზნით სარჩელით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს, რომლის საფუძველზე მიღებული 2009 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით კ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიულ დეპარტამენტს დაეკისრა დადებული ლუქის მოხსნა იმ ავტომანქანაზე, რომელშიც განთავსებული იყო კ. ი-შვილის კუთვნილი საქონელი, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს საქონლის საბაჟო გაფორმება დაევალა. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს 2004 წლის 29 ნოემბრის განჩინებით გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იქნა მიქცეული და გაიცა სააღსრულებო ფურცელი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიულმა დეპარტამენტმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა ზემოხსენებული გადაწყვეტილების აღსრულება დააყოვნეს, რამაც მოსარჩელისათვის მატერიალური ზიანის მიყენება გამოიწვია.

მოსარჩელის მტკიცებით, მასსა და ი/მ ე. გ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, კ. ი-შვილს საქონლის მიწოდება უნდა განეხორციელებინა 2004 წლის 15 დეკემბერს. ვინაიდან სასამართლოს 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება ამ დროისათვის არ იყო აღსრულებული კ. ი-შვილს, ხელშეკრულების შესაბამისად, ე. გ-შვილის მიმართ ბეს ორმაგად დაბრუნების ვალდებულება წარმოემდგა; ასევე, ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულების მოშლის სანაცვლოდ ე. გ-შვილსა და კ. ი-შვილს შორის ხელშეკრულება გაგრძელდა, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა, რამაც კ. ი-შვილისათვის 14 694 ლარის დანაკლისი გამოიწვია; კ. ი-შვილს ასევე მიადგა მატერიალური ზიანი 1000 აშშ დოლარის ოდენობით, რაც გაღებულ იქნა ადვოკატისათვის მომსახურებისათვის სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ასევე 80 ლარი – თბილისის სააღსრულებო ბიუროში გაღებული წინასწარი ხარჯი, 675 ლარი – ავტომანქანის იძულებითი დგომისათვის სატერმინალო მომსახურების ხარჯი, 4100 ლარი – ავტომანქანის მფლობელის სასარგებლოდ ტერმინალში ავტომანქანის იძულებით დგომისა და მოცდენისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის – ი/მ კ. ი-შვილის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურება შემდეგი ოდენობით: ბეს ორმაგი ოდენობით დაბრუნების გამო 18000 ლარი, ადვოკატის მომსახურებისათვის გა-

წეული ხარჯი – 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, თბილისის სააღსრულებო ბიუროში გადებული წინასწარი ხარჯი – 80 ლარი, ავტომანქანის იძულებით დგომისათვის გაწეული სატერმინალო მომსახურების ხარჯი – 675 ლარი, ტერმინალში ავტომანქანის იძულებით დგომისა და მოცდენისათვის მისი მფლობელის სასარგებლოდ ზიანის ასანაზღაურებლად – 4 100 ლარი. მოსარჩელეს უარი ეთქვა ქონებრივი დანაკლისის – 14694 ლარით მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე.

საქალაქო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანო, კანონმდებლობის თანახმად, ვალდებული იყო, განეხორციელებინა ქმედება, რომლის შეუსრულებლობით მოსარჩელეს მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კონტრაქტისათვის ზიანის ასანაზღაურებლად კ. ი-შვილს დაეკისრა ბეს ორმაგი ოდენობით დაბრუნება.

დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ 2004 წლის 25 ოქტომბრის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, მომსახურების საფასური განისაზღვრა 1000 აშშ დოლარით, აგრეთვე, თბილისის სააღსრულებო ბიუროში მოსარჩელის მიერ გადახდილ იქნა 80 ლარი. შპს «...» სალაროს შემოსავლის 12611 ორდერით დადგინდა ავტომანქანის იძულებითი დგომისათვის გაწეული სატერმინალო მომსახურების – 675 ლარის გადახდის ფაქტი. ასევე დადგინდა, რომ ა. თ-შვილის კუთვნილი ავტომანქანა «...» ტერმინალში იძულებითი დგომისა და მოცდენისათვის მოსარჩელემ განიცადა მატერიალური ზიანი 4100 ლარის ოდენობით.

მოსარჩელის მოთხოვნა 14 694 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ნაწილში საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან საქმის მასალებით არ დადასტურდა, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი გამოწვეული იყო თუ არა მხოლოდ მოპასუხეთა ბრალეული ქმედებით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

სააპელაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევდა, რომ საბაჟო ორგანოს ბრალი არ მიუძღვოდა საქონლის გაფორმების დაყოვნებაში, ვინაიდან, სანამ საქონელი და სატრანსპორტო საშუალება დალუქული იყო ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის ლუქით, საბაჟო ორგანოს არ შეეძლო ჩაეტარებინა საბაჟო გაფორმების პროცედურები მოსარჩელის მიერ საქართველოში შემოტანილ საქონელზე. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა საბაჟო კოდექსის 134-ე მუხლი, ვინაიდან საბაჟო დეკლარაცია და საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტაცია საბაჟო ორგანომ მიიღო 2004 წლის 21 დეკემბერს და იმავე დღეს გააფორმა ტვირთი მოსარჩელის მიერ არჩეულ საბაჟო რეჟიმში. სადავო საქონელი საქართველოში შემოტანილი იყო საბაჟო წესების დარღვევით, კერძოდ, ტვირთის შემოტანისას მოსარჩელემ დაარღვია «ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების დაბეგვისა და აღრიცხვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ივლისის 1434 ბრძანებულება, ასევე დაირღვა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 1999 წლის 12 აგვისტოს 1156 ბრძანება, რომლითაც აკრძალული იყო როკი-ცხინვალი-გორის საავტომობილო მაგისტრალის გავლით აქციზური საქონლის გადაადგილება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 14 694 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. ი-შვილმა და მოითხოვა მითითებულ ნაწილში მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 10 იანვრის განჩინებით კ. ი-შვილის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებაზე კ. ი-შვილის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს, სოლიდარულად, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანისა (18 000 ლარი, 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი – 80 ლარი, 675 ლარი) და სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის – 367,35 ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საბაჟო დეპარტამენტისათვის თანხის დაკისრების ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივად იყო დაუსაბუთებელი. საქალაქო სასამართლომ მხოლოდ აღნიშნა, რომ საბაჟო დეპარტამენტმა ჩაიდინა უმოქმედობა, რამდენადაც მან არ განახორციელა კანონით მისთვის დაკისრებული ვალდებულება სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2004 წლის 2 დეკემბრისა და 9 დეკემბრის 01-06 წერილების საფუძველზე. ზემოაღნიშნული მსჯელობა არ ექვემდებარებოდა გაზიარებას, რადგან საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ სააღსრულებო საქმის წარმოება დამთავრდა 2004 წლის 21 დეკემბერს, როდესაც ფინანსური პო-

ლიციის მიერ შესრულდა აღმასრულებლის მოთხოვნა და ლუქი მოეხსნა ავტომანქანას. იმავე დღეს საბაჟო ორგანოს მიერ განბაჟდა ი/მ კ. ი-შვილის კუთვნილი საქონელი. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქალაქო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საბაჟო კოდექსის 134-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მოსაზრება, რომ ჯერ კიდევ ფინანსური პოლიციის მიერ საქონლის დალუქვამდე (2004 წლის 8 ოქტომბერი), საბაჟო ორგანოს შეეძლო ტვირთის განბაჟება, რითაც აცილებული იქნებოდა ზიანის დადგომა. თვით სარჩელის შინაარსიდან დგინდებოდა, რომ სარჩელის საფუძველს წარმოადგენდა მოპასუხეების, მათ შორის, საბაჟო ორგანოს მიერ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების დროული აღუსრულებლობა, რაც საბაჟო დეპარტამენტთან მიმართებაში არ დასტურდებოდა.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს, სოლიდარულად დაეკისრა ზიანისა და სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება, უნდა გაუქმებულიყო, ხოლო დანარჩენ ნაწილში, ფინანსურ პოლიციასთან მიმართებაში, უცვლელად დარჩენილიყო, რამდენადაც აღნიშნული არ წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს – ფინანსურ პოლიციას არ გაუსაჩივრებია ხსენებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის – 18 000 ლარის, 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარებში, 80 ლარის, 675 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა 367.35 ლარის ოდენობით შემდეგი საფუძველებით:

ფინანსურ პოლიციას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით არ ეცნობა სასამართლო სხდომის დრო, რის გამოც მოკლებული იყო შესაძლებლობას, მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში.

საკასაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევდა, რომ ვინაიდან კ. ი-შვილმა უკანონოდ გადმოკვეთა საზღვარი, საბაჟო დეპარტამენტმა არ მოახდინა აღნიშნული ტვირთის განბაჟება, ხოლო ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის III განყოფილებამ ტვირთი დააყადაღა. ფინანსურ პოლიციას სრული უფლება ჰქონდა, იმ დროს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 223-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ჯარიმის თანხის გადახდამდე დაყადაღდა ასეთი წესით ტრანსპორტირებული მატერიალური ფასეულობებზე ან საქონელზე. მოგვიანებით ფინანსურმა პოლიციამ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოხსნა ლუქი და მის ქმედებას საქონლის განბაჟებასთან მიმართებით არ გამოუწვევია არანაირი შეფერხება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციისათვის კ. ი-შვილის სასარგებლოდ თანხების დაკისრების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეებს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის გადახდა. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გადაწყვეტილების სრულად გასაჩივრება თავისთავად გულისხმობდა მის გასაჩივრებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციისათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების ნაწილშიც, რადგან სოლიდარული ვალდებულების არსიდან გამომდინარე, აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება წარმოადგენდა ორივე მოპასუხეების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულების საგანს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხო კასატორს და მისი, როგორც სოლიდარული მოვალის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა, რამდენადაც ამჯერად მთლიანად მას დაეკისრა გადასახდელი თანხა.

საკასაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხი ფინანსურ პოლიციასთან მიმართებაში საჭიროებდა საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევა-შეფასებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. კ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს კ. ი-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ გადახდილი ბეს ორმაგი ოდენობის, თანხით – 1800 ლარის, თბილისის სააღსრულებო ბიუროში გაღებული წინასწარი ხარჯების – 80 ლარის, ავტომანქანის იძულებით დგომისათვის სატერმინალო მომსახურებისათვის გაღებული ხარჯების – 675 ლარისა და ადვოკატის ხარ-

ჯების – 266,20 ლარის ანაზღაურება. კ. ი-შვილის სასარჩელო მოთხოვნა ადვოკატის ხარჯების სახით გაღებული 1553,80 ლარის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა. კ. ი-შვილს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით 150 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში მოითხოვა, რომლითაც უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად ჩათვალია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უნდა ემსჯელა, რამდენად იყო მოსარჩელის მიერ დაცული საბაჟო კანონმდებლობა საქართველოში აქციზური საქონლის შემოტანის კუთხით და მიუთითა 2004 წლის 18 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე. კასატორი თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე 2004 წლის 30 ნოემბერს ამოწერილი სააღსრულებო ფურცლით საბაჟო ორგანოსადმი დადგენილი ვალდებულება, განებაჟებია კ. ი-შვილის მიერ წარდგენილი საქონელი, თავის თავში მოიცავდა მოსარჩელის მოვალეობასაც, რომლის თანახმად, მასვე უნდა წარედგინა საბაჟო დეკლარაცია საბაჟო ორგანოში. აღნიშნული კ. ი-შვილმა განახორციელა 2004 წლის 21 დეკემბერს, ხოლო ლუქის ახსნა მოხდა დაუყოვნებლივ, საბაჟო პროცედურების შესრულების უშუალოდ წინა მომენტში. ამავე დღეს წარუდგინა მოსარჩელემ საბაჟო ორგანოს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია და საბაჟო ორგანომ კანონით დადგენილი წესით და ვადებში მოახდინა მოსარჩელის მიერ იმპორტირებული საქონლის საბაჟო გაფორმება მის მიერ არჩეულ საბაჟო რეჟიმში. კასატორი თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ვერ დასტურდება მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მისი შედეგი, რომლითაც ზიანი მიადგა მოსარჩელეს, მართლსაწინააღმდეგო ზიანი განხორციელდა განზრახ თუ გაუფრთხილებელი ქმედებით, რაც მნიშვნელოვანია მიყენებული ზიანის ხარისხის დადგენასა და შესაბამისად, კომპენსაციის განსაზღვრისათვის.

კასატორი მიუთითებს ასევე სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლზე და თვლის, რომ მოსარჩელემ მხოლოდ 2004 წლის 21 დეკემბერს, ანუ 2004 წლის 15 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გასვლის შემდეგ მიმართა საბაჟო ორგანოს და წარუდგინა საქონლის განსაბაჟებლად აუცილებელი სათანადო დოკუმენტაცია. კასატორი მიიჩნევს, რომ კ. ი-შვილმა ჩაიდინა უმოქმედობა, თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. რაც შეეხება ფინანსური პოლიციის საბაჟო დეპარტამენტის მიერ ლუქის მოხსნას, აღნიშნული არ გამოიცხავს გადამხდელის პასუხისმგებლობას საბაჟო კოდექსით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. ამრიგად, კასატორი მიიჩნევს, რომ არც ფინანსურ პოლიციას და არც საბაჟო ორგანოს არ დაურღვევია კანონის არც ერთი ნორმა და მათ საბაჟო პროცედურების დაყოვნებაში ბრალი არ მიუძღვით.

კასატორი ასევე მიუთითებს კ. ი-შვილის მიერ «ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების დაბეგვრისა და აღრიცხვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ივლისის 1434 ბრძანებულებისა და საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 1999 წლის 12 აგვისტოს 1156 ბრძანების დარღვევით საქონლის შემოტანის ფაქტზე და თვლის, რომ აღნიშნული დარღვევების არარსებობის შემთხვევაში მოსარჩელეს რაიმე ზიანი არ მიადგებოდა. ზიანი, რომელიც სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალია, გამოწვეული იყო ერთ შემთხვევაში მოსარჩელის არამართლზომიერი ქმედებით, ხოლო მეორე შემთხვევაში მისი უმოქმედობით.

კასატორი ასევე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლზე და თვლის, რომ სააპელაციო პალატამ, მართალია, გამოიყენა აღნიშნული კანონი, მაგრამ არასწორად განმარტა და გაავრცელა იმ ზიანზე, რომლის დადასტურებაც მოსარჩელემ ვერ შეძლო. სასამართლომ ასევე კანონის დარღვევით შეცვალა ნასყიდობის ხელშეკრულებაში ორ სუბიექტს შორის ნების გამოვლენის ავტონომიურობით გამოხატული მოქმედების შინაარსი და გაუკეთა კანონსაწინააღმდეგო ინტერპრეტაცია. კასატორი თვლის, რომ 2004 წლის 15 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, კ. ი-შვილს ამ ხელშეკრულებით ბე არ გადაუხდია, არამედ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად, ბე არის ნასყიდობის საგნის 20%, ანუ საქონელი – ზეთი. კასატორი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 421-ე და 513-ე მუხლებიდან გამომდინარე ზიანის არსებობას გამოიცხავს ამ გარიგების ბათილობა. კასატორი ასევე მიუთითებს 2004 წლის 15 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საგანზე, კერძოდ, აღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებდა 30 000 ლიტრი ზეთის მიწოდებას, ხოლო მოსარჩელის მიერ შეძენილი და განსაბაჟებლად წარდგენილ იქნა მხოლოდ 27 000 ლიტრი ზეთი, რის გამოც ხელშეკრულება, დადებული ე. გ-შვილთან ვერ შესრულდებოდა თავად მოსარჩელის ბრალით და ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს არ წარმოადგენდა საბაჟო ორგანოსა ან/და ფინანსური პოლიციის მოქმედება.

კასატორი ასევე მიუთითებს 2005 წლის პირველ იანვრამდე მოქმედ საგადასახადო კოდექსის 68-ე, 131-ე და 223-ე მუხლებზე და თვლის, რომ ვინაიდან კ. ი-შვილის მიერ შემოტანილი საქონელი იმდროისათვის წარმოადგენდა აქციზურ პროდუქციას და მისი შენახვა, გადაადგილება და რეალიზაციაზე საჭირო იყო, აღრიცხვის პირველად დოკუმენტებში სრულად და გარკვევით უნდა ასახულიყო სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, საგანი, თანხა, მონაწილე მხარეების დასახელება, ასევე სავალდებულო იყო ეკონომიური საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდების შემთხვევაში მკაცრი აღრიცხვის ზედნადების გამოწერა. ვინაიდან აქციზით დასაბეგრი ოპერაცია მოსარჩელემ განახორციელა 2004 წლის 15 სექტემბერს, მას აქციზის

გადახდის ვალდებულება წარმოეშვა მომდევნო თვის 10 რიცხვიდან, რომლის გადახდის გარეშე საქონლის რეალიზაცია დაუშვებელი იყო. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს ორგანოები საგადასახადო კოდექსის 223-ე მუხლის საფუძველზე უფლებამოსილი იყვნენ, ამავე კოდექსის 68-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულებამდე მოეხდინათ ასეთი წესით ტრანსპორტირებული მატერიალური ფასეულობების ან საქონლის დაყადაღება.

კასატორი ასევე მიუთითებს მოსარჩელესა და ა. თ-შვილს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რომელშიც ზიანის ოდენობა და ანაზღაურების ვალდებულება გათვალისწინებული არ არის. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებდა საქონლის გადაზიდვას საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, სოფელ ჯავიდან სოფელ ნორიომდე და საქონლის გადაადგილების მარშრუტი დამოკიდებული არ იყო განზაჟების პროცედურასთან. კასატორი თვლის, რომ ა. თ-შვილსათვის 4100 ლარის გადახდა საქმეს არ უკავშირდება, ამასთან, ზემოთხსენებული ზიანი მოსარჩელისათვის სავარაუდო ვერ იქნებოდა და ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს არ წარმოადგენს.

კასატორი ასევე სადავოდ ხდის 2004 წლის 24 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე შედგენილ სალაროს გასავლის ორდერს და თვლის, რომ აღნიშნული წარმოადგენს ცალმხრივ დოკუმენტს, რომელზეც არ არის მითითებული დოკუმენტის ნომერი, ბეჭედი, კ. ი-შვილისა ან მისი მოლარის/ბუღალტერის ხელმოწერა. ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის საგადასახადო კოდექსის 68-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, იგი ვერ იქნება მიჩნეული ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი ხარჯის გადახდის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად. კასატორი ასევე არ ეთანხმება სასამართლოს შეფასებას სატერმინალო მომსახურების თანხის – 672 ლარისა და სააღსრულებო საავანსო ხარჯების გადახდის დაკისრებას და თვლის, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს მოპასუხეთა ქმედებით გამოწვეულ მატერიალურ ზიანს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა საქმის განხილვა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 18 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ი/მ კ. ი-შვილმა კომპანია «...» წარმოების ავტომანქანის ზეთი შეიძინა შპს «...» 2004 წლის 19 აპრილში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული საქონელი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიტანა ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟოს გავლით. საქონელი განსაბაჟებლად წარდგენილ იქნა საბაჟო «ჩრდილოეთის» ტერიტორიაზე, მაგრამ განბაჟება ვერ განხორციელდა იმ მიზეზით, რომ ტვირთი შემოტანილი იყო საბაჟო გამშვები პუნქტის «როკის» გავლით, საიდანაც საქონლის შემოტანა შეწყვეტილი იყო. სასამართლომ მოპასუხის განმარტებაზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ საქონელი შემოტანილი იყო საბაჟო გამშვებ პუნქტ «ჩრდილოეთში» განსაბაჟებლად საქართველოს საბაჟო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად, რის გამოც საბაჟო ორგანო ვალდებული იყო განეზაჟებია ტვირთი. ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ფინანსური პოლიციის მიერ ტვირთზე ლუქის დადება განხორციელდა მოსარჩელის მიერ საქონლის განსაბაჟებლად რეგიონალური საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე შეტანის შემდეგ 2004 წლის 8 ოქტომბერს. ვინაიდან ფინანსურმა პოლიციამ ვერ წარადგენა რაიმე მტკიცებულება, თუ რის საფუძველზე დაილუქა ტვირთი, სასამართლომ მიიჩნია, რომ ფინანსური პოლიციის ოპერატიულ დეპარტამენტს უნდა დავალუბოდა შპს «...» ტერიტორიაზე დალუქული ა/მანქანა «მაზ»-ის მისაბმელზე ლუქის მოხსნა. ამავე სასამართლოს 2004 წლის 9 ნოემბრის განჩინებით აღნიშნული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, რა მიზნითაც 2004 წლის 30 ნოემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2004 წლის 2 დეკემბრის 101-06 და ამავე წლის 9 დეკემბრის 101/06 წერილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიულ დეპარტამენტსა და საბაჟო დეპარტამენტს მიეცათ წინადადება სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების დაუყოვნებლივ შესარულებისა. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ საქონელზე დადებული ლუქის ახსნა ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 2004 წლის 21 დეკემბერს, უშუალოდ განბაჟების წინ, რითაც აღსრულებულ იქნა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

დადგენილია, რომ ი/მ კ. ი-შვილსა და ე. გ-შვილს შორის 2004 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადას წარმოადგენდა 2004 წლის 15 დეკემბერი. ამავე ხელშეკრულების თანახმად, ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა 30 000 ლიტრი ავტომობილის ზეთი, რომლის ღირებულებაც მხარეებს შორის შეთანხმებით განისაზღვრა 4500 ლარით. დადგენილია, რომ კ. ი-შვილს კონტრაქტისაგან ბეს სახით მიღებული ჰქონდა 9000 ლარი, რომელიც საქონლის დადგენილი ვა-

დის დარღვევის შემთხვევაში ორმაგად უნდა დაეზრუნება. საქმის მასალებით დგინდება, რომ ი/მ ე. გ-შვილმა 2005 წლის 5 იანვარს ი/მ კ. ი-შვილისაგან მიიღო ბეს სახით გაცემული თანხის ორმაგი ოდენობა – 18 000 ლარი. საქმეში წარმოდგენილი სალაროს გასავლის ორდერით დადგენილია, რომ ა. თ-შვილზე 2004 წლის 21 ოქტომბერს ი/მ კ. ი-შვილის მიერ გაცემულ იქნა ა/მანქანა «...»-ს 1QO-842 მისაბმელი 1EA-575 (მანქანის მოცდენისათვის) ოთხიათას ასი ლარი. ასევე საქმის მასალებით დგინდება, რომ შპს «...» ი/მ კ. ი-შვილისაგან მიღებული აქვს სატერმინალო მომსახურების თანხა – 675 ლარი, ხოლო სალაროს გასავლის ორდერით დგინდება, რომ 2004 წლის 25 ოქტომბერს გაცემულ იქნა საადვოკატო მომსახურების თაობაზე 25.10.04. წ. ხელშეკრულების თანახმად, 1820 ლარი.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კ. ი-შვილის მიერ განცდილი მატერიალური ზიანი წარმოადგენს მისივე მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისა და უმოქმედობის შედეგს. იმ მოსაზრებას, რომ კ. ი-შვილის მიერ ტვირთი შემოტანილ იქნა კანონდარღვევით, საბაჟო «როკის» გავლით და აღნიშნულით დაირღვა «ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების დაბეგვრისა და აღრიცხვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ივლისის 1434 ბრძანებულება და საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 1999 წლის 12 აგვისტოს 156 ბრძანება, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს და მიუთითებს საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, საბაჟო ორგანოს უფლება არ აქვს უარი თქვას დეკლარაციის მიღებაზე. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 6 ოქტომბრის 102.19/17584 წერილით დგინდება, რომ კ. ი-შვილს 23.09.04 წლის განცხადების განხილვის შემდეგ უარი ეთქვა ტვირთის საბაჟო გაფორმებაზე. ამავე მხარეებს შორის წარმოებული დავის თაობაზე მიღებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია ის გარემოება, რომ ტვირთი საბაჟო ორგანოში კ. ი-შვილის მიერ შეტანილ იქნა განსაზღვრულად საბაჟო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნულ გარემოებას სსსკ-ის 106-ე მუხლის «ბ» ქვეპუნტის თანახმად, გააჩნია პრეიუდიციული ხასიათი და დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს. დადგენილია, რომ 2004 წლის 9 დეკემბერს კ. ი-შვილმა განცხადებით მიმართა ფინანსური პოლიციის ოპერატიულ დეპარტამენტს, რომლითაც აცნობა სასამართლო გადაწყვეტილების ოპერატიული დეპარტამენტის მიერ დაუყოვნებლივ აღუსრულებლობით გამოწვეული მოსალოდნელი მატერიალური ზიანის თაობაზე და მიმართა თხოვნით, აღესრულებია სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებასა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში დაფიქსირებული ზეთის ოდენობის განსხვავება საგადასახადო კოდექსის 68-ე, 131-ე და 223-ე მუხლებზე დაყრდნობით, ფინანსურ პოლიციას ანიჭებდა უფლებამოსილებას იმპორტიორის მიერ საბაჟო დეკლარაციისა და სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაციის გარეშე საქონლის იმპორტირებისას კანონით დადგენილი ჯარიმის გადახდამდე მოეხდინა საქონლის დაყადაღება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველი დავის საგანს არ წარმოადგენს ფინანსური პოლიციის მიერ ტვირთზე ლუქის დადების (დაყადაღების) მართებულობის დადგენა, აღნიშნული საკითხი განიხილა ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ და 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ფინანსურ პოლიციას დაავალა ა/მანქანაზე ლუქის მოხსნა. დღეისათვის განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რის გამოც საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლზე და თვლის, რომ ფინანსურ პოლიციას გააჩნდა მისი აღსრულების უპირობო ვალდებულება, რაც მას არ განუხორციელებია.

ამრიგად, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფინანსური პოლიციის მხდიდან სასამართლოს გადაწყვეტილების დროულად აღსრულება – იმპორტირებულ საქონელზე ლუქის მოხსნა, შესაძლებლობას მისცემდა საბაჟო ორგანოს ტვირთი განებაჟება, ხოლო კ. ი-შვილს ექნებოდა შესაძლებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე, 2004 წლის 15 დეკემბრამდე მიეწოდებინა საქონელი კონტრაქტისათვის, რითაც არ წარმოემობოდა ბეს ორმაგად დაზრუნების ვალდებულება.

საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ 2004 წლის 15 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების 2.2 პუნქტში სიტყვა «ფასის» გამოტოვება წარმოადგენდა ტექნიკურ შეცდომას. ვინაიდან, ბეს სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, იგი წარმოადგენს ფულად თანხას, რაც ადასტურებს მხარეებს შორის ხელშეკრულების დადების ფაქტს და წარმოადგენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას.

საკასაციო პალატა ასევე ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კ. ი-შვილის ა. თ-შვილისათვის 4100 ლარის გადახდა, განსახილველ დავას არ უკავშირდება, რადგან მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული ა/მანქანის მოცდენისათვის ზიანის ოდენობა და ანაზღაურების ვალდებულება, ამასთან, ხელშეკრულებით საქონლის გადაადგილების მარშრუტი არ იყო დამოკიდებული განბაჟების პროცედურასთან, ვინაიდან საქონლის გადაზიდვა უნდა განხორციელებულიყო სოფ. ... სოფ. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ ი/მ კ. ი-შვილმა ავტომობილის ზეთის

იმპორტირება განახორციელა ა. თ-შვილის კუთვნილი «...»-ის მარკის ა/მანქანით, რომელიც 2004 წლის 8 ოქტომბრიდან იმავე წლის 21 დეკემბრამდე დალუქული იყო ფინანსური პოლიციის თანამშრომლების მიერ. საკასაციო პალატა მიუთითებს სკ 410-ე მუხლზე და განმარტავს, რომ მხარეთა შორის ასეთი შეთანხმება კიდევ რომ არსებობდეს, ბათილია, ვინაიდან მხარის უფლება, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაუშვებელია გადაიქცეს უკუვალდებულებად. ამასთან, საბაჟო ჩრდილოეთი იმ დროისათვის თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს ყაზბეგის, დუშეთის, მცხეთის, თიანეთის, ახალგორის, ხაშურის, გორის, ქარელის, კასპის, თიანეთის, ყორნისის, ჯავისა და ცხინვალის რაიონების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში. ამდენად, განსაზღვრული ტვირტის გადაზიდვა სოფ. ... სოფ. ... თავისთავში მოიცავდა განზაჟების პროცედურის აუცილებლობასაც.

საკასაციო პალატა ეთანხმება ასევე სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საადვოკატო მომსახურების, სააღსრულებო საავანსო ხარჯისა და სატერმინალო მომსახურების თანხების გადახდის ვალდებულება წარმოეშვა მხარეს განსაზღვრებელ ტვირტზე დადებული ლუქის დროულად მოუხსნელობის გამო, განზაჟების პროცედურის დაყოვნებით. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტები სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენენ სათანადო მტკიცებულებებს კ. ი-შვილის მიერ თანხების გადახდის ფაქტის დასადასტურებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სრულად დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სამართლებრივ შეფასებებს, დამატებით მიუთითა მათზე და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსსკ-ის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.